ვერსია

ფასი 40 თეთრი

№149 (756) 28 დეკემბერი, 2012 წელი — 8 იანვარი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი

რა ქონებას ფლობს ბიძინა ივანიშვილი

პრემიერ-მინისტრის ქონებრივი დეკლარაცია

სახელი, გვარი:	ბიძინა ივანიშვილი
	44171
თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია შევსებულია:	25/12/2012
	ხელი/თვე/წ
სამსახური, დაკავებული (ყოფილი) თანამდებობა:	საქართველოს მთავრობა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი
სამსახურის მისამართი, ტელეფონი:	საქართველო, თბილისი, ინგოროყვას ქუჩა 7,
დაბადების ადგილი, დაბადების თარიღი:	საქართველო, საჩხერე, ჭორვილა; 18/02/1956

პრეზიდენტი ამნისტიის შესახებ კანონპროექტის ნაწილს ვეტოს დაადებს!

„გადაღახონ ეს ვეტო და აიღოს პასუხისმგებლობა პარლამენტმა, რომ ციხიდან უშვებს პედოფილებს, სახელმწიფო გადამტრიალებლებსა და რუსეთის ჯაშუშებს, მაგრამ მე სალ აზრზე ამას ხელს არ მოვაწერ!“

„გადამგდები“ უნდა დაისაჯოს!“

რას გაახმაურებენ ეროსი კინწარაშვილი და მისი ადვოკატი 28 დეკემბერს

გვ. 3

გიორგი მარგველაშვილი:

„არ მინდა, განათლების სისტემა ხალხს პროკურატურაში გადაგზავნილი საქმეებით დაამახსოვრდეს!“

გვ. 5

„გაძლევთ გარანტიას, რომ ჩემს მიერ განხორციელებული ყველა ცვლილება აპოლიტიკური იქნება!“

გიორგი ისაკაძე ბიზნესიდან მიდის!

ბიზნესმენი მზადაა, გამოძიებასთან აქტიურად ითანამშრომლოს

გვ. 6

„სმარტი“ — წლის ბრენდი!

სოსო ფხაკაძე — წლის ბიზნესმენი!

„ვისოლისთვის“ 2012 წელი განსაკუთრებით წარმატებული იყო

გვ. 7

„კოდა“ — ქველმოქმედი და ხელოვნების ქომაგი კომპანია

წინასაახალწლოდ, კომპანიის ძველ თანამშრომლებს სიმბოლურ საჩუქრებს გადასცემენ

გვ. 9

საახალწლო ვერსია

სეზონის პომპეზური გახსნა ცირკში, განახლებული მუშაიდი და საახალწლოდ მორთული ზოოპარკი

თბილისის თეატრების საახალწლო რეპერტუარი

გვ. 14

როგორ შევხვდეთ გველის წელს?

გვ. 15

წლის ეროსკოპი

გვ. 16

რა ქონებას ფლობს ბიძინა ივანიშვილი?

პრემიერ-მინისტრის ქონებრივი დეკლარაცია გამოქვეყნდა

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა, საჯარო სამსახურის ეროვნულ ბიუროში ქონებრივი დეკლარაცია კანონით დადგენილ ვადაში, 25 დეკემბერს შეავსო. 48 საათის განმავლობაში, ანუ ზუსტად 27 დეკემბრის საღამოს, დიდი ხნის ოცნება ასრულდა — „ფორბსის“ მილიარდერთა სიის ნომინანტის ქონება საზოგადოებისთვის საჯარო გახდა. ბიძინა ივანიშვილის ქონებრივი დეკლარაცია 30-გვერდიანი დოკუმენტია და ამიერიდან, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, თავისუფლად ნახოს, რა ქონებას ფლობს მილიარდერი ქართველი, რომელიც პოლიტიკაში ბიზნესიდან მოვიდა.

ბიძინა ივანიშვილის სახელზეა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანსა და საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში. პრემიერ-მინისტრის სახელზეა გაფორმებული ასევე, 1194 კვადრატული მეტრის საცხოვრებელი ფართი სოფელ ჭორვილაში.

დეკლარაციის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილს საკმაოდ მდიდარი მეუღლე ჰყავს. ეკატერინე ხვედელიძის სახელზეა 2 მიწის ნაკვეთი საჩხერის რაიონის სოფელ საირხეში და ერთი — მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში. ერთი მიწის ნაკვეთი საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში და საცხოვრებელი სახლი სოფელ ჭორვილაში. საცხოვრებელი ბინა თბილისში — კრილოვის ქუჩა 5-ში. რუსეთის ფედერაციაში, ქალაქ მოსკოვში, ოდენცოვოს რაიონში ეკატერინე ხვედელიძე ფლობს სამ მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლს მოსკოვში — 514.5 კვ. მეტრის ფართობით, რომლის თანამფლობელია მათი უფროსი შვილი, უტა ივანიშვილი.

პრემიერ მინისტრის მომღერალი შვილი, ბერა ივანიშვილი მდიდარი „ფერმერია“. მის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლები, ბიძინა ივანიშვილის ქონებრივი დეკლარაციის რამდენიმე გვერდზეა განთავსებული. ბერა ივანიშვილი სხვადასხვა ფართის 33 მიწის ნაკვეთს ფლობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში, მათ შორის ყველაზე დიდია 206865.0 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი. ბერას სახელზეა რეგისტრირებული 28 საცხოვრებელი სახლი ნატანებში, ასევე 6 მიწის ნაკვეთი და 10 სახლი სოფელ ჭორვილაში.

რაც შეეხება ფასიან ქაღალდებსა და ობლიგაციებს, ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაშია როგორც ფარმაცევტული კომპანიის, ასევე „გუგლის“ აქციები, რაც საზოგადოებისთვის სრულიად მოულოდნელი იყო (გთავაზობთ სამგვერდიან ჩამონათვალს).

ეკატერინე ხვედელიძის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა შეადგენს 295 000 აშშ დოლარს, 20 000 ევროსა და 45 000 ლარს. რაც შეეხება სამეწარმეო საქმიანობას, ბიძინა ივანიშვილი „პროგრეს ბანკის“ აქციონერია, ეკატერინე ხვედელიძე — შპს „აქცეპტის“ პარტნიორი, ხოლო ბერა ივანიშვილი — შპს „ჯი დი ეს ტი ვი“-ს პარტნიორი.

2011 წლის 1 იანვრიდან, 31 დეკემბრის ჩათვლით, ბიძინა ივანიშვილის შემოსავალმა, დარიცხული პროცენტის სახით, 75 845 აშშ დოლარი შეადგინა. იმ პერიოდში, პრემიერ-მინისტრმა სამჯერ გასცა მსხვილი შემოწირულობა, მათგან პირველი იყო — 250 000 ლარი, შემდეგ — 16 708 840 ლარი და ბოლოს — 4 508 200 ლარი. დეკლარაციის სამი გვერდი ეთმობა ბიძინა ივანიშვილის გაცემულ სხვადასხვა დახმარებას ფიზიკური პირებისთვის, მათგან ყველაზე დიდი დახმარება 66 729 ლარს, ყველაზე მცირე კი — 2 500 ლარს შეადგენდა.

პრემიერ-მინისტრის ქონებრივ დეკლარაციაში, პედანტური სიზუსტითაა ასახული იურიდიული და სასტუმროს მომსახურება და წლების განმავლობაში, სხვადასხვა დროს შეძენილი ძვირფასი ნივთების ღირებულება.

ფურცელი 11

თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები				
მესაკუთრის ვინაობა (სახელი, გვარი)	ფასიანი ქაღალდის ემიტენტი	ფასიანი ქაღალდის სახეობა	ფასიანი ქაღალდის ნომინალი	ფასიანი ქაღალდების რაოდენობა
ბიძინა ივანიშვილი	Raptor Pharmaceuticals Corp	აქცია	5.56 USD	1200000
ბიძინა ივანიშვილი	USA 1 2010-30.9.17 series 9-2017	ობლიგაცია	106.14 USD	25000
ბიძინა ივანიშვილი	USA 2010-15.8.2020 Series E-2020	ობლიგაცია	110.61 USD	70000
ბიძინა ივანიშვილი	USA 2010-15.5.20 Series C-2020	ობლიგაცია	117.19 USD	60000
ბიძინა ივანიშვილი	USA 2009-15-5-2019 Series C-2019	ობლიგაცია	114.09 USD	50000
ბიძინა ივანიშვილი	Investec Global Strategy Fund SICAV I/EN Local Currency Debt Fund	ობლიგაცია	20.99 USD	281081
ბიძინა ივანიშვილი	PIMCO Funds GIS Plc	ობლიგაცია	12.2 USD	465936
ბიძინა ივანიშვილი	iShares Plc Markit iBoxx USD Corp B	ობლიგაცია	114.56 USD	35000
ბიძინა ივანიშვილი	Goldman Sachs Group 2006-1.10.2016 Sr Global	ობლიგაცია	113.9 USD	30000
ბიძინა ივანიშვილი	PIMCO Global Investor Series, Global HY Bond Fund	ობლიგაცია	10.92 USD	458614
ბიძინა ივანიშვილი	Goldman Sachs SICAV Shares	აქცია	12.93 USD	201553
ბიძინა ივანიშვილი	IShares Trust Shares	აქცია	144.4 USD	20000
ბიძინა ივანიშვილი	Robeco Capital Growth Funds SICAV Shares	აქცია	141.57 USD	29584
ბიძინა ივანიშვილი	T.Rowe Price Funds SICAV Sjares, US Large Cap Growth Equity Fund	აქცია	18.14 USD	25000
ბიძინა ივანიშვილი	Wellington Management Portfolios FCP Units A/US	აქცია	44.96 USD	161291
ბიძინა ივანიშვილი	Google inc. –Shares	აქცია	754.5 USD	2000
ბიძინა ივანიშვილი	McKensson Corp Shares	აქცია	86.03 USD	35200
ბიძინა ივანიშვილი	Equifax Inc Shares	აქცია	46.58 USD	30000

ფურცელი 12

თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები				
მესაკუთრის ვინაობა (სახელი, გვარი)	ფასიანი ქაღალდის ემიტენტი	ფასიანი ქაღალდის სახეობა	ფასიანი ქაღალდის ნომინალი	ფასიანი ქაღალდების რაოდენობა
ბიძინა ივანიშვილი	Baring Fund Managers Units / Europe Select Trust	აქცია	16.82 GBP	25000
ბიძინა ივანიშვილი	Sandvik AB Shares	აქცია	89.15 SEK	100000
ბიძინა ივანიშვილი	AXA Framlington Units Class Z GPB	აქცია	1.0 GBP	800000
ბიძინა ივანიშვილი	IShares MSCI Japan Index Fund	აქცია	9.16 USD	400000
ბიძინა ივანიშვილი	IShares MSCI Pacific ex-Japan Index Fund	აქცია	44.59 USD	105000
ბიძინა ივანიშვილი	Coutts Equator Investment Programs Equity Program	აქცია	33.71 USD	38487
ბიძინა ივანიშვილი	ISjares inc, MSCI Taiwan Index Fund	აქცია	13.36 USD	100000
ბიძინა ივანიშვილი	Schroder International Selection Fund SICAV Shares C, Greater China	აქცია	37.44 USD	75676
ბიძინა ივანიშვილი	Polar Capital Funds Capital Shares Class O, USD / Global Technology	აქცია	15.65 USD	50000
ბიძინა ივანიშვილი	Veritas Funds PLC Veritas Global Equity Income Fund Shares Class A	აქცია	127.75 USD	8000
ბიძინა ივანიშვილი	Black Rock Gold & General Fund Units, class D	აქცია	13.68 GBP	124106
ბიძინა ივანიშვილი	Gold Bullion Securities Ltd notes 2004	აქცია	171.38 USD	25000
ბიძინა ივანიშვილი	RBS Plc Certificates 2009-25.6.2019 on RICI Enhanced Agriculture ER	აქცია	135.53 USD	11160
ბიძინა ივანიშვილი	ACL Fund SICAV Plc Shares Class A USD . Abbey Capital ACL Alternative Fund	აქცია	89.77 USD	44131
ბიძინა ივანიშვილი	Coutts Equator Investment Programmes Anteile Series 5 Abs Return Multi Asset Programme	აქცია	9.83 USD	273349

ფურცელი 13

თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები				
მესაკუთრის ვინაობა (სახელი, გვარი)	ფასიანი ქაღალდის ემიტენტი	ფასიანი ქაღალდის სახეობა	ფასიანი ქაღალდის ნომინალი	ფასიანი ქაღალდების რაოდენობა
ბიძინა ივანიშვილი	Goldman Sachs Structured Investments SICAV Shares C – USD Hedged	აქცია	9.1 USD	310059
ბიძინა ივანიშვილი	Orbita Global Opportunities Strategy Shares A	აქცია	20085.0 USD	61
ბიძინა ივანიშვილი	Standard Life Investments Global SICAV Shares D USD Hedged	აქცია	10.94 USD	260000
ბიძინა ივანიშვილი	RCB Absolute Return Trading Fund (T) LU0101497542	აქცია	1227.36 EUR	6000
ბიძინა ივანიშვილი	5.25% CONW_WA2/16 AT0000A0GMD6	ობლიგაცია	106.63 EUR	8000
ბიძინა ივანიშვილი	BANK PEKAO S.A. ORD	აქცია	164.0 PLN	30000
ბიძინა ივანიშვილი	BG Group PLC	აქცია	10.68 GBP	50000
ბიძინა ივანიშვილი	Carrefour	აქცია	19.18 EUR	30000
ბიძინა ივანიშვილი	CEZ a.s.	აქცია	625.0 CZK	20000
ბიძინა ივანიშვილი	Citigroup Inc	აქცია	37.64 USD	7500
ბიძინა ივანიშვილი	ENI	აქცია	17.81 EUR	30000
ბიძინა ივანიშვილი	JP Morgan Chase & Co	აქცია	42.56 USD	10000
ბიძინა ივანიშვილი	Nova Kreditna Banka Maribol PL	აქცია	4.65 PLN	49784
ბიძინა ივანიშვილი	Saipem SpA	აქცია	34.16 EUR	30000
ბიძინა ივანიშვილი	Siemens AG	აქცია	80.7 EUR	7500
ბიძინა ივანიშვილი	Sinaps Gayrimen	აქცია	1.34 TRY	1000000
ბიძინა ივანიშვილი	Telekomunikacja Polska S.A.	აქცია	11.94 PLN	150000
ბიძინა ივანიშვილი	Unilever Cert	აქცია	29.5 EUR	27000
ბიძინა ივანიშვილი	სს "პროგრესბანკი"	აქცია	1.0 GEL	3794500

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

„გადამგდები“ უნდა დაისაჯოს“!

რას გაახმაურებენ ეროსი კიწმარიშვილი და მისი ადვოკატი 28 დეკემბერს

ერთწლიანი მდუმარების, „ქართული პარტიის“ მისგან გამიჯვნისა და სასამართლოს პირველი ინსტანციის მიერ, „მაესტროს“ ტექნიკის დაზიანებისთვის 1 398 645 ლარით დაჯარიმების შემდეგ, ეროსი კიწმარიშვილი გამოჩნდა! ოღონდ მისი აღშფოთება ახლანდელი პრემიერის ბოლო დღეების განცხადებებმა გამოიწვია, „რუსთავი 2“-ის რეალური მფლობელებისთვის სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. კიწმარიშვილის სტრატეგია ასეთია: როგორც „მედიის მართვის კომპანიის“ დირექტორი, „მაესტროს“ დამფუძნებლებს 16 მლნ ლარს აქეთ ედავება, მეორე სასამართლო პროცესს 4 იანვარს ელის, დავას აპირებს „რუსთავი 2“-ის წილებთან დაკავშირებით და მთელი სერიოზულობით მოითხოვს — როცა წართმევა-გადაგდებაზე საუბრობენ, სააკაშვილ-ივანიშვილმა ჯერ მე ჩამხედონ თვალებშიო. როგორც „გადაგდებული“ ეროსი კიწმარიშვილი ამბობს, რამდენიმე სვლა კიდევ აქვს, რასაც „ვერსიასთან“ ინტერვიუში აანონსებს:

— „გადაგდება“ უნივერსალური, საერთაშორისოდ აღიარებული ცუდი ქმედებაა, რასაც ვერავის ვაპატიებ. მე „მაესტროს“ დამფუძნებლებმა „გადამაგდეს“, ამიტომ პროცესი არ დამთავრებულა, პირიქით, ახლა იწყება და გადამგდები უნდა დაისაჯოს. დღევანდელი „მაესტროთი“ აღფრთოვანებული არ ვარ, მაგრამ ის ჩემი შრომით, ხარჯით, ავტორიტეტით შევქმენი და დღეს ეს არხი არ არის „ამტანი“ და „საკანი“! ამ პროექტიდან, როგორც ბიზნესმენი, ველოდი ბენეფიტს, ამის სანაცვლოდ კი „გადაგდება“ მივიღე. შესაძლოა, ვიღაცას ხელს ვუშლი ჩემი არსებობით, მაგრამ ეს მისი პრობლემაა. ხელისუფლებისგან კი, რომელიც სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოვიდა, ვითხოვ — ნუ ჩაერევა პროცესში!

— მანამდე ის მითხარით, 1 398 546-ლარიანი ჯარიმის გადახდას თუ აპირებთ და ასეთი რა აპარატურა დალეწეთ, „მაესტრო“ რომ დააზარალეთ?

— ამ თანხის გადახდის მოთხოვნას სერიოზულად არც ვუყურებ. 4 იანვარს მეორე სასამართლო პროცესი მაქვს, რომელიც ჩემი მართვის კომპანიის მიერაა ინიცირებული და ისტერიკის საფუძველს ვერ ვხედავ. ამ თემაზე 28 დეკემბერს, ადვოკატ გოჩა სვანიძესთან ერთად, რომელიც „მაესტროს“ ადვოკატის, დიმა გაბუნიას მასწავლებელია, პრესკონფერენცია გაიმართება. დეტალურად, არგუმენტირებულად ვისაუბრებთ ამ პროცესის შესახებ. ჯერ ერთი, სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება არაფერს ნიშნავს და მეორე — ამ თემაზე მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ. ამის მერე ვიმსჯელოთ, ვის, რა ექნება გადასახდელი. დღეს პიარაქციების ჩატარება, გულში მჯიღისცემა და ყვირილი — მართლები ვიყავითო, მხოლოდ ზეწოლაა სასამართლოზე და სხვა არაფერი. მეტსაც გეტყვით,

სარჩელი, რომელიც 2011 წლის 1, თუ 2 დეკემბერს შევიტანე, სასამართლომ ზუსტად 1 წელი არ განიხილა. პირველი ოქტომბრიდან თვენახევარში, „მაესტროს“ პატივცემულ დამფუძნებლებს კრედიტის აღება თუ გრანტის მიღება დასჭირდათ „ქართუდან“, სადაც ჩემს მიერ დაბლოკილი საკუთარი წილის თავისუფლად მოძრაობა არ შეეძლოთ. ატეხეს ერთი ამბავი, ეს უსამართლო სასამართლო ამ საქმეს ერთი წელი არ განიხილავსო. ჰოდა, ჩვენმა სასამართლომაც თანაგრძნობა გამოიჩინა ამ თემის მიმართ და რამდენიმე საათში განცხადებაც გაავრცელა. სასამართლომ, „მაესტროს“ ზეწოლით, ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო, ამიტომ ვნახოთ, რას იზამს ჩემს მიერ ინიცირებულ პროცესზე, რომელიც 4 იანვარს გაიმართება!

სხვათა შორის, ეს ის სასამართლოა, რომელიც ახლა ძველი ხელისუფლების პრესინგის ქვეშ აღარ იმყოფება, მაგრამ მისი განაჩენი სრული აბსურდია, თანაც მოსამართლეს სამოტივაციო ნაწილი დღემდე არ აქვს დადებული. ამის შესახებ განცხადებას ჩემი ადვოკატიც გააკეთებს. ადამიანმა, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ გახდა მოსამართლე, კოლექტიური გადაწყვეტილება მიიღო და ჯერ არ შეუქმნია დოკუმენტი, სადაც ჩანს, რა არგუმენტების საფუძველზე გამოიტანა ეს გადაწყვეტილება.

— დააანონსეთ, რა იქნება საზოგადოებისთვის ახალი, რა უნდა თქვათ ასეთი?

— მინდა, ყველამ ყურადღებით მომისმინოს — სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საფუძველშივე ეწინააღმდეგება „მაესტროს“ დამფუძნებლებსა და მართვის კომპანიას შორის სისხლის სამართლის დავაზე მიღებულ გადაწყვეტილებას — სასამართლომ ერთსა და იმავე შინაარსის დავაზე ორი სხვადასხვა გადაწყვეტილება მიიღო. სისხლის სამართლის საქმეზე სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, დაცვის წევრებს, რომლებიც ჩემს ბრძანებას ასრულებდნენ, 12-12 წელი მიუსაჯეს. მათ ერთი წელი უკვე ციხეში გაატარეს და ახლა, ერთი კვირაში ციხიდან გამოვლენ. ეს ეწინააღმდეგება საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ამიტომ ბუფეტში შეგროვდნენ ხოლმე ეს მოსამართლეები და ერთმანეთში გაცვალონ ინფორმაცია. რაც შეეხება პროცესის გაშუქებას, ერთი წელია, „მაესტროცა“ და „მეცხრე არხიც“ ყველა ბრუნვაში მატრიალებს, ხმას არ ვიღებ და როცა პრესკონფერენციას ვატარებ, ამას არცერთი მათგანი არ იმჩნევს. კითხვა მარტივია — ეს ნებაყოფლობითი არშემჩნევაა თუ რაღაც პროცესები მიდის?

— მერე, უპასუხეთ — ამ არხების საკადრო პოლიტიკას ბიძინა ივანიშვილი აკონტროლებს?

— რიტორიკულ კითხვას ვსვამ და მასზე, ჯერჯერობით, პასუხი არ მაქვს. მახსოვს, წლების განმავლობაში როგორ იბლოკებოდა ივანიშვილის ირგვლივ არათუ ნეგატიური, ნეიტრალური ინფორმაციაც კი და მასთან შეუთანხმებლად, მასზე სიტყვა არ გადიოდა. თუ ახლაც ამ ტენდენციასთან გვაქვს საქმე, მაშინ მძიმე რეალობაში გადავდივართ. ვიცი, ეს რასაც ნიშნავს — ასე „რუსთავი 2“ და „იმედი“ იქცეოდნენ, როცა ნებისმიერ არასასურველ მასალას ბლოკავდნენ.

— ე.ი. „მაესტრო“ და „მეცხრე არხი“ კონტროლდება, „კავკასია“ პრობლემას არ ქმნის, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დირექტორი შეეცვალა, „იმედი“ პატარკაციშვილებს დაუბრუნდა და დარჩა „რუსთავი 2“, რომლის დირექტორი ნიკა გვარამია დაიჭირეს და ივანიშვილის განცხადებით, არხი ნამდვილ მფლობელებს უნდა დაუბრუნდეს, რომელთა სიაში თქვენ არ ხართ...

— სერიოზული ადამიანი ვარ და ამ თემით სპეკულირებას არ დავიწყებ. „რუსთავი 2“-ის ირგვლივ არაჯანსაღი აჟიოტაჟი რომაა ატეხილი და ეს აჟიოტაჟი ახალი ხელისუფლების პირობებშია ინიციებული, ფაქტია. ჯანსაღი აჟიოტაჟისთვის ორი გზა არსებობს — სასამართლო და პროკურატურა. სასამართლოში კი სხვა ვერაფერი ვნახე, 2009 წელს, ისევ ჩემ მიერ ინიცირებული სარჩელის გარდა, სადაც საკუთარი უფლებების აღდგენაზე ვდავობდი „რუსთავი 2“-ში.

— ახლა სხვა ვითარებაა — ქიბარ ხალვაში პოლიტდევნილების სიაშია, ივანიშვილის მეგობარია, „რუსთავი 2“-ზე, 70%-იანი წილს ფლობდა და ღღეს პრემიერი მისი უფლებების აღდგენაზე საუბრობს. ხალვაში გერმანიიდან იწერება, მალე ჩამოვალ და არხზე ძველ ხალხს დავაბრუნებო. თქვენ კიდევ რამის იმედი გაქვთ?

— ქიბარ ხალვაში არ მაინტერესებს — მასთან ერთი დავა მაშინ წავაგე, როცა გერმანიაში იმ ხელისუფლებას გაექცა, მე კი სააკაშვილთან მოვიაზრებოდი. დასკვნა ხალხმა გამოიტანოს. ახლა მეორე დავის გამართვის პერსპექტივა მაქვს. ღიად ვამბობ — ხალვაში არ წარმოადგენდა არხის რეალურ მფლობელს, ის პირადად, სააკაშვილის სახე იყო ამ ტელევიზიაში, მაგრამ სააკაშვილს ვერ ვუჩივლებდი და ვუჩივლე ხალვაშს. სამართლებრივად, ხალვაში ჩემთან ტყუის,

თუ იგი თავის 70%-ს იბრუნებს, მაშინ 60%-ის მფლობელი დვალი და აქიმიძე როგორღა გამოდიან მართლები? ამ დროს, ივანიშვილი აცხადებს, რომ ხალვაში მართალი კაცია, რომ ის დაჩაგრეს და ა.შ. ამავე დროს, ამბობს, რომ მართლები არიან დვალი-აქიმიძეც და ეს პროცესი ჭეშმარიტებამდე რა არითმეტიკით მიჰყავს ივანიშვილს, ეს მას ჰკითხეთ! ქიბარი როდის, როგორ დაბრუნდება და რას გააკეთებს, სხვა თემაა, მე კი ის, რასაც ქიბარის აზრები ჰქვია, არ მაინტერესებს!

— რასაც პრემიერ ივანიშვილის აზრები ჰქვია, მოახლოებული სასამართლო პროცესის წინ, გაინტერესებთ?

— ამიტომ ვამბობ, რომ ივანიშვილი ჩაერია პროცესში. სასამართლო პირველადაა ასეთ კარგ მდგომარეობაში, რადგან ერთმა პოლიტიკურმა ძალამ მეორე ძალის ბოლომდე გაქრობა ვერ მოახერხა. მოსამართლეებს ახლა აქვთ ფანტასტიკური შანსი, შუაში გაიარონ!

— შევაჯამოთ: თქვენი განცხადებებიდან გამოდის, რომ სწორედ ქიბარ ხალვაშს სთხოვა სააკაშვილმა „რუსთავი 2“-დან თქვენი მოშორება და ამაში მონაწილეობა ივანიშვილმაც მიიღო. ასეა?

— ეს არ მითქვამს, მე გავიმეორე ბიძინას მიერ სხვადასხვა დროს ნათქვამი სიტყვები:

ივანიშვილს სააკაშვილმა ეროსის მოშორებაში დახმარება სთხოვა, რადგან ეროსი ნერვებს უშლიდა, პრემიერ-მინისტრობა უნდოდა და ა.შ. მერე სააკაშვილმა ქიბარს სთხოვა, ეყიდა „რუსთავი 2“ და გამოვიდა, რომ ივანიშვილი და ხალვაში ერთად იყვნენ ამ პროცესში, რის შესახებაც მაშინ არაფერი ვიცოდი. ივანიშვილი სიმართლეს ამბობს 2004 წელზე, როცა ჩვენ ერთმანეთს შევხვდით და მან დიდი მადლობა გადამიხადა ქვეყნის გადარჩენისთვის, ხოლო მადლიერების ნიშნად, „მეცხრე არხი“ დახურა.

— ლოგიკა არ ჩანს — დახურა „მეცხრე არხი“ და „რუსთავი 2“-ს მისცა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მერე მან და ხალვაშმა „რუსთავი 2“ გაანადგურეს. თან, „იმედელები“ ყვებიან, რომ ეს ქონება „რუსთავს“ ბადრი პატარკაციშვილის „იმედის“ დასაძირად მისცა ივანიშვილმა. იქნებ, გახსნათ კვანძი?!

— ნაჩუქარ ცხენს კბილი არ ესინჯება, მაგრამ ლეგენდები რომ არ შეიქმნას, გეტყვით — „მეცხრე არხის“ უძრავი ქონება, შენობა და ფართი კვლავ მის მფლობელობაში დარჩა, არქივი მათ ისედაც არ ჰქონდათ და არც ტექნიკა ყოფილა მაინცდამაინც ღირებული. ერთადერთი, „მეცხრე არხის“ სიხშირული სპექტრი იყო ფასეული — მთელ საქართველოს მოიცავდა დეციმეტრულ სიხშირეზე. სიხშირე, ბიძინამ რატომღაც უკან მოითხოვა, 2009 წელს, ალბათ, სააკაშვილისგან. მეც ეგ მაინტერესებს — სად არის ლოგიკა?! რას გულისხმობს ივანიშვილი, როცა ამბობს, რომ რაღაც პროცესებისგან ქვეყნის გადასარჩენად ინახავდა „რუსთავი 2“-ს და აღარასოდეს მოხდება ისე, ვიღაცამ ტელევიზია ხელში ჩაიგდოს და ამით ხელისუფლებაც მიიღოს. აზრობრივი კავშირი არსებობს და სათქმელი დაასრულოს, თუ არა და, ეს „წამოცდენები“ კარგს არაფერს მოუტანს.

— თავად დაასრულეთ სათქმელი და თან ამიხსენით, რატომ მოუწოდებთ ივანიშვილს, ამ პროცესში მხარედ არ ჩაერიოს, როცა ყვებით, რომ იგი სულ მხარე იყო?

— ეს ის თემებია, რაზეც მემუარებში ვილაპარაკებ, დიდი ხნის მერე. ღღეს

პოლიტიკურ პროცესში აღარ ვარ და რაც ქვეყანაში ხდება, როგორც მოქალაქეს, მეხება, მაგრამ როგორც მოთამაშეს — არა. ღღეს ვარ ბიზნესმენი, რომელიც საკუთარი დაზიანებული ინტერესების აღდგენაზე მუშაობს და აწარმოებს ორ პროცესს „გადამგდებების“ წინააღმდეგ! ჩემი პოლიტიკურ სიტუაციაში ჩართვა, აპრიორი, ან მიშას, ან ბიძინას სასარგებლოდ უნდა მოხდეს. ამ დროს, სიმპათია არც ერთის მიმართ არ გამაჩნია.

— აშკარაა — არც მათ.

— ღმერთმა ხელი მოუმართოს, დიდად არ ვწუხდები ამაზე... ერთი წლის განმავლობაში, როცა ივანიშვილი „რუსთავი 2“-ზე ცრუ ინფორმაციას ავრცელებდა, ხმა არ ამომიღია, რადგან მეგონა, პრემიერის რანგში ამ პროცესისადმი უფრო რესპექტაბელური იქნებოდა. ჩანს, მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია გააჩნია და ივანიშვილმა ის ზღვარი გადალახა, რის შემდეგაც ჩემი დუმილი მთავრდება!

საუკეთესო ტურისტულ მიმართულებათა რიცხვში საქართველო მეორე ადგილზეა

Huff Post Travel-მა გამოაქვეყნა 2013 წლის 7 საუკეთესო ტურისტული მიმართულება, სადაც სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოს დასაგემოვნებლად უნდა ჩავიდნენ ტურისტები და საქართველო მე-2 ადგილზე მოხვდა.

შვიდეულში შევიდნენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: ეპანეთი, იაპონია, პერუ, უკრაინა, სიცილია და გვატემალა.

ბლოგერი ქართულ სამზარეულოს ახასიათებს როგორც ერთ მთლიანობას, შერწყმულს ქართულ ფოლკლორთან, რომელიც თავისი არომატითა და მომზადების ტრადიციული წეს-ჩვეულებებით გამოირჩევა.

ცნობისთვის, კულინარიული ტურიზმი დღეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წამყვანი სფეროა, რადგან ამ მხრივ ტურისტების ინტერესი ყოველწლიურად იზრდება.

„პირველი“

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნას 600 000-ზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნის მემორანდუმით გაერთიანებული 45 ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფის ცნობით, უკვე 600 000-ზე მეტი ხელმოწერაა შეგროვილი.

საინიციატივო ჯგუფი აღნიშნავს, რომ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით გამოიხატა ქვეყნის მოსახლეობის ერთსულოვნება და დაიწყო საყოველთაო გაერთიანება.

„ამ ეტაპზე 600 000-ზე მეტი ხელმოწერა შეგროვდა, და ეს რიცხვი ყოველდღე იზრდება. პრეზიდენტის გადადგომის მემორანდუმს ბევრი ცნობილი საზოგადო მოღვაწე თუ არასამთავრობო ორგანიზაცია შეუერთდა. საქართველოს კულტურის ფონდი მერაბ ბერძენიშვილის ხელმოწერით, ელგუჯა ბურდული, საქართველოს მწერალთა კავშირი აჭარის ორგანიზაცია, ქართული აკადემიის აჭარის წარმომადგენლობა, კაზაკთა კავშირი, კავკასიური სახლი, სულ 46 ცნობილი ორგანიზაცია. ჩვენ ვიბრძვით არა კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ, არამედ დემოკრატიული პრინციპებისა და იმისთვის, რომ ქვეყანას ავაცილოთ სამოქალაქო დაპირისპირება, რომლისკენაც დღეს ქვეყანა მიჰყავს პრეზიდენტად წოდებულ პიროვნებას“, – აცხადებენ საორგანიზაციო ჯგუფში

ნელს 100 ჟურნალისტი დაიღუპა

2012 წლის განმავლობაში, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს, მსოფლიოს მასშტაბით, 70 ჟურნალისტი დაიღუპა. ამის შესახებ ცნობას ჟურნალისტთა დაცვის მსოფლიო ქსელი CPJ ავრცელებს.

2012 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი, 28 ჟურნალისტი სირიაში მოკლეს, სომალიში – 12, პაკისტანში – 7, ინდოეთში – 4.

CPJ-ს ინფორმაციით, 2012 წელს კიდევ 30 ჟურნალისტია გარდაცვლილი, თუმცა დაუდგენელია, ეს მკვლელობა უკავშირდებოდა თუ არა პროფესიულ საქმიანობას. დაღუპულ ჟურნალისტთა 36% ომის თემატიკაზე მუშაობდა, ხოლო 44% – პოლიტიკას აშუქებდა.

„მედიანიუსი“

გია ხუხაშვილი გაზის პოლიტიკური ფასის დეტალებს ასახელებს

მიზები, რატომაც, საქართველოში გაზი ძვირია — დიდი რაოდენობით შესყიდული ტრაქტორები, ევრო-ბონდები და პარლამენტის შენობა ქუთაისში!

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. საქართველოს დელეგაციის ორდღიანი ვიზიტი ბაქოში პოზიტიური შედეგით დასრულდა — აზერბაიჯანი საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად რჩება. ბიძინა ივანიშვილთან ერთად, ბაქოში ვიზიტად იმყოფებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი კახა კალაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში კოტე სურგულაძე, საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელი ირაკლი კოვზანაძე და საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი გია ხუხაშვილი. საქართველოს დელეგაცია თბილისში ხუთშაბათს, 27 დეკემბერს დაბრუნდა, ბაქოში ვიზიტის დეტალებზე „ვერსიას“ გია ხუხაშვილი ესაუბრება:

— ეს იყო გაცნობითი სახის შეხვედრა, სადაც პრაქტიკულად, ყველა საკითხი განვიხილეთ, როგორც პოლიტიკური და უსაფრთხოების, ასევე ეკონომიკური მიმართულებით. ვფიქრობ, საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტს შორის, საინტერესო შეხვედრა გაიმართა და მოვლენებიც უკეთ განვითარდა, ვიდრე ველოდით. ვიზიტის ფარგლებში, ილჰამ ალიევმა და ბიძინა ივანიშვილმა ფორმალურ და არაფორმალურ ვითარებაში დიდი დრო გაატარეს ერთად. მათ შორის უშუალო კონტაქტი დამყარდა — სრული ურთიერთგაგება საერთო ხედვებსა და ინტერესებში.

— ბატონო გია, ვიზიტის მიმდინარეობის დროს, მედიაში ბაქოს პოლიტიკური კვლევების ცენტრის ექსპერტის მოსაზრება გავრცელდა, რომელსაც მიაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილის განცხადებები ურთიერთგამომრიცხავია. პრემიერ-მინისტრი ხან ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტში სარგებელს ვერ ხედავს, ხან აზერბაიჯანის მადლობელია. რეალურად, რა ხდებოდა აზერბაიჯანში და რას ფიქრობს პრემიერი ამ პროექტზე?

— რა თქმა უნდა, ეს იყო მიზანმიმართული კამპანია, რადგან ბიძინა ივანიშვილს არასოდეს უთქვამს, რომ ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალი არ გვჭირდება და სარგებელს ვერ ხედავს. მან თქვა, რომ არსებობს კითხვები და ეს ეხება არა პროექტის ყოფნა-არყოფნის საკითხს, არამედ — ზოგიერთ ეკონომიკურ ასპექტს და ეკონომიკურ რისკებთან დაკავშირებულ საკითხებს. ყოველგვარი გართულების გარეშე, მხარეებმა ეს თემები განიხილეს, რაც ჩვეულებრივი, სამუშაო პროცესია. უნდა გვესმოდეს, რომ ასეთი ტიპის ურთიერთობებში, ჩვენ თუ არ ვცემთ პატივს საკუთარ თავს, თუ არ დავიცავთ საკუთარ უფლებებს სათანადოდ, სხვა არავინ დაგვიცავს. ეს პროექტი განხორციელდება და ბევრად ეფექტური იქნება, ვიდრე იმ ხელისუფლების პირობებში, როდესაც ყარსი-ახალქალაქი იწყებოდა, რადგან პროექტის ეკონომიკური ანალიზი საერთოდ არ განხილულა. მხოლოდ იმაზე საუბრობდნენ, პეკინში ჩასხდებით და ლონდონამდე მატარებლით ჩახვალთო. მთელ მსოფლიოში, ამ მარშრუტს მხოლოდ გიჟი თუ გაივლის.

— არადა, ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალი ერთნაირადაა მნიშვნელოვანი როგორც აზერბაიჯანისთვის, ასევე — საქართველოსთვის, ხომ ასეა?

— რა თქმა უნდა, სხვაგვარად არც თქმულა. მნიშვნელოვანი პროექტია, მაგრამ უკეთესი ანალიზი გვჭირდება, რა ტვირთები, რა მიმართულებით და როგორ უნდა გავატაროთ. ასეთი პროგნოზი აუცილებლად უნდა გაკეთდეს, რათა ფოთისა და ბათუმის პორტებს რისკი არ მიადგეს, რაც ასევე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ამ პორტებზე ათასობით ადამიანია მიბმული. აქვს კი პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლებას უფლება, რომ ეს კითხვები არ დასვას და პასუხები არ მიიღოს?!

— საინტერესო იყო აზერბაიჯანის მილიმეჯლისის დეპუტატის, მუსაბეკოვის შეფასებაც, რომელმაც განაცხადა, რომ მეზობელი ქვეყნიდან საქართველო გაზს ისედაც იაფად ყიდულობს და თუ ტარიფის შემცირება გვინდა, გაზის ტარიფში უნდა გამოვნახოთ რესურსი. გამოდის, საქართველოში გაზს პოლიტიკური ფასი აქვს და პრობლემა გაზის გამანაწილებელ კომპანიებშია?

> **— დიახ, საქართველოში გაზს პოლიტიკური ფასი აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ნავთობისა და გაზის კორპორაციაში საკმაოდ დიდი თანხები ილექებოდა და რჩებოდა. ეს იყო სახელმწიფო კომპანია და გეტყვით, რას აკეთებდნენ: დიდი რაოდენობით ტრაქტორების შესყიდვაზე გარანტიებს გასცემდნენ, საკმაოდ დიდი თანხა გადარიცხეს პარლამენტის მშენებლობაში ქუთაისში, აიღეს უცნაური ვალდებულებები ევრობონდების სახით. პოლიტიკური კომპონენტი ზუსტად ის გახლავთ, რომ ერთი კაცის „ხუშტურების“ გამო, იმ კორპორაციას, რომელიც პრაქტიკულად, გაზს ანაწილებდა, არაპროფილური ხარჯები ჰქონდა აღებული და საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი გაზის ტარიფზე აისახებოდა.**

— აზერბაიჯანი გაზს ისევ ძველ ფასად, ანუ 1 000 კუბურ მეტრ აირს 145 აშშ დოლარად მოგვაწვდის?

— რა თქმა უნდა, იგივე ფასი დარჩება. შესაძლებელი იყო, გვეთხოვა, გარკვეულწილად, შემცირებულიყო ფასი, მაგრამ ჩემი აზრით, ეს მეგობრობის ბოროტად გამოყენება იქნებოდა. მეგობარი, რომელიც შენთვის ისედაც მაქსიმუმს აკეთებს, არასოდეს უნდა ჩააყენო უხერხულ მდგომარეობაში და ამიტომ, ეს საკითხი დელეგაციამ დღის წესრიგიდან მოხსნა.

— როგორ ფიქრობთ, შიდა ბაზარზე გაზის ტარიფი გაიაფდება?

— რა თქმა უნდა, და როგორც ვიცი, ენერგეტიკის სამინისტრო კონსულტაციებსაც მართავს. რამდენით გაიაფდება და როდის, ამ გათვლებში ჩართული არ ვარ, მაგრამ უახლოეს დღეებში, ენერგეტიკის მინისტრი შესაბამის განცხადებას გააკეთებს.

— მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრად დაინიშნა, ხოლო კახა კალაძე — ენერგეტიკის მინისტრად, მათი პირველი ვიზიტი, შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად, თბილისში, აზერბაიჯანულ კომპანია „სოკარში“ იყო. ამას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა როგორც პრესაში, ასევე სოციალურ ქსელებში. სინამდვილეში, რატომ მივიდა ბიძინა ივანიშვილი „სოკარში“?

— დიახ, ამას გარკვეული ხმაური მოჰყვა, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ „სოკარი“ ჩვეულებრივი, კომერციული კი არა, სახელმწიფო კომპანიაა. ფაქტობრივად, ეს არის აზერბაიჯანის პოლიტიკური კომპონენტი. მეტიც, „სოკარი“ აზერბაიჯანის სახელმწიფო ბიუჯეტის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და სახელმწიფოს ფუნდამენტია. შესაბამისად, მისი ხელმძღვანელობა უბრალოდ, ბიზნესმენები კი არა, უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოღვაწეები არიან. ამიტომ, ეს შეხვედრა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და რა თქმა უნდა, ეკონომიკური ელემენტებიც ახლდა. ეს კომერციულ კომპანიაში დაგეგმილი ვიზიტი კი არა, ფაქტობრივად, იმ პროცესის დასაწყისი იყო, რაც ქართული დელეგაციის ბაქოში ვიზიტით დასრულდა. სპეციალურად მაშინდელი შეხვედრისთვის, საქართველოში „სოკარის“ პრეზიდენტი ჩამოვიდა, რომელიც თავისი მნიშვნელობით, ერთ-ერთი პირველი ფიგურაა აზერბაიჯანში. სწორედ „სოკარში“ მისვლის შემდეგ გადასცეს ინფორმაცია აზერბაიჯანის პრეზიდენტს და იმ დღიდან დაიწყო ბაქოში ვიზიტის მომზადება. მესმის, ადამიანებს სკანდალები უნდათ, მაგრამ სინამდვილეში, ეს დიპლომატიურ ურთიერთობებში, ახალი ეტაპის დასაწყებად გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო.

— აზერბაიჯანი საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად რჩება?

— საქართველო და აზერბაიჯანი ერთიანი გეოპოლიტიკური კვანძია, ჩვენი კეთილდღეობა და გლობალურ სისტემაში საკუთარი ადგილის ძიება, მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობითაა შესაძლებელი. ერთადერთი, რის გამოც, გარე სამყაროსთვის ვართ საინტერესო, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელ დერეფანში, მნიშვნელოვანი ფუნქციის შექმნაა. სწორედ ამ ფუნქციის მაქსიმალური რეალიზება უნდა განვახორციელოთ, რათა საკუთარი ადგილი მოვძებნოთ მსოფლიო წესრიგში.

გიორგი მარგველაშვილი: „არ მინდა, განათლების სისტემა ხალხს პროკურატურაში გადაგზავნილი საქმეებით დაამახსოვრდეს!“

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

„გაძლევთ გარანტიას, რომ ჩემს მიერ განხორციელებული ყველა ცვლილება აპოლიტიკური იქნება!“

რა ბედი ელის მანდატურების ინსტიტუტს, რატომაა კარგი იდეა სკოლის სამეურვეო საბჭოებში გამგეობის წევრების ჩასმა, რას ნიშნავს არჩევითი ორგანო, ე.წ. სასკოლო უბანი, რომელიც ამ საბჭოებს ჩაანაცვლებს, როგორია სამინისტროს პირველი რეაქცია მომრავლებულ უბედურ შემთხვევებზე და აღდგება თუ არა 2013 წელს ექიმისა და ექთნის კაბინეტი სკოლაში, რატომ არ ხმაურდება წინა მინისტრის, დიმიტრი შაშკინის სამართალდარღვევები და დაისჯებიან თუ არა ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები ოპტიმიზაციის შედეგად მითვისებული სასკოლო ფართების გამო — „ვერსიის“ კითხვებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი პასუხობს:

— მანდატურების ინსტიტუტის გაუქმება გადაიფიქრეთ და მას მასწავლებლის მაკონტროლებლის ფუნქცია ჩამოაცილეთ. მანდატურებთან დაკავშირებით სხვა ცვლილებებსაც უნდა ველოდეთ?

— თავიდანვე ვაცხადებ, რომ არც ერთი პროგრამის ნგრევას არ ვაპირებთ, რაც განათლების სისტემაშია დაწყებული, მხოლოდ მათი რეორგანიზაცია მიდის. მანდატურების ინსტიტუტი, პოლიტიკურად, ძნელი შესანარჩუნებელი იყო, მაგრამ უსაფრთხო სკოლა გვჭირდება და მანდატურები ამაში გარკვეულ როლს ნამდვილად ასრულებენ. სამწუხაროდ, ამასთან ერთად, ასრულებდნენ „დაზვერვით“ როლსაც. შეეძლოთ ეთქვათ, რომ ამოწმებდნენ, მასწავლებელს ბავშვისთვის თავში სკამი არ ჩაერტყა, რეალურად კი, დირექციას აშინებდნენ. როცა ხალხი „სმირნაზე“ გყავს, მერე რაშიც გინდა, იმაში მოიხმარ, უხეშად რომ ვთქვათ! ყველანი ვცოდავთ — მასწავლებელიც, დირექტორიცა და სამინისტროც, მაგრამ ამ დარღვევების გამსწორებელი მანდატური აღარაა.

— არის ვინმე?

— სკოლა და ჩვენ! თუმცა, პასუხისმგებლობას 2 200 დირექტორსა და 70 000 მასწავლებელზე, ცხადია, ვერ აიღებ. ყველაზე იოლი, მანდატურისთვის იმის თქმა იყო, კონტროლის უფლება აღარ გაქვსო. ბევრად რთული იმის გადაწყვეტაა, ვის დააკისრო ეს ფუნქცია. ვცდილობთ, გავაძლიეროთ სკოლის ადმინისტრაცია, პარალელურად, სამოქალაქო ზედამხედველობა, სამეურვეო ფუნქციები, და ა.შ. ძველ, არაეფექტურ სისტემას, ცოტა ხანში, მაინც შევცვლით, უფრო სწორად, ადეკვატურს გავხდით. აქ არასწორი, სკოლისა და სამეურნეო საბჭოს ბალანსის პრინციპი იყო: საბჭოში ჩართული მშობელი დამოკიდებულია მასწავლებელზე, მასწავლებელი — დირექტორზე, დირექტორი — ჩემზე.

> **მომავალში, შევქმნით ერთეულებს, სადაც ინტერესთა ასეთი კონფლიქტი არ იქნება და ეს ერთეულები გამსხვილდება. ეს მოდელი სხვა ქვეყნებშიც მუშაობს — შეიქმნება სასკოლო უბანი, სტრუქტურა, რომელიც სკოლაში საზოგადოების ჩართულობას უზრუნველყოფს. აქამდე ეს იდეა არ გამიხმოვანებია, მაგრამ ისაა, რის გაკეთებასაც ვაპირებთ — საზოგადოება მუდმივად უნდა იყოს იმ პროცესების მონაწილე და პასუხისმგებელი, რაც სკოლებში ხდება.**

— როგორ დაკომპლექტდება ეს სასკოლო უბანი?

— იგი აირჩევა!

— ვის მიერ?

— ეს უკვე დეტალებია, რაზეც სწორედ ახლა მიდის მუშაობა, მაგრამ იდეა კარგია — სკოლის მართვაში ადგილობრივი საზოგადოება ერთვება და აღარ იქნება „მე შენ დაგნიშე“, „შენ მე დამნიშნე“ — ამ ტიპის კონფლიქტები! სავარაუდოდ, ამ სისტემას უკვე გაზაფხულიდან შემოგთავაზებთ.

— სამეურვეო საბჭოებში გამგეობის ხალხის, როგორც დამატებითი მაკონტროლებლების ჩასმა, თავის დროზე, მძიმედ შეფასდა. ახლა, როცა სკოლის ადგილობრივ დონეზე მართვაზე საუბრობთ, გამოდის, მაშინ ეს არც ისე ცუდი ცვლილება იყო?

— მაგ „ჩასმასაც“ თავისი ლოგიკა ჰქონდა. საერთოდ, ჩემი ძირითადი პრობლემა ესაა ხოლმე — აზრი სწორია, მაგრამ იმდენად გამრუდებული, რომ ამ აზრისავე დისკრედიტებას იწვევს.

— მომიტევეთ, მაგრამ მსგავსი სტერეოტიპების შექმნაში სწორედ თქვენს პოლიტიკურ გუნდს მიუძღვის ლომის წილი!

> **— ეს პოლიტიკური ბრძოლა იყო. გვქონდა ფაქტები, რომ მანდატური მასწავლებელს ატერორებდა და ერთი ზარით სკოლიდან აგდებდა, ბუნებრივია, ეს არ მოგვწონდა და ამაზე ლაპარაკმა მანდატურის ინსტიტუტის დადებითი ფუნქციის დისკრედიტება მოახდინა. გეუბნებით, მანდატურის სამსახური ახლაც ყოველდღე მიგზავნის იმ დანაშაულთა ამონაწერს, რაც ყველა სკოლაში ხდება.**

— მანდატურის ფუნქციაში ცვლილების შეტანის მერე რამე შეიცვალა, ან ზოგადი ფონი მძიმეა თუ არა?

— დიახ, ამონაწერი საკმაოდ მძიმეა და ზოგადად, ეს ფაქიზი თემაა, ამიტომ არაფრის დიდებით არ შევალ კონკრეტიკაში. მხოლოდ ერთს გეტყვით — დამშვიდებული სინდისით სკოლიდან მანდატურის ინსტიტუტს ვერ მოვაშორებდი! რაც შეეხება სამეურვეო საბჭოებში თვითმმართველობის წარმომადგენლის ჩართვას, რომელსაც რაღაც რესურსები გააჩნია, ცუდი არაა. ხალხის მიერ არჩეული ორგანო სკოლას უნდა ეხმარებოდეს — მას შეუძლია, სკოლამდე მიიყვანოს კარგი გზა, ააშენოს სტადიონი ახლოს და ა.შ. თუმცა, ალბათ, ეს მხოლოდ ამ მიზნით არ დანერგილა.

— მოგვეცით გარანტია, რომ „სხვა მიზნებისთვის“ ამ ძველ და ახალ ინსტიტუტებს თქვენც არ გამოიყენებთ!

— მეტიც, გაძლევთ გარანტიას, რომ ჩემს მიერ განხორციელებული ყველა ცვლილება აპოლიტიკური იქნება! სისტემის დეპოლიტიზება უკვე მოხდა — ელემენტარულად, აღარავის ვავალებთ, ხალხი მიტინგზე გამოიყვანოს.

— წინ არჩევნებია...

> **— თუ შავ დღეში ჩავვარდები და მანდატურების, ან სასკოლო უბნების მეშვეობით, მიშას საწინააღმდეგო მიტინგზე, მასწავლებლებს დავუძახებ, მაშინ უკვე ვდარდობ ჩემს მომავალზე. ზოგადად, საკუთარი მორალური დაცემის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, მაგრამ დღეს იმედი მაქვს, ასეთი რამ არ დამემართება.**

— მანამდე ოპტიმიზებული სკოლების ბედი გავარკვიოთ — რა ხდება იმ რამდენიმე კრიმინალურ საქმეზე, როცა დახურული სკოლების რეაბილიტირება უგულავასა და „ნაციონალების“ სხვა მაღალჩინოსანთა პირადი ინტერესების გამო შეჩერდა?

— რამდენიმე გახმაურებული პროცესი უკვე მიმდინარეობს, ოღონდ სკოლის ფართის, ასე ვთქვათ, არაკვალიფიციურად გაქირავების თემაზე. სხვა საკითხია განათლების სისტემაში არსებული საკუთრება, რომლის შენარჩუნებაზეც ახლაც ვმუშაობთ ეკონომიკის სამინისტროსთან. ჩვენ მათ მუდმივ აღწერას ვატარებთ და პირადად ვიცავ ჩემი სამინისტროს ინტერესებს.

— მაშინ ნოდარ ხადურისგან დაიცავით თავი — კაცმა ყველას გული გაუხეთქა, პედაგოგებს ხელფასებს ვერ ვურიგებთო, ამ დროს, ხელფასებიც ეზრდებათ და საახალწლო დანამატსაც უკეთებთ!

— ხადურმა ეგ სრულიად სხვა კონტექსტში თქვა.

— გასაგებია, მაგრამ პოლიტიკური ბრძოლა და არჩევნები დამთავრდა და ახლა სწავლა-განათლებასაც რომ მივხედოთ, ხომ შეიძლება?

— სწორედ ხადურთან თანამშრომლობითა და მისი დახმარებით იზრდება ეს ხელფასები. ოპტიმიზაციის ნაწილში კი შემდეგი ვითარებაა — ამ თემას აქტიურად ვსწავლობთ, განსაკუთრებით, რაიონებში. ხშირად, სკოლები იქ იხურებოდა, სადაც 3-4 მოსწავლე იყო. ჩვენი მოტივაციაა, სკოლა ყველგან იყოს, მაგრამ 5-კაციანი, რეალურად, მართლა რთული წარმოსადგენია, ამიტომ, დაახლოებით, ასეთ სქემაზე გავდივართ: სადაც სკოლის დახურვამ ხალხის წასვლა განაპირობა, არსებობს პერსპექტივა, გახსნამ ხალხი დააბრუნოს და უფრო მეტიც ჩამოიყვანოს. ასე რომ, ადგილობრივ დეპუტატებს ამაში თავიანთი წვლილის შეტანა შეუძლიათ.

— სკანდალურ საქმეებს რაც შეეხება, რამდენიმეში, თუნდაც მთაწმინდის 44-ე სკოლაზე, თქვენი ინფორმაციით, ყოფილი მაღალჩინოსნების გვარები იკვეთება?

— ძალიან ვცდილობთ, სკანდალური, კრიმინალური თემების გამპიარებლები არ ვიყოთ. ბევრი თემა კრიმინალთანაა დაკავშირებული, მაგრამ სამინისტროდან არანაირი ინფორმაცია არ გამოდის.

დასასრული მე-9 გვერდზე

დეკემბერში მომხდარი ყველა მკვლელობის ფაქტი გახსნილია

შსს-ს ინფორმაციით, სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილი და სამინისტროს ოპერატიული დანაყოფების მიერ ჩატარებული კომპლექსური, პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად, მიმდინარე წლის დეკემბერში შეინიშნება კრიმინოგენული ვითარების სტაბილიზება და დანაშაულებრივი ფაქტების მკვეთრი შემცირება.

„2012 წლის დეკემბრის 3 კვირის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ნოემბერთან შედარებით, 3,5-ჯერ შემცირდა განზრახ მკვლელობის ფაქტები (დეკემბერში — 4, ნოემბერში — 14). ამასთან, გახსნილია ყველა მკვლელობა. დეკემბერში დაფიქსირდა მკვლელობის მცდელობის 6 ფაქტი, რაც 3,1-ჯერ ნაკლებია წინა თვეში არსებულ მონაცემზე, გახსნის მაჩვენებელი კი — 83%-ია. წინა თვესთან შედარებით, 28%-ით იკლო ქურდობის ფაქტებმა, ამასთან, თითქმის განახევრდა ავტონაწილების ქურდობა. საანგარიშო პერიოდში, გაზრდილია ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარების ფაქტების სტატისტიკა, რაც მოსახლეობის მხრიდან უკანონო ბრუნვაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის ნებაყოფლობითი ჩაბარების მასობრივი ფაქტებითაა გამოწვეული (დეკემბერში — 144, ნოემბერში — 111). აღნიშნული ტენდენცია მოსახლეობის მხრიდან ახალი ხელისუფლების მიმართ განსაკუთრებული ნდობის არსებობაზე მიუთითებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაშაულის პრევენციის მიზნით, კვლავაც განაგრძობს აქტიური ღონისძიებების ჩატარებას“, — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ბიძინა ივანიშვილი: „ჩვენები მხოლოდ საუბრობდნენ, ესენი კი აშენებდნენ“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან შეხვედრის შემდეგ, ჟურნალისტებთან განცხადა, რომ მათ ბევრ საკითხზე ისაუბრეს, მათ შორის, ორ ქვეყანას შორის საზღვრების დემარკაციის თემაზე. აზერბაიჯანი მზად არის, ქვეყნებს შორის დემარკაციის ხაზის გავლება მოხდეს.

ალიევმა სიამაყით აღნიშნა, რომ ეს პრობლემა აზერბაიჯანმა რუსეთთან სსრკ-ს დაშლისთანავე მოაგვარა. ივანიშვილმა კი განცხადა, ესაა ხელისუფლება, რომელიც ხალხზე, სახელმწიფოზე ზრუნავს და ჩვენმა მთავრობამ მათგან ბევრი რამ უნდა ისწავლოსო: **„მათ, მართლაც, შეუდარებელი მიღწევები აქვთ. სააკაშვილი აცხადებდა, რომ აშენებს, ჩვენ კი ვხედავთ, როგორი აშენებულია ბაქო. სიამოვნებით აღვნიშნავ მეზობელი ქვეყნის ასეთ მიღწევებს. ჩვენები მხოლოდ საურობდნენ, ესენი კი აშენებდნენ“.**

„ჯი-ეიჩ-ენი“.

პრეზიდენტი ამნისტიის შესახებ კანონპროექტის ნაწილს ვეტოს დაადებს!

„გადადახონ ეს ვეტო და აიღოს პასუხისმგებლობა პარლამენტმა, რომ ციხიდან უშვებს პედოფილებს, სახელმწიფო გადამტრიალებლებსა და რუსეთის ჯაშუშებს, მაგრამ მე საღ აზრზე ამას ხელს არ მოვაწერ!“

საქართველოს პრეზიდენტი ამნისტიის შესახებ კანონპროექტის ერთ ნაწილს ვეტოს დაადებს.

„ეს საფრთხის შემცველია. მეც მოვაწერე ხელი ბევრის გათავისუფლებას, რადგან სია წარმომიდგინეს. ამნისტია ხდება მაშინ, როცა ქვეყანაში სტაბილური ვითარებაა და შეგიძლია, ნელ-ნელა დააცარიელო ციხე. თუ უშვებ საშიში დამნაშავეების უდიდეს ნაწილს, ძალიან აშავებ“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, შენიშვნები აქვს ე.წ პოლიტპატიმრების სიასთან დაკავშირებითაც, რადგან არც ერთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას არ უთქვამს, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არსებობენ. **„ბელორუსში 5 პოლიტპატიმარია, ჩრდილოეთ კორეაში — 11 და საქართველოს პარლამენტი ამბობს, რომ საქართველოში 200 პოლიტპატიმარია. ვის ვაწონებთ ამით თავს?! ვაცხადებთ, რომ ვართ არასერიოზული ქვეყანა და თუ ვინმემ სერიოზულად მიიღო ეს განცხადება, მაშინ გამოდის, რომ ვყოფილვართ ბირმა, ბელორუსი და 70-იანი წლების დიქტატორები. მაშინ ამ ქვეყანაში ვინ ჩადებს ფულს, ვინ დაგასაქმებთ?! საუბარია კონკრეტულ ადამიანებზე“,** — განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ პატიმრებს მის ჯიბრზე უშვებენ და არა ვინმეს დაკვეთით. **„როდესაც ასეთ პატიმრებს უშვებ, ეს ან ჩემს ჯინაზე კეთდება — და მაშინ კიდევ გავიგებ, ან პირდაპირ, რუსეთის დაკვეთით. ამ ნაწილს დავადებ ვეტოს, რადგან არ მინდა, საქართველოს მოვჭრა თავი. მიმაჩნია, რომ დანარჩენი ამნისტიაც მიუღებელია, მაგრამ ეს არის პარლამენტის პოლიტიკური გადაწყვეტილება და თუ მათ სურთ, გადალახონ პირველ ნაწილში ჩემი ვეტო, აიღონ პასუხისმგებლობა, რომ საქართველოს თავს ჭრიან. გამოუშვან გადამტრიალებლები, რუსეთის აგენტები, პუტინი კიდევ ერთხელ შეაქებს, თავზე ხელს გადაუსვამს და იტყვის, რომ საქართველოდან პოზიტიური სიგნალებია. მე დავადებ ვეტოს ამას და იმასაც, რომ ყველა სხვა დანაშაულში გაჰყავთ პედოფილია, რომელიც არ იკურნება. ყველა სხვა დანარჩენი ჯანდაბას, მაგრამ პედოფილიის ნაწილს ვადებ ვეტოს. გადალახონ ეს ვეტოც და აიღოს პასუხისმგებლობა პარლამენტმა, რომ ციხიდან უშვებს პედოფილებს, სახელმწიფო გადამტრიალებლებს და რუსეთის ჯაშუშებს, მაგრამ მე საღ აზრზე ამას ხელს არ მოვაწერ“,** — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

„მე გარკვეული დანაშაული მიმიძღვის „ქართუ ბანკის“ წინაშე და მზად ვარ, ამისთვის პასუხი კანონის მთელი სიმკაცრით ვაგო. ვსარგებლობ შემთხვევით და ბოდიშს ვუხდი „ქართუს“ ყოფილ და ამჟამინდელ დამფუძნებლებს, ასევე დირექტორატს, ნებსით თუ უნებლიედ, შექმნილი პრობლემების გამო“, — ამ შინაარსის განცხადება გაავრცელა ბიზნესმენმა გიორგი ისაკაძემ მოდულის შენობაში შესვლამდე, რომელიც დაკითხვაზე ხუთშაბათს, 27 დეკემბერს დაიბარეს.

გიორგი ისაკაძე ბიზნესიდან მიდის!

მოდულის შენობაში გიორგი ისაკაძე „ქართუ ბანკის“ გაკოტრების დანაშაულებრივი სქემის გაშიფვრის შემდეგ გამოიძახეს. ეს სქემა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთი კვირის წინ გამოაქვეყნა და ამაზე „ვერსიაში“ ვრცლად უკვე ვწერდით. შეგახსენებთ, რომ ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, „ქართუ ბანკის“ გაკოტრების სქემაში დასახელებულია გიორგი ისაკაძე და მისი ორი კომპანია „ლოგოსი“ და ამხანაგობა „თეთრი სახლი“.

უკვე ერთი კვირაა, „ქართუ ბანკის“ მიზანმიმართულად გაკოტრების გამო, მოდულის შენობაში სხვადასხვა თანამდებობის პირებს იბარებენ. უკვე დაკითხეს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, ფინანსთა ყოფილი მინისტრი დიმიტრი გვინდაძე და ყოფილი პარლამენტარები ნაციონალური მოძრაობიდან — ანდრო ალავიძე და ზვიად კუკავა. გიორგი ისაკაძე საქართველოში შვილის ავადმყოფობის გამო არ იმყოფებოდა. პატარას პარიზში მძიმე ოპერაცია გაუკეთეს, მისი მდგომარეობა ახლა სტაბილურია და ოჯახი საქართველოში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა:

„ვაპირებ, აქტიურად ვითანამშრომლო გამოძიებასთან ყველა დეტალზე, რაც „ქართუ ბანკისა“ და ამ კომპანიების ურთიერთობას უკავშირდება. ნებისმიერი შედეგის დადგომის მიუხედავად, როგორც არ უნდა დამთავრდეს გამოძიება, მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ აქტიურ ბიზნესს თავს ვანებებ. მიუხედავად იმისა, რომ მიმაჩნია, ჩემთან ასოცირებული კომპანიების შემთხვევა თვისებრივად განსხვავდება ამ კლასიკური სქემისგან, რაც ბანკთან მიმართებაში განხორციელდა, მე მაინც გარკვეული დანაშაული მიმიძღვის „ქართუ ბანკის“ წინაშე და მზად ვარ, კანონის მთელი სიმკაცრით პასუხი ვაგო. ვსარგებლობ შემთხვევით და ბოდიშს ვუხდი „ქართუ ბანკის“ ყოფილ და ამჟამინდელ დამფუძნებლებს, ასევე დირექტორატს, ნებით თუ უნებლიედ, შექმნილი პრობლემების გამო“, — აღნიშნულია გიორგი ისაკაძის განცხადებაში.

გიორგი ისაკაძე კანონის დარღვევად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ იჩქარა და „ქართუ ბანკის“ გაკოტრების დანაშაულებრივი სქემის გაშიფვრის დროს, ის და მისი ორი კომპანია დაასახელა: **„მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო და სხვა საგამოძიებო პროცედურები ჩატარდებოდა, შეიძლებოდა ჩემი დამნაშავედ, ან სულაც კაციჭამიად შერაცხვა. მივმართავ შინაგან საქმეთა სამინისტროს და „ქართუ ბანკს“, რომ უახლოეს დღეებში გამოასწორონ ნებით თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომა, ჩემი დანაშაულებრივ სქემაში მონაწილეობის გამოცხადების შესახებ. ამით უხეშად დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმპცია, რადგან შერჩევითი პრინციპის საფუძველზე დამასახელეს ამ სქემის მონაწილედ და გაუგებარი იარლიყებიც მომაკერეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ შინაარსის განცხადების შემდეგ, წარმოუდგენლად მიმაჩნია, სრულიად შეულახული საქმიანი რეპუტაციით გავაგრძელო ბიზნესის კეთება“.**

ამ ეტაპზე უცნობია, რა მიმართულებით გააგრძელებს საქმიანობას გიორგი ისაკაძე.

ვერსიანიუსი

დანაშაულებრივმა ფაქტებმა იკლო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, ე.წ. გარდამავალ პერიოდში, ოქტომბერ-ნოემბერში შეინიშნებოდა კრიმინოგენული ვითარების დაძაბვა და დანაშაულის მატება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილი და სამინისტროს ოპერატიული დანაყოფების მიერ ჩატარებული კომპლექსური, პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად, მიმდინარე წლის დეკემბერში შეინიშნება კრიმინოგენული ვითარების სტაბილიზება და დანაშაულებრივი ფაქტების მკვეთრი შემცირება.

კერძოდ, 2012 წლის დეკემბრის 3 კვირის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ნოემბერთან შედარებით, 3,5-ჯერ შემცირდა განზრახ მკვლელობის ფაქტები (დეკემბერში — 4, ნოემბერში — 14). ამასთან, გახსნილია ყველა მკვლელობა. დეკემბერში დაფიქსირდა მკვლელობის მცდელობის 6 ფაქტი, რაც 3,1-ჯერ ნაკლებია წინა თვეში არსებულ მონაცემზე, გახსნის მაჩვენებელი კი — 83%-ია.

წინა თვესთან შედარებით, 28%-ით იკლო ქურდობის ფაქტებმა, ამასთან, თითქმის განახევრდა ავტონაწილების ქურდობა.

საანგარიშო პერიოდში, გაზრდილია ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარების ფაქტების სტატისტიკა, რაც მოსახლეობის მხრიდან უკანონო ბრუნვაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის ნებაყოფლობითი ჩაბარების მასობრივი ფაქტებითაა გამოწვეული (დეკემბერში — 144, ნოემბერში — 111). აღნიშნული ტენდენცია მოსახლეობის მხრიდან ახალი ხელისუფლების მიმართ განსაკუთრებული ნდობის არსებობაზე მიუთითებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაშაულის პრევენციის მიზნით, კვლავაც განაგრძობს აქტიური ღონისძიებების ჩატარებას, — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„მედიანიუსი“

2013 წელს ევროკავშირი საქართველოს 60 მილიონ ევროს გამოუყოფს

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის, ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, 2013 წლის იანვარში ხელი მოეწერება ხელშეკრულებას, რომელიც ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის 60 მილიონი ევროს გამოყოფას ითვალისწინებს.

ეს ინფორმაცია პეტრიაშვილმა შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე გააჟღერა.

20 მილიონი ინსტიტუციური მშენებლობების პროგრამებზე იქნება გათვალისწინებული, ხოლო 40 მილიონი სოფლის მეურნეობის, კერძოდ აგრარული სექტორის განვითარებას მოხმარდება.

„გარდა ამისა, ვმუშაობთ შემდგომში ეროვნული ინდიკატორული პროგრამის ფარგლებში გეგმის მომზადებაზე, რომელიც საქართველოსთვის 70 მილიონი ევროს გამოყოფას ითვალისწინებს“, — დასძინა პეტრიაშვილმა.

„მედიანიუსი“

ფინანსთა სამინისტრო ბიზნესის პრობლემებს აღმოფხვრის

ფინანსთა სამინისტრო, ბიზნესის პრობლემების აღმოფხვრისთვის აქტიურად იბრძოლებს. ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ უწყებაში სამი საკონსულტაციო საბჭო შეიქმნება და ამის შესახებ სამინისტროში გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. საბჭო კი ექსპერტებით, მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება.

„ჯი-ეიჩ-ენი“

„სმარტი“ – წლის ბრენდი!
სოსო ფხაკაძე – წლის ბიზნესმენი!

„ვისოლისთვის“ 2012 წელი განსაკუთრებულად წარმატებული იყო

საახალწლო განწყობა „ვისოლის“ წარმომადგენლებს ალბათ ათმაგად ამაღლებული აქვთ მას შემდეგ, რაც 2012 წლის მონაცემები შეაჯამეს. როგორც კომპანიის ხელმძღვანელობა პროგნოზირებდა, მიმდინარე წელი „ვისოლისთვის“ ძალიან წარმატებული იყო.

განსაკუთრებით წარმატებული კი, 2012 წელი „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილი კომპანია „სმარტისთვის“ აღმოჩნდა. „ვისოლის“ მიერ, 2010 წლიდან დაწყებული საქმის, „სმარტის“ ქსელის განვითარების ლოგიკური გაგრძელება ის გახლავთ, რომ ბრენდმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან (**EBRD**) 26 მილიონი დოლარის სესხი მიიღო. ამ თანხის წყალობით, 2015 წლამდე, საქართველოს მასშტაბით, 28-მდე სავაჭრო ცენტრი გაიხსნება. რუსთაველზე (ფოსტის ყოფილ შენობაში), აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, გუდაურში, ზუგდიდში, მარნეულში, ახალციხეში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე გახსნილ „ჩემ სუპერმარკეტებს“ მალე კიდევ ბევრი შეემატება. უახლოეს თვეებში კი, „სმარტის“ ნარინჯისფერი ციყვები თბილისის სხვადასხვა უბნებში, ბათუმში, ქუთაისსა და ფოთში დაიდებენ ბინას. ამ სასიამოვნო სიახლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულო შედეგი ის იქნება, რასაც „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე, ჟურნალისტებთან ყველა შეხვედრისას ხაზს სიხარულით უსვამს — მომავალი სამი წლის განმავლობაში „სმარტის“ სუპერმარკეტების ქსელის გაფართოების შედეგად, დამატებით 3000-მდე ადამიანი დასაქმდება. ამ ფონზე, ალბათ არც არავის გაკვირვებია, რომ ახალი ამბების სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ მიერ ორგანიზებულ „ოქროს პერგამენტის“ დაჯილდოებაზე, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, 25 დეკემბერს გაიმართა, 2012 „წლის ბრენდის“ ტიტული სწორედ ჩემ სუპერმარკეტს — „სმარტს“ ერგო. ამავე ღონისძიებაზე 2012 „წლის ბიზნესმენი“ და „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატი „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე გახდა.

ტიტულებითა თუ ჯილდოებით „ვისოლი“ წელსაც გაანებივრეს. ასე, მაგალითად, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ კომპანია **Global Idea**-ს და გაზეთ **The FINANCIAL**-ის მიერ ორგანიზებულ ბიზნესდაჯილდოებაზე „ოქროს ბრენდი“, ნავთობსექტორში რჩეულ ბრენდად აღიარეს. მუდმივად მომხმარებლის ინტერესზე, ხარისხზე, საუკეთესო მომსახურებაზე... ორიენტირებული ბრენდის პრეზიდენტისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“ ქართული საზოგადოების მიერ მინიჭებული ჯილდოები.

სოსო ფხაკაძე: „2010 წელს „ვისოლ ჯგუფი“ ევროპის ბიზნესდაჯილდოების წარმატებულ კომპანიათა ათეულში მოხვდა. თუმცა ჯილდო, რომელიც დღეს მოგვანიჭა ჩვენმა მომხმარებელმა და ზოგადად, ქართველმა საზოგადოებამ, „ვისოლ ჯგუფისთვის“ არანაკლებ მნიშვნელოვანია. ჩვენ ბიზნესს ვაკეთებთ საქართველოში, ვემსახურებით ადგილობრივ მომხმარებელს და ბუნებრივია, ამ კონკურსზე ჩვენი საქმიანობის ასეთი სახით აღიარება ჩვენთვის უაღრესად დიდი სიხარულის მომგვრელია“.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც „ვისოლ ჯგუფს“ 2012 წელს ჰქონდა, მულტინაციონალურ ბრენდ „ვენდისთან“ გაფორმებული გრძელვადიანი მემორანდუმია. აღნიშნული ბრენდი, ამერიკასა და ევროპის 27 ქვეყანაში 6500 სწრაფი კვების რესტორანს ფლობს. მასთან თანამშრომლობის შედეგად, „ვისოლ ჯგუფს“ კიდევ ერთი შვილობილი კომპანია — „ვენჯორჯია“ შეემატა და კომპანიამ სწრაფი კვების რესტორნების ქსელის, „ვენდის“ განვითარება დაიწყო საქართველოსა და აზერბაიჯანში. „ვენდი“ „ვისოლ ჯგუფთან“ ერთად, მომავალი 10 წლის განმავლობაში სწრაფი კვების 25 რესტორანს გახსნის.

2012 წელსვე, „ვისოლ ჯგუფი“ კიდევ ერთი მულტინაციონალური კომპანიის, „ვიანორის“ ოფიციალური წარმომადგენელი გახდა საქართველოში. ამის გამოხატულებაა ის, რომ „ვისოლი“, შვილობილი კომპანია „ავტოექსპრესის“ ავტომომსახურების ცენტრებს უკვე „ვიანორის“ ბრენდის ქვეშ ავითარებს. „ვიანორი“ **Nokian Tyres** ჯგუფის წევრი გახლავთ და 24 ქვეყანაში 1000-მდე ავტომომსახურების ცენტრს ფლობს. 2013 წლის ბოლომდე „ვიანორის“ 20 მომსახურების ცენტრი „ნოკიანის“ და „ნორდმანის“ ფირმის პრემიუმ კლასის საბურავების გარდა, მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის „ტოტალისა“ და „ფინას“ ფრანგულ საავტომობილო ზეთებს და სხვა საპოხ მასალებს, „ფრამის“ საავტომობილო ფილტრების, „ენერჯაიზერის“ ბრენდის აკუმულატორებს, „ატეს“, „ტექსარის“ და „აბსს“ ფირმის ხუნდებსა და ვულკანიზაციისა და ბალანსირების სრულ მომსახურებასაც შესთავაზებს. 2012 წელს „ვისოლ ავტო ექსპრესმა“ ფოთსა და ბათუმში შემომავალი ტრანზიტული გემებისათვის ფრანგული „ტოტალის“ ზეთების მიწოდებაც დაიწყო.

2012 წელს „ვისოლმა“ განაგრძო ავტოგასამართი სადგურების ქსელის განვითარება და მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასების ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით, როგორც საზოგადოებაზე მზრუნველმა კომპანიამ, მნიშვნელოვნად გაზარდა გაზგასამართი სადგურების ქსელი. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ავტოგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელი აქვს საქართველოში.

„ვისოლი“ ბიზნესს მხოლოდ ერთი მიმართულებით რომ არ ავითარებს, საქართველოში უკვე ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მან არა მხოლოდ ენერგეტიკის ყველა სფერო მოიცვა, არამედ, სამშენებლო, სარეკლამო, სუპერმარკეტებისა და სწრაფი კვების რესტორნების ბიზნესებიც. დასტურად, მხოლოდ ერთი პროექტი — 2012 წელს, კომპანიის მიერ ახალციხეში გახსნილი ულამაზესი და კომფორტული სასტუმროც გამოდგება, სახელწოდებით, „ლომსია“. „ვისოლ ჯგუფის“ ლოგო, შვილობილი კომპანიების — „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“, „ეარ ვისოლის“, „ვისოლ გაზის“, „ვისოლ ბუნკირების“, „ვიანორ ჯორჯიას“, „ვისოლ გაზის სადისტრიბუციო კომპანიის“, სამშენებლო კომპანია „დელტა ჰოლდინგის“, სარეკლამო კომპანია „ველაჯიოს“, სუპერმარკეტების ქსელი „სმარტის“, სწრაფი კვების რესტორნების ქსელი „ვენდის“, სასტუმრო „ლომსიას“, საფეხბურთო კლუბ „ტორპედო ქუთაისისა“ და ფიტნეს ცენტრ „ლაგუნა ქუთაისის“ კორპორაციულ ფერებს აერთიანებს. სლოგანი — „ხარისხი, რომელსაც ვენდობი“ კი, ყველა შვილობილი კომპანიის ძირითად დევიზი და ღირებულებაა.

მიმდინარე წელსაც, „ვისოლმა“ ტრადიცია არ დაარღვია და განსაკუთრებული ყურადღება ქართული სპორტის განვითარებას მიაპყრო. კომპანიამ, 2012 წელს ამ მიმართულებით გაღებული ინვესტიციების რაოდენობა გაზარდა. საბოლოო ჯამში, „ვისოლ ჯგუფმა“ 30 მილიონამდე ლარი გაიღო საფეხბურთო კლუბ „ტორპედო ქუთაისის“, ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ავაზას“, თბილისში შექმნილი ოთხი სპორტული კომპლექსის, ფიტნეს ცენტრ „ლაგუნა ქუთაისის“, „ტორპედო ქუთაისის“ საწვრთნელი ბაზის და ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის განვითარებისთვის. გაზრდილი დაფინანსების დამსახურებაა ის, რომ „ტორპედო ქუთაისს“ 2012 წელს ევროთასზე თამაშის შესაძლებლობაც მიეცა.

კომპანიის ხელმძღვანელებმა წელსაც არ თქვეს უარი, უკვე ძვალ-რბილში გამჯდარ ქველმოქმედებაზე და მათი წყალობით, არაერთი სასარგებლო პროექტი განხორციელდა, მაგალითად, სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად. დაარსების დღიდან კი, ფონდმა „იავნანამ“, „ვისოლთან“ ერთად, 100-მდე ოჯახს შეუძინა ბინა და 1000-მდე ბავშვს მისცა საშუალება, ოჯახურ, თბილ გარემოში იცხოვროს.

ნინო ლურსმანაშვილი

2013 წლიდან ქართველი მეზღვაურები საერთაშორისო სტანდარტების დონის წიგნაკებსა და სერტიფიკატებს მიიღებენ

2013 წლიდან ქართველი მეზღვაურები საერთაშორისო სტანდარტების დონის წიგნაკებსა და სერტიფიკატებს მიიღებენ.

ამის შესახებ სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორმა, მამუკა ახალაძემ და იუსტიციის სამინისტროს „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარემ, ლევან სამადაშვილმა ბათუმის იუსტიციის სახლში განაცხადეს.

სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ“ შეიმუშავა პროექტი, რომლის საშუალებითაც მეზღვაურის წიგნაკების, მეზღვაურის კომპეტენციისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების სრული განახლება განხორციელდა და 2013 წლიდან ქართველი მეზღვაურები საერთაშორისო სტანდარტების დონის წიგნაკებსა და სერტიფიკატებს მიიღებენ. აღნიშნული პროექტი „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ“ იუსტიციის სამინისტროს „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ დახმარებით განახორციელა.

სააგენტოს დოკუმენტების მოწესრიგებისა და სერვისების გამართვის კუთხით გამოცდილება გააჩნია. შესაბამისად, „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა“ და „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რის საფუძველზეც გადაწყდა, რომ 2013 წლის 3 იანვრიდან ქართველ მეზღვაურთა წიგნაკის, კომპეტენციისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ბეჭდვას (მომავალში კი, გაცემას) „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ განახორციელებს.

„პირველი“

მამუკა ახვლედიანი დაკითხვაზე დაიბარეს

თბილის საკრებულოს პირველი მოადგილე მამუკა ახვლედიანი პროკურატურაში დაკითხვაზე უკვე მეორედ, მოწმის სტატუსით დაიბარეს.

ახვლედიანის განცხადებით, პროკურატურაში მისი დაბარება რიყის ტერიტორიის გასხვისების საკითხს უკავშირდება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გრძელდება გამოძიება რიყის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისებისა და გამოსყიდვის ფაქტების შესწავლის მიზნით. **„გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ რიყის ტერიტორიის დიდი ნაწილი, 43 350 მ 2კვ ფართი, 2006 წლის 6 ივნისს, თბილისის მერიის მიერ პირობადადებული ხელშეკრულებით, 7 000 000 აშშ დოლარად გასხვისდა ერთ-ერთ შპს-ზე. აღნიშნულ საწარმოს საფასურის გადახდის გარდა, ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება საკუთარი ხარჯებით განეხორციელებინა ავტომაგისტრალის გადატანა, საფეხმავლო ხიდის აგება და რიყის ტერიტორიის სარეკრეაციო ზონის განაშენიანება. 2008 წლის 30 დეკემბერს ისე, რომ აღნიშნულ შპს-ს არ ჰქონდა დაწყებული სამშენებლო სამუშაოების შესრულება, ზემოხსენებული მიწის ფართები თბილისის მერიის მიერ გამოსყიდულ იქნა 17 000 000 აშშ დოლარად“,** — აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

შეგახსენებთ, რომ ამ თემაზე მოწმის სახით უკვე დაიკითხნენ თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის იმჟამინდელი წევრები, მერიის სხვადასხვა სამსახურების თანამშრომლები, რომლებსაც შეხება ჰქონდათ ხსენებულ საკითხთან. გამოძიების მიერ ამოღებულია შესაბამისი დოკუმენტები სხვადასხვა უწყებიდან და მიმდინარეობს გამოძიება.

თავად ახვლედიანი აცხადებს, რომ მზადაა, გამოძიებასთან ითანამშრომლოს:

„დაკითხვა უკავშირდება რიყის თემას. რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას, დაკითხვის წინააღმდეგი არ ვარ. პირიქით, ვფიქრობ, რომ ეს ნაბიჯი დაგვიანებულია, ჯერ მე უნდა გამსაუბრებოდნენ. მიმაჩნია, რომ ეს საკითხი პოლიტიკურია და სამწუხაროდ, დღევანდელი პრემიერ-მინისტრის პირადი ინტერესები იკვეთება ამ თემასთან დაკავშირებით“.

„ჯი-ეიჩ-ენი“

გაიღე სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე — იყავი გმირი!

ეკა სეხნიაშვილი

შპს „საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“ დაარსებიდან 80 წელს ითვლის. 2010 წლის მარტში ფირმა „მედინვესტ ჯორჯიამ“ შეისყიდა სს „სისხლის პრეპარატების რესპუბლიკური ცენტრი“. 2010 წლის აგვისტოდან სამსახური გადაკეთდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად — „საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“ კერძო ინვესტორის, ქველმოქმედ და ბიზნესმენ ნატო კვანტალიანის უშუალო ხელშეწყობითა და დახმარებით უახლესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღიჭურვა და ევროსტანდარტების სისხლის ბანკად იქცა.

გარე და შიდა ინტერიერის მოწესრიგების გარდა, უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება ფრანგულ კომპანია „მარკო ფარმასთან“, შემოტანილია თანამედროვე დანადგარები, რომელიც სისხლის შენახვის, მიღების, გაცემისა და ყველა სხვა სამედიცინო პროცედურის უმაღლეს დონეზე ჩატარებას უზრუნველყოფს. „მარკო ფარმას“ ულტრათანამედროვე სისხლის შემნახველი ერთჯერადი ჩანთები და მისი სტერილურობა სისხლის შენახვის უსაფრთხოების 100-პროცენტიან გარანტიას იძლევა. საქართველოს მოსახლეობას უკვე აქვს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სისხლის ბანკი, სადაც მათი დაცულობისა და მომსახურების მაღალი გარანტიები იქნება.

ნატო კვანტალიანი, შპს „მედინვესტ ჯორჯია-საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკის“ დირექტორი:

„ჩვენს მიერ მოდერნიზებულ სისხლის ბანკში სრულად განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ევროსტანდარტების დონეზე აღიჭურვა ჩვენი ბანკი. შენობის რემონტის გარდა, ჩვენ მოვახერხეთ ხელფასების თითქმის 3-ჯერ გაზრდა. ამასთანავე, სრულად შევინარჩუნეთ მედპერსონალი, ძველი კადრები და თანამშრომლების რაოდენობა. ჩვენთან დღეისთვის, 80-მდე თანამშრომელია დასაქმებული. სწორედ ამის გამოძახილი იყო და სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ დღეს ლიდერები ვართ ბაზარზე დონორთა რაოდენობით: თვეში 1000 დონორი უზრუნველყოფილია ჩვენთან არსებული უსაფრთხო და დაცული მომსახურების გარანტიებით.

ჩვენს ფუნქციაში შედის დონორთა სწორი შერჩევა დონაციისთვის, სისხლის კომპონენტების დამზადება და კლინიკების მომარაგება საჭირო რაოდენობის სისხლის კომპონენტებით, ამისთვის მთელი რიგი ტექნოლოგიური ციკლის გავლაა საჭირო. სისხლის აღების შემდეგ ხდება მისი გამოკვლევა უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ ინფექციებზე: შიდსი, ჰეპატიტი, „ცე“ ჰეპატიტი და სიფილისი. აღებული სისხლის კომპონენტების ინფექციებზე შემოწმება ხდება იმუნოფერმენტული მეთოდით, ვიყენებთ „მეოთხე თაობის ტესტებს“. ორი წელია, ხმარებიდან ამოვიღეთ „სწრაფი მარტივი ტესტები“. დონორისგან სისხლის აღების შემდეგ ხდება მისი დამუშავება სპეციალური ტექნოლოგიით, მისი სეპარირება და საბოლოო პროდუქციის დამზადება. ამის შემდეგ ხდება კლინიკების მოთხოვნების შესაბამისად მათი მომარაგება საჭირო სისხლის კომპონენტებით. დღევანდელი მონაცემებით ქვეყნის მასშტაბით ხელშეკრულება გვაქვს 64 კლინიკასთან. წარმოებისა და მომარაგების მხრივ ვფლობთ ბაზრის 30%-იან წილს. გვაქვს 24-საათიანი მომსახურება სისხლის კომპონენტების მიწოდების თვალსაზრისით და ამას ვახორციელებთ ჩვენივე ტრანსპორტირებით“.

„იმედია, ხელისუფლება დანაპირებს მალე შეასრულებს!“

ემიგრანტები ივანიშვილის მთავრობას თავს ახსენებენ

თამარ მელქაძე

ქართველი ემიგრანტების მიერ შექმნილმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მე დავბრუნდები“, „ემიგრანტთა მარშის“ 100 დღისთავზე ახალ ხელისუფლებას საკუთარი არსებობა გაახსენა და დედაენის ბაღში, სადაც ზუსტად 100 დღის წინ პრემიერ ივანიშვილთან ჰქონდათ შეხვედრა, თარიღისადმი მიძღვნილი აქცია გამართა.

„ახალ ხელისუფლებას თავს ვახსენებთ. 100 დღე გავიდა „ემიგრანტთა მარშის“ მერე, რომელიც ქურდების მიერ ორგანიზებულ აქციად შეფასდა. ჩვენი დაბრუნება კონკრეტულ მოთხოვნას ეხებოდა — არსებულ ხელისუფლებას ემიგრანტებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა. მსვლელობა ემიგრანტების ძალისხმევით დაიგეგმა და დაფინანსდა. გვესმის, რომ ცოტა დრო გავიდა სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლიდან და ამ ეტაპზე, მათგან არაფერს ვითხოვთ. აქციით კიდევ ერთხელ გამოვხატეთ მზადყოფნა გვერდით დავუდგეთ ჩვენს ქვეყანას. მზად ვართ, კონსულტაციაში შევიდეთ ნებისმიერ ძალასთან, რომელიც ჩვენ პრობლემებზე იზრუნებს. ცალკე ნაციონალური მოძრაობა, ცალკე „ქართული ოცნება“ ბევრ რამეს პირდებოდა ემიგრანტებს და იმედია, ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან ამ დანაპირების ასრულებაში“, — განაცხადა „ვერსიასთან“ არასამთავრობო ორგანიზაცია „მე დავბრუნდების“ წარმომადგენელმა გიორგი ოკრიბელაშვილმა.

ქართველებს სულსწრაფობა გვჩვევია და როგორც ირკვევა, გამონაკლისი არც ემიგრანტები გახლავთ: **„არჩევნების შემდგომ პერიოდში ემიგრაციაში არეული სიტუაციაა. ზოგი გულდაწყვეტილია, რადგან ზოგადად, ქართველებს გვჩვევია სულსწრაფობა. ერთ კვირაში, ერთ თვეში არ ხდება ამდენი ემიგრანტის დაბრუნება. ეს ქვეყანას სერიოზული კრიზისის წინაშე დააყენებს. ჩვენ ნდობა გამოვუცხადეთ ახალ ხელისუფლებას. გვესმის, რომ უნდა ვაცადოთ, მაგრამ სამწუხაროდ, პრობლემის მოგვარების ტემპით არ ვართ კმაყოფილები. ჯერ სტრატეგიაც კი არ აქვთ ჩამოყალიბებული. გარდა ამისა, საერთოდ, არ საუბრობენ, რა სჭირდება ემიგრაციას კანონმდებლობისგან. ამ საკითხზე კონსულტაციებიც არ გამართულა. ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბება განაპირობა იმან, რომ ჩვენი დაბრუნების საკითხში პირადად მივიღოთ მონაწილეობა. მთავარია, შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა. ჯერ-ჯერობით, ასეთი ვითარებაა — არ იციან, რა სჭირდება ემიგრაციას. იმედია, დიასპორის სამინისტრო მუშაობს ამ კუთხით. თუ პრეზიდენტს სურს აჩვენოს, რომ თანაცხოვრების რეჟიმშია, კონსულები და ელჩები სასწრაფოდ უნდა გამოიწვიოს. ემიგრანტებს ამ ხალხის ეშინია, რადგან ეჭვობენ, რომ 2008 წელს ემიგრანტების მასობრივი დეპორტი იტალიაში საკონსულოს მიერ გადაცემული სიებით განხორციელდა. ეს საკმარისი მიზეზია იმისთვის, რომ საკონსულოში მისვლის ეშინოდეთ“,** — განაცხადა ოკრიბელაშვილმა.

ორგანიზაციის თავმჯდომარის, ინა ოსიძის განცხადებით, ისინი მაქსიმალურად დაუდგებიან გვერდით საქართველოს ემიგრანტებს და ყველანაირად ხელს შეუწყობენ სამშობლოში მათ დაბრუნებას.

„ჩვენი ორგანიზაციის მიზანია, დავეხმაროთ ჩვენს მოქალაქეებს, უახლოეს პერიოდში დაბრუნდნენ სამშობლოში, ვაპირებთ ემიგრანტთა ბაზის შექმნას. დღეისთვის, აღრიცხულია სულ 650 000 კაცი, სინამდვილეში კი, 2 000 000 კაცამდეა ემიგრირებული. რთულია ევროპაში მყოფი ჩვენი მოქალაქეების აღრიცხვა, რადგან არსებობს დეპორტის საშიშროება. როგორც ვიცი, ახალი ხელისუფლება აქტიურად მუშაობს ამ პროგრამაზე. ჩვენი დაბრუნება იყო ემიგრანტების მიერ ორგანიზებული მარში. ვითხოვდით, ჩვენთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოეცათ. ჯერ ძალიან ცოტა დრო გავიდა და მჯერა, ხელისუფლება მალე შეასრულებს დანაპირებს“.

აქციაზე პოლიტიკური შინაარსის ტრანსფარანტებიც იყო და შესაბამისად, გაჩნდა კითხვა — რამდენად მოსალოდნელია, ორგანიზაცია მომავალში პოლიტიკურ ძალად გადაკეთდეს? — რაზეც „ვერსიამ“ უარყოფითი პასუხი მიიღო.

„ვფიქრობ, მივავიწყდით ახალ ხელისუფლებას. აქციით ვახსენებთ, რომ ისევ ემიგრანტები ვართ. ჩვენი მარშით სოლიდარობა გამოვუცხადეთ წინასაარჩევნო პროცესებს. არადა, აქამდე აბსოლუტურად იგნორირებულნი ვიყავით და არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ გვქონდა. გაჩნდა იდეა, ჩამოვსულიყავით საქართველოში და დემოკრატიული პროცესებისთვის მხარი დაგვეჭირა. დაბრუნების იმედიც გაგვიჩნდა“, — აღნიშნა ორგანიზაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა ლიპარტელიანმა.

დაგეგმილ ღონისძიებაში ქართველი ხელოვანებიც მონაწილეობდნენ. აქციის განმავლობაში ჯემალ სეფიაშვილის ცნობილი ჰიტი „ჩვენ დავბრუნდებით“ გაჟღერდა.

„როგორც 100 დღის უკან, ახლაც ემოციით ვარ სავსე. ემიგრანტების თემა ძალიან ფაქიზია. 2 მილიონამდე ადამიანია წასული საქართველოდან. კარგია, ჩვენი სიმღერა ასეთი პოპულარობით რომ სარგებლობს ემიგრანტებში. სწორედ „ჩვენ დავბრუნდებით“ გახდა საბაბი, შექმნილიყო სპეციალური ორგანიზაცია. მიხარია, პატარა წვლილი რომ შევიტანე ჩემი ხალხის, თუნდაც, პატარა სიხარულში“, — აღნიშნა სეფიაშვილმა.

ქართველ ემიგრანტთა მხარდამჭერ აქციას საქველმოქმედო ფონდ „ქომაგის“ ხელმძღვანელი ია მეტრეველი ესწრებოდა, რამაც გვაფიქრებინა, რომ შესაძლოა, ფონდი, რომელსაც დღეს საქმიანობა შეწყვეტილი აქვს, არასამთავრობო ორგანიზაციას შეუერთდეს. **„ქომაგმა“ საქმიანობა დროებით შეწყვიტა. ახლა ძიების პროცესში ვართ. არაა გამორიცხული, ამ ორგანიზაციაში გავერთიანდეთ. მხარდაჭერას ვუცხადებთ ყველა ემიგრანტს, ვინც ჩამოვიდა და რეჟიმის წინააღმდეგ მშვიდობიან ბრძოლაში ჩაება. როცა წინა ხელისუფლებამ ჩვენ ფონდს ანგარიშები დაუყადაღა, გვერდით ემიგრანტები დაგვიდგნენ და უფლება არ მქონდა, სხვაგვარად მოვქცეოდი მათ“,** — განაცხადა ია მეტრეველმა.

„კოდა“ – ქველმოქმედი და ხელოვნების ქომაგი კომპანია

შპს „პოულტრი ჯორჯია“ (ყოფილი „კოდა“), საქართველოს ბაზრის 55%-ს ფარავს. „კოდა“ აწარმოებს მაღალი ხარისხის საინკუბაციო კვერცხს, ბროილერის ჯიშის ქათმებს, ნედლ და გაყინულ ქათმებს, ქათმის ხორცპროდუქტებს — ბარკლებს, ფილეს. კომპანია უახლესი ტექნოლოგიური ხაზითაა აღჭურვილი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს უშვებს. კომპანია „კოდა“ 2012 წლის ორიგინალურად გაცილებას გეგმავს. მარკეტინგის სამსახურის მენეჯერის, ვასილ ბეშქენაძის გადაწყვეტილებით, ის თანამშრომლები, რომლებიც დაარსების დღიდან „კოდაში“ მუშაობენ, სიმბოლურ საჩუქრებს მიიღებენ. კორპორატიული წვეულება წლის ბოლო დღეს, კომპანიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართება.

წინასაახალწლოდ, კომპანიის ძველ თანამშრომლებს სიმბოლურ საჩუქრებს გადასცემენ

„ვერსიასთან“ საუბრისას „კოდას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, **ნინო ფოჩიანმა** აღნიშნა, რომ ვიდრე საჩუქრებს შეარჩევდნენ, ძველ თანამშრომლებს შორის მცირე გამოკითხვაც ჩაატარეს:

„კომპანიის ძველი თანამშრომლები სიმბოლურ საჩუქრებს მიიღებენ, რაც მათივე სურვილით შევარჩიეთ. ეს არის კედლის საათები, რომლებიც „კოდას“ ლოგოთი დავბრენდეთ და შევფუთეთ. საათსაც სიმბოლური დატვირთვა აქვს — წამზომი ჩართულია, დრო მიდის, მაგრამ ამ ხნის მანძილზე, „კოდაც“ წარმატებით მუშაობს და ის თანამშრომლებიც, რომლებიც დაარსების დღიდან ჩვენს გვერდით არიან. ამ შემთხვევაში, მთავარია ყურადღება, რასაც კომპანია ძველი თანამშრომლების მიმართ იჩენს, როდესაც მათ ღვაწლსა და შრომას აფასებს. ეს კარგი მაგალითი და სტიმულის მიმცემია დამწყები და ახალგაზრდა თანამშრომლებისთვის, რომლებიც არც ისე დიდი ხანია, შემოგვიერთდნენ“.

ნინო ფოჩიანმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ „კოდაში“ დაარსების დღიდან, ანუ 2002 წლიდან, 82 თანამშრომელი მუშაობს. მთლიანობაში, რეგიონების ჩათვლით, კომპანიაში 700-მდე ადამიანია დასაქმებული. დაარსების დღიდან, აქ ასეთი ტრადიციაა — ყოველ ახალ წელს და აღდგომის დღესასწაულზე, კომპანიის ყველა თანამშრომელს „კოდას“ გამოშვებული პროდუქციით ასაჩუქრებენ. გარდა ამისა, თანამშრომლები ფულად პრემიასაც იღებენ.

ძველ თანამშრომლებს შორის, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით, ვლადიმერ თვაური გამოირჩევა, რომელიც „კოდას“ სამშენებლო უბნის მენეჯერია. ამაყობს, რომ 10 წელია, წარმატებულ კომპანიაში მუშაობს და კმაყოფილია იმ ყურადღებით, რასაც თითოეული თანამშრომლის მიმართ იჩენენ.

ძველი თანამშრომლების დასაჩუქრების გარდა, „კოდა“ საქველმოქმედო საქმიანობასაც აქტიურად აგრძელებს და წელსაც, პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ პარტნიორი იყო. ნოემბერში გამართულ ერთ-ერთ კონცერტზე, „კოდამ“ ფონდ „იავნანას“ ფარგლებში, ხაშურის რაიონის სოფელ ცხრა მუხაში მცხოვრები დეკანოზ გიორგის მრავალშვილიან ოჯახს, საცხოვრებელი სახლის გასაღები გადასცა. „კოდამ“ ეს სახლი იმავე სოფელში, 25 000 აშშ დოლარად შეიძინა. ქველმოქმედი და ხელოვნების ქომაგი კომპანია „კოდა“, „სუხიშვილებისა“ და თემურ თათარაშვილის კონცერტების ერთ-ერთი სპონსორიც გახლდათ.

შეგახსენებთ, „კოდა“ თანამშრომლობს პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდთან — „იავნანა“, სათნოების სახლთან — „კათარზისი“ და შემოქმედ ხელოვანთა კავშირთან — „ჯორჯიან არტ ჰოლდინგი“. „კოდა“ მონაწილეობს ბავშვთა სააღდგომო ფესტივალზეც, რომელსაც საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილი“ მართავს.

მაია მიშელაძე

გიორგი მარგველაშვილი: „არ მინდა, განათლების სისტემა ხალხს პროკურატურაში გადაგზავნილი საქმეებით დაამახსოვრდეს!“

მე-5 გვერდიდან

— ითქვა, რომ სხვადასხვა უწყებების ფინანსური შემოწმება იწყება და ასეთად, არჩილ კბილაშვილმა, სწორედ თქვენი სამინისტრო დაასახელა. იმის ალბათობა თუა, არსებული დარღვევების გამო, დიმიტრი შაშკინი დაიჭირონ?

— როგორ, ვირტუალურად?! დაჭერებზე საერთოდ არ მინდა საუბარი. ჩემი სურვილი სისტემის გამართვაა. ბევრი დარღვევა შემხვდა, მაგრამ ამის გასწორება ჩვენი სისტემის მთავარი პიარმაჩვენებელი არ იქნება. ინტენსიურად ვმუშაობთ სამართალდამცველებთან, მაგრამ ამას არ ვაპიარებთ. ყველაფერს ნორმალურ, რეგულარულ რეჟიმში ვაკეთებთ, როგორც სხვა უწყებები.

— სხვა უწყებებში, მისვლის წამიდან ითვლიდნენ და აქვეყნებდნენ, რამდენი დაიხარჯა ბიუჯეტიდან არამიზნობრივად!

> **პრეზიდენტი ჩვენი მერხებით არსად დაფრინავდა, ასე რომ, ეს თემა არ გვეხება! არ მინდა, განათლების სისტემა ხალხს პროკურატურაში გადაგზავნილი საქმეებით დაამახსოვრდეს! მასალები სამართალდამცველებთან მოიკითხეთ. ჩემი მიზანია, განათლების სისტემის მიმართ ნდობა ავამაღლო, რასაც კრიმინალური სკანდალებით ვერ გავაკეთებ. დაიჭერ ერთ მასწავლებელს ქრთამის აღებაზე, მერე ეჭვი ყველა მასწავლებლის მიმართ გაჩნდება, ასე რომ, ყველაფერი ჩუმად, ჰიგიენის დონეზე ხდება — როცა კბილებს ვიხეხავთ და ამაზე რეპორტაჟს არ აკეთებენ, ისე გავაკეთებთ ამ საქმესაც!**

— გეტყვით, რა აამაღლებს ნდობას სისტემისადმი — ცოტა ხნის წინ, კალმისტრის თავსახურით ბავშვი დაიხრჩო. რით ვერ დადგა დღის წესრიგში სკოლებში ექიმისა და ექთანის კაბინეტის აღდგენის საკითხი?

— ეს კაბინეტი საჭიროა, ამავდროულად, უდიდეს ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამ თემაზე უკვე ვმუშაობთ ჯანდაცვის სამინისტროსთან და მგონი, ჩემზე ბევრად კვალიფიციური დავით სერგიენკოა. ამ უბედურებიდან მეორე დღეს, ჩვენი ერთობლივი, მყისიერი რეაქცია ის იყო, რომ მანდატურებისა და მასწავლებლების გადამზადება დაიწყება.

— შაშკინი ხომ ამბობდა, მანდატურებმა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ისედაც იციანო?

— მესმის, როცა ასეთი შემთხვევაა სკოლაში, მანდატურმა და სკოლის 3-4-მა მასწავლებელმა სიტუაციის სტაბილიზება, გადაუდებელი პირველადი დახმარების გაწევა და დროის მოგება უნდა შეძლოს კვალიფიციური ადამიანების მოსვლამდე. უკვე დავიწყეთ მანდატურების მომზადების პროცესი და მათ პედაგოგებსაც მივაყოლებთ, უფრო სისტემურ მიდგომაზე კი ცოტა გვიან ჩამოვყალიბდებით.

— კიდევ ერთი — წელს სკოლები საატესტატო გამოცდებს თვითონ ატარებენ — ეს უფრო ფორმალურ გამოცდებს ჰგავს, ცოდნის რეალურ დონეს ვინ გადაამოწმებს?

— კომპეტენციის ზღვარი ნამდვილად ძალიან დაბალი იქნება, სკოლებს სამინისტროს წარმომადგენლები დაეხმარებიან გამოცდების ორგანიზებაში, გამოცდებს კი თვითონ სკოლა ატარებს. შემიძლია, დანამდვილებით ვთქვა: თუ საჩივარი შემოვა, რომ ბავშვს უსამართლოდ მოექცნენ, ნამდვილად გადავამოწმებთ. რაც შეეხება ეროვნულ გამოცდებს, აქ ძველი შემადგენლობითა და ძველი ინერციით მივდივართ.

— დაბოლოს, მარად უკვდავი თემა, ერთი და იგივე საგნის წიგნის რამდენიმე ავტორი — სამინისტროს მიდგომა ამაზე უკვე არსებობს?

> **— პირველი, რასაც შემოგთავაზებთ, წიგნების გაიაფება-გამსუბუქების თემაა. ამ წიგნების წონა, მთელი ჩემი დღედამოსწრება მაღელვებს. ასე რომ, 2013 წლისთვის სწორედ ამაზე ვმუშაობ, ხოლო შინაარსის დახვეწაზე მომავალში ვიზრუნებთ!**

აღდგება თუ არა სკოლებში ექიმის კაბინეტი და რას ნიშნავს სასკოლო უბნის სისტემა, რომელიც 2013 წლის გაზაფხულზე დაინერგება

აკაკი მინაშვილს ბიძინა ივანიშვილი თავისი ფანტაზიით ანცვიფრებს

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, აკაკი მინაშვილის განცხადებით, ბოლო პერიოდში პრემიერ-მინისტრი კიდევ ერთხელ გვანცვიფრებს თავისი ფანტაზიით: **„ბიძინა ივანიშვილს ჰგონია, სახლობანას თამაშობს, ან საკუთარ კორპორაციას მართავს. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებულია, რომ სამყარო მის ირგვლივ ტრიალებს. მინდა, კიდევ ერთხელ, გავაკეთო კომენტარი მის განცხადებაზე, რომ ნაციონალურ მოძრაობაში კრიმინალები არიან და ოპოზიცია სადღაც, შიგნიდან უნდა შეიქმნას. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მას არ სურს ნამდვილი, კრიტიკული ოპოზიციის ყოლა, რომელიც შენიშვნებს აძლევს. მეორე მხრივ, მას სურს, ჰყავდეს მორჩილი, მართული პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ნებისმიერ საკითხზე კვერს დაუკრავს“**, – განაცხადა აკაკი მინაშვილმა და ამის მაგალითად, საპარლამენტო უმრავლესობასთან შესახვედრად, ივანიშვილის ქუთაისში ვიზიტი დაასახელა.

მინაშვილისვე თქმით, პრემიერის მთავარი მიზანი არა ქვეყნის მომავალსა და გეგმებზე საუბარი, არამედ ის იყო, რომ პარლამენტში დისციპლინა დაემყარებინა და განსხვავებული აზრის მქონე უმრავლესობის წევრებს მკაცრად მოქცეოდა. მისი შეფასებით, ივანიშვილმა წარმატებულად აითვისა ის ე.წ. დემოკრატიული მაგალითი, რომელიც ჩვენს ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანაშია დამკვიდრებული. **„რუსეთშიც იგივე მიდგომა არსებობს“**, – დასძინა დეპუტატმა.

„მედიანიუსი“

ის ერთი და სხვა სამასსამოცდახუთი

დიტო გელოვანი

16 იანვარი. როგორც ზემოთ გითხარით, გასულ კვირაში სააკაშვილმა გორში საავადმყოფო გახსნა და თქვა, რომ „ქართულ პოლიტიკურ რეალობაში პოლიტიკური წარსულის ვამპირები, მუმიები, სხვადასხვა ურჩხულები ვეღარ დაბრუნდებიან“. იქვე ისიც თქვა, მუმიები მხოლოდ ფილმებში ბრუნდებიანო... ფილმებიდან, დეტექტივებიდან და სამეცნიერო ლიტერატურიდან ვიცი, რომ დამნაშავეები, განსაკუთრებით – მკვლელები, ყოველთვის უბრუნდებიან დანაშაულის ადგილს. ალბათ, ამას უნდა მივაწეროთ მიხეილ სააკაშვილის გახშირებული ვიზიტები გორში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საავადმყოფოები ბევრგან გაიხსნა და გორი მხოლოდ ერთ-ერთი გაჩერება იყო.

საავადმყოფოები ბევრგან გაიხსნა, ყველა სააკაშვილმა გახსნა და მადლიერმა ქართველმა ერმა მას ამის გამო „ატკრივალკაც“ კი შეარქვა. სააკაშვილი სხვადასხვა თანამდებობის პირების მოხსნითაც არის ცნობილი და „ატკრივალკსთან“ ერთად „პროპოშნიკის“ საპატიო წოდებაც რომ მივანიჭოთ, ვფიქრობ, ამით არაფერი დაშავდება. პროპკა, რომელმაც პროპოშნიკობას მიაღწია. ენაცვალოს თემური ბიძია...

30 იანვარი. მთელი გასული კვირა ერთსა და იმავე ძველ კადრებს ატრიალებდნენ „რუსთავი-2“ (დეზინფორმატ-2) და „იმედი“ (რომელიც ყველას ხოცავს და ბოლოს თვითონაც კვდება) – ობამა და სააკაშვილი ერთმანეთს ხვდებიან და ხელს ართმევენ, შემდეგ ჟურნალისტებთან გადიან და ისევ ართმევენ ერთმანეთს ხელს, სააკაშვილი იღიმება და ამ ღიმილისთვის ორი მიზეზი აქვს: 1. ობამამ მას ხელი ჩამოართვა; 2. რუსეთმა საქართველოს ჩამოართვა ტერიტორიები.

იმავე კადრებში, ბოლოს, ობამა და სააკაშვილი ერთმანეთს ართმევენ ხელს და აღნიშნული ტელევიზიები სიამოვნებით გვიფიქსირებენ, რომ სააკაშვილი არის ტომ კრუზზე მაღალი, ბრედ პიტზე უხვი, ტომ ჰენკსზე მდაბალი და ბევრად ლაშქარმრავალი, ვიდრე სილვესტერ სტალონე „რემბოში“, არნოლდ შვარცენეგერი „კომანდოში“ და ჩაკ ნორისი „მარტოხელა მგელში“ (აძინოკი ვოლკ).

6 თებერვალი. საზღვაო აკადემია, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი, მსოფლიო ბანკი, აშშ-ის მშვიდობის ინსტიტუტი კალიფორნიაში, **Basecamp**-ის სამიტი კალიფორნიაში... – ეს რია–რიას ჩამონათვალია. რაც შეეხება ლაი–ლაის, აქ უკვე მრავალწერტილი ვერ გვიშველის და ვერც მრავალი მრავალწერტილი. თუმცა, ვფიქრობ, რამდენიმე მარგალიტს თუ გავიხსენებთ, არც ჩვენ გვეწყინება და არც შთამომავლობას.

„ერთხელ აეროპორტში მივდიოდი და ჩემმა მეგობარმა, რომელიც ჩემი პირადი მცველიცაა, მითხრა, რომ რადარზე ნახეს, როგორ იყო დამიზნებული ჩემს თვითმფრინავზე სრულ მზადყოფნაში მოყვანილი რუსეთის საჰაერო თავდაცვის სისტემა. ღილაკზე მხოლოდ ერთი თითის დაჭერა უნდოდა და თვითმფრინავი ჩამოვარდებოდა“, – რავარია? ტექნიკურ საკითხებს ნუ ჩავუღრმავდებით და ერთი ჰუმანიტარული შეკითხვა დავსვათ: სად ყავს მიშას მეგობრები?

„ერთხელაც გაფრენამდე ჩემთან მოვიდა ჩემი პრესმდივანი და ანერვიულებულმა მითხრა, რომ ჩემს თვითმფრინავს ჩამოაგდებდნენ, რადგან ყველა რუსული ვებგვერდი წერდა, რომ 40 წუთში გაფრენას ვაპირებდი“, – მაგარია! დავძენ, რომ ამ სიტყვების ავტორი ყოველ 40 წუთში აპირებს გაფრენას, მაგრამ ყოველ ნახევარ საათში აფრენს.

22 თებერვალი. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილის განცხადებით, ლეიბორისტული პარტია ერთადერთი პოლიტიკური ძალაა, რომელმაც თეთრ სახლთან პროტესტის გამოხატვა გაბედა. როგორც ნათელაშვილმა „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში აღნიშნა, ამ დღით ძალიან ამაყობს. „როდესაც უცხო ენა არ იცი, დაზეპირებას სჯობს წაიკითხო. ვისაც „Down The Dictator“-ზე ეცინება, მიმაჩნია, რომ მინდორში დაგდებული მკვდარი დაკრეჭილი ვირია. პოლიტიკოსს თუ ხუმრობის ნიჭი არ აქვს, ის პოლიტიკოსად ვერ შედგება, მაგრამ დღეს ვცდილობ აღარ ვიხუმრო, რადგან ტელევიზიები ჩემს გამონათქვამებს მონდომებით ატრიალებენ, ლეიბორისტული პატრიის საქმიანობას კი არ აშუქებენ. თუ ჩემგან ბევრ ხუმრობს ვეღარ მოისმენთ, არ გეწყინოთ“, – განაცხადა ნათელაშვილმა“.

აჰა... უყურე შენ?! ისე, კაცი არ მეგულება, ვისაც „Down The Dictator“-ზე გაეცინება, აი „დაუნ ვიზ დიქტეიტე“ სხვა ამბავია – მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით. მელია რა იყო, „მინდორში დაგდებული მკვდარი დაკრეჭილი ვირი“ უნდა მეთქვა და ალალად დავამატებ: შალიკოს ხუმრობებზე ყოველთვის მეცინება და ერთადერთი ხუმრობა, რომელსაც ვერ ვიგებ ის არის, პარლამენტის წევრებად რომ ითვლებიან, ხელფასს რომ იღებებენ და, თუ არ ვცდები, ამ ორიოდე კვირის წინ, სამივლინებოც რომ მოითხოვეს.

27 თებერვალი. ჩემი მეგობარი სააგენტოს მასალების კითხვას ყოველთვის აქვს აზრი, მაგრამ ხანდახან „კურიერის“ და „ქრონიკის“ ყურებაც ღირს და მე ვუყურე, როგორ ესტუმრა გიგი უგულავა ავჭალაში მცხოვრებ მდინარაძეების ოჯახს და როგორ გადასცა ელექტროენერგიის 20-ლარიანი ვაუჩერი პირადად ოჯახის დიასახლისს. დიასახლისს ტაში არ შემოუკრავს და არც ვაშა უთქვამს, მაგრამ თქვა: „ეს ვაუჩერი დიდი შეღავათია ჩვენი ოჯახისთვის“.

სასისკი უყვარს ჩემ ბროლიასო და, საიდან მოვიტანო ამ შუაღმისას სასისკი, კალბასს არ შეჭამსო? ნამეტანი უყვარს კალბასიო და, აჰ – კალბასი დიდი შეღავათია ჩემთვისო... თავისთავად, ოცლარიანი ვაუჩერი ვერაფერიშვილი შეღავათი იქნება ვაკიჯვრიდან ავჭალაში ჩამოსახლებული მდინარაძეებისთვის, მაგრამ მთავარი ხომ ვაუჩერი არ არის? მთავარი გაგებაა!

შეღავათი კი ალბათ ის იყო, რომ ოჯახის უფროსი ან სამსახურში დააწინაურეს და ანაც, სამსახურიდან არ გაათავისუფლეს. ჯიბეში ჩაუდეს ვაუჩერი და არ ჩაუდეს იარაღი. ამ ქვეყანაში კაცი ციხეში რომ არ ზის, უკვე დიდი შეღავათია და თუ სამსახურიც აქვს – ძალიან მით უმეტეს.

5 მარტი. „2012 წელს საქართველოში ყოველი მეორე მოქალაქე დაზღვეული იქნება“, – განაცხადა გასულ კვირაში სააკაშვილმა, რომელიც პარლამენტში ვარდით მივიდა და ყველას გაუკვირდა, რომ არ მივიდა ველოსიპედით და შლოპანცებით. მივიდა ფეხით და ფეხსაცმელებით, და დახვდნენ კვერცხები. უფრო სწორად, უმრავლესობა იყო კვერცხი და უმცირესობა – კვერცხებთან გათანაბრებული.

„2012 წელს საქართველოში ყოველი მეორე მოქალაქე დაზღვეული იქნება“, – განაცხადა ცუდმა, გიჟმა და ბოროტმა და უამრავ ქართულ ოჯახში დაიბადა კითხვა: ნუთუ, მართლა?.. ნუთუ, მართლა ვიქნებით დაზღვეულები სააკაშვილებისგან, მერაბიშვილებისგან, დონაძეებისგან, ნიკლაურებისგან, კუბლაშვილებისგან, ვარძელაშვილებისგან, კირკიტაძეებისგან... ნუთუ, მართლა?

არ დაიჯეროთ!.. სააკაშვილი არ დაგვაზღვევს, ჩვენ ერთმანეთი უნდა დავაზღვიოთ და ზემოთ-

ჩამოთვლილ პატივცემულ გვამებს და მძორებს, იმ ფილმისა არ იყოს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვუთხრათ: „ჩვენ თქვენ პენსიით უგზრუნველგყობთ, ოღონდ ჯერ – მაკუმბა“.

12 მარტი. ჩოყლაყი რისი ჩოყლაყია? წამოაყრანტალებს რამეს და წავიდააა – აფრინდა ყვავი, აფრინდა! „იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის დაბრუნებაზე, გამოსყიდვაზე სპეციალურად შექმნილი ჯგუფი მუშაობს... ისრაელში ჩემი პირველი ვიზიტის დროიდან დავაყენე ეს საკითხი. ახლა უნდა დადგეს საკითხი, რომ ჯვრის მონასტერი დაუბრუნდეს საქართველოს და ქართულ ეკლესიას“, – წამოაყრანტალა სააკაშვილმა და ატყდა ერთი ამბავი – ნინო კალანდაძემ სასწრაფოდ გამოიგონა, რომ „გრიგოლ ვაშაძემ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკითხი ისრაელში ვიზიტისას ოფიციალურად დასვა“; მიხეილ მაჭავარიანმა „საქმის წარმატებით დასრულების მოტივით“ სასწრაფოდ ენა გადაყლაპა; „ამ მუშაობის შედეგებს საზოგადოება მაშინ გაიგებს, როცა იქნება პირველი ხელშესახები შედეგები“ – თვალები გადმოკარკლა გოკა გაბაშვილმა. იერუსალიმის პატრიარქმა ხელების გაასავსავა – პირველად მესმისო.

ეს რა ჭირი გვჭირს, ტო?

26 მარტი. რაღაც–რაღაცეები გასულ კვირაშიც ვნახეთ, კერძოდ, ენდიაის კვლევის შედეგები. შედეგებს ყველანი გავეცანით და დეტალებზე აღარ შევჩერდები, უბრალოდ, ერთი რამ მენიშნა – ამ ძალიან ღრმად (ძალიან, ძალიან ღრმად!!!) პატივცემულმა ორგანიზაციამ შედარებით ობიექტური ციფრები დადო და ნეტავი რატომ? ალბათ, იგრძნო, რომ ხელისუფლების მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი პატივისცემის სიღრმემ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.

დეტალებზე არ შევჩერდები–მეთქი, მაგრამ NDI-ის კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 70% ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენას რომ ემხრობა, ეს ნამდვილად არ არის დეტალი, ეს უკვე ეგზიტპოლია და ამ პროცენტებზე ძალიან ბევრი ადამიანის რეაქცია ასეთი იყო: „ჰა, ჰა, ჰა... დაგერხათ, ტყლაპებო?!“ ხოლო ტყლაპების რეაქცია იყო ასეთი. ნიუსის სახით: „საპარლამენტო უმრავლესობაში ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის მსურველთა სიჭარბეს, ამომრჩეველთა მიერ ივანიშვილისთვის „განაჩენის“ გამოტანის სურვილით ხსნიან. ამის შესახებ NDI-ის კვლევის შედეგების კომენტირებისას საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა განაცხადა.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილი უკანასკნელი პრორუსული ბასტიონია საქართველოში და სწორედ ამიტომ, მოსახლეობას სურს, მას არჩევნებში ჩართვის შესაძლებლობა მიეცეს და განაჩენი გამოუტანოს“.

რომელმა სირმანჯომ თქვა ეს სიტყვები – „მოსახლეობას სურს, მას არჩევნებში ჩართვის შესაძლებლობა მიეცეს და განაჩენი გამოუტანოს“? ეს სიტყვები ეკუთვნის ნუგზარ წიკლაურს, რომელსაც ზოგი წუგზარას ეძახის და ზოგიც ბოცოს. ეს არის ხმა პოლიტიკური საფლავიდან, იმ საფლავიდან, რომელზეც უკვე დიდი ბალახია ამოსული.

2 აპრილი. ნავაროს კანტორა კვლავ ფორმაშია, როგორც ჯამლეთ ხუხაშვილი იტყოდა - ჩვეული ოსტატობით. გამოკითხულთა 54%-ს გიორგი თარგამაძე, 49%-ს ინგა გრიგოლია, 40%-ს კი ბიძინა ივანიშვილი მოსწონს; ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, რესპონდენტთა 47% ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცემდა, 10% კი - „ქართულ ოცნებას“; ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები იყოს, 29% „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს, 12% კი ბიძინა ივანიშვილს დაუჭერდა მხარს; NDI-ის კვლევის თანახმად, რესპონდენტთა 41%-ისთვის ყველაზე ახლოს „ნაციონალური მოძრაობაა“.

რა განსხვავებაა კახა ბენდუქიძესა და ლუის ნავაროს შორის? ბენდუქიძემ თქვა, ყველაფერს გავყიდი, სინდისის გარდაო, ხოლო ნავარომ აღნიშნა, მხოლოდ სინდისს გავყიდი და ყველაფერს ვიყიდიო. რა აქვთ საერთო ლუის ნავაროს და კახა ბენდუქიძეს? რა და - არც ერთს არ აქვს სინდისი.

9 აპრილი. ჩიკაგოს სამიტის წინ, ერთმა ქინძმა ჩინოვნიკმა (გვარი არ მახსოვს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს – ყველანი ქინძები არიან), რომელიღაც ნაციონალური არხზე (არ მახსოვს, რომელზე, მაგრამ არც ამას აქვს მნიშვნელობა – ეგენიც ყველანი ქინძები არიან) თქვა, მართალია ნატოში არ მიგვიღებენ, მაგრამ უფრო მაგარი რამე მოხდებაო.

ვა�ა... მოდი და იმკითხავე. ნატოში არ მიგვიღებენ, მაგრამ ნატოს წევრობაზე მაგარი რა უნდა იყოს?! აფხაზეთს დაგვიბრუნებენ და თან ბოდიშსაც მოგვიხდიან? ეს მართლა მაგარი იქნებოდა, მაგრამ ეგ – ჩვენთვის და იმ ჩინოვნიკისთვის რა უნდა იყოს „უფრო მაგარი რამე“? ალბათ, შერონ სტოუნი ჩამოვა და ალბათ მოქალაქეობასაც მისცემენ. ეს ნაციონალები ვიღაც–ვიღაცეებისთვის ძალან იოლად იძლევიან რაღაც–რაღაცეებს. მაგალითისთვის, ავიღოთ (და ხრამში გადავაგდოთ) ნათია მოგელა–ნდები–ძე და მის შესახებ გავრცელებული ერთი ნიუსი:

„კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ნათია მოგელაძემ მიმდინარე წელს ხელფასზე მეტი პრემია მიიღო. ამის შესახებ ინფორმაციას საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა (IDFI) აქვეყნებს”. ნათია მოგელაძეზეა ნათქვამი – მიეცი და მოგეცემაო.

23 აპრილი. ჩახვაძის იმ ცნობილი ჩასაქმების შემდეგ ის ტელევიზორი გადავაგდე, სუნი უდიოდა. სხვა ტელევიზორი ვიყიდე და ახლა ამ ტელევიზორის გადაგდებასაც ვაპირებ – გიორგი თრგამაძემ რაღაც თქვა და ჩემს „სასმსუნგს“ ეგრევე მძორის სუნი აუვიდა. რა თქვა? რა და – „ქრისტიან-დემოკრატებს, ფაქტობრივად, უკვე მზად გვაქვს საკანონმდებლო წინადადებების პაკეტი, მათ შორის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც უკავშირდება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას და საზოგადოებაში ისტორიულად მიღებული ზნეობრივი ნორმების, ტრადიციული ოჯახის პატივისცემას და იმის მცდელობას, რომ თანამედროვე ქართულ სახელმწიფოში, თავისუფლება ზნეობრიობასთან კონფლიქტში არ მოდიოდეს“.

ეს რომ სხვას ეთქვა... წესიერ სხვას, მაშინ სხვა იქნებოდა...

ტელევიზორი უნდა გადავაგდო – გადაწყვეტილი ამბავია. ვაღიარებ, ძალიან გამიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება. მინდა გითხრათ, რომ გიორგი თარგამაძემ ბადრი პატარკაციშვილის გადაგდების გადაწყვეტილება გაცილებით იოლად და გაცილებით სწრაფად მიიღო.

30 აპრილი. გასულ კვირაში ამბავი გავიგეეე... აი,ისიც: „უკანასკნელ პერიოდში სომხეთში აქტიურად განიხილავენ ნოეს კიდობანის აგების საკითხს, რომელიც ბიბლიური ნაგებობის იდენტური იქნება. ერევანში გამომავალი გაზეთის „ექსპრესის“ ინფორმაციით, კიდობანი ერევანში, გამარჯვების მოედანზე, განთავსდება. პროექტის მიზანია შეახსენოს მსოფლიოს, რომ წარღვნის შემდეგ კაცობრიობამ სიცოცხლე სომხეთიდან, არარატის მთებიდან დაიწყო. მიზნის განხორციელებაზე გავლენიანი სომხებისგან დაკომპლექტებული საინიციატივო ჯგუფი მუშაობს...“

კომენტარი ზედმეტია? ზედმეტია-მეთქი?! ჰა? ვერ გავიგე. არადა, გაგებაა მთავარი... ის თუ გაიგეთ, ამ ორი კვირის წინ თბილისელი სომხების საძმომ თბილისში დაბადებული ცნობილი სომხებისთვის მემორიალური დაფის გახსნა რომ მოითხოვა? ანაც, კიდევ რამდენიმე დღით ადრე ერთი გნიასი რომ ატეხეს, გენოციდის ამბავში

ძეგლი დაგვადგმევინეთო!

იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ძაან შორს გაუბერეს – აქვეო, ავლაბარშიო. ვაჰ, მაგათი გამკვირვებია – ხომ აშენდა ავლაბარში სააკაშვილის რეზიდენცია! თბილისში დაბადებული ცნობილი სომხების მემორიალური დაფაც ეგ არის და გენოციდის მსხვერპლთა ძეგლიც, რომელშიც აბორტის მსხვერპლს დაუდევს ბინა.

7 მაისი. სააკაშვილის სტრიქონების გახსენება კი მართალა ღირს: „ჩემი გული, ჩემი სხეულის ყველა ორგანო, ჩემი მენტალიტეტის ძალიან დიდი ნაწილი, ეს არის აფხაზეთი და მთლიანად დასავლეთ საქართველო. მაგრამ მეორე ნაწილი ჩემი არსებობის არის აღმოსავლეთ საქართველო. ორივეში თავს ვგრძნობ წარმოუდგენლად მაგრად. წარმოუდგენელი აურა და ატმოსფეროა ანაკლიაში, ის არის ჩემი მიწა, მინდა, იქ მოაფინონ ჩემი ფერფლი, როცა აღარ ვიქნები. ასევე, ჩემი მიწაა კახეთი, სადაც სახლი მაქვს, და მთლიანად აღმოსავლეთ საქართველო“.

იმისი არ იყოს, სახლის კარებში „ტაბულა“ რომ დამხვდა და, რომ ჩემს სახლთან ნაგავს ნუ დაყრით-მეთქი – ვიყვირე. ახლა რა ვქნა? დავიკავო ურნა და ვირბინო აქეთ-იქით, სად გადავყარო და რამე? არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობა და არსებობს დასუფთავების სამსახური. სააკაშვილის ფერფლსაც იმათ მიხედონ და, სხვა თუ არაფერი, საშიში ნარჩენების მისახედად გარემოს დაცვის სამინისტროც ხომ გვაქვს? ეგრე თუ გავყვებით, პროფკავშირებიც გვაქვს და მარტინა ნავრატილოვასაც ჰქონდა მკერდი.

14 მაისი. „პარლამენტის გადასვლა მორგებულია იმაზე, რომ... მთავრობა, რომელიც ერთ ადგილზე ვერ ჩერდება და გადაადგილდება... მარტო მე არ ვარ ეგეთი, ვაშაძე ორჯერ მეტად ეგეთია, ჩვენ გვყავს მინისტრები, რომლებიც კიდევ უფრო ეგეთები არიან – ფეხმარდები და მკვირცხლები, მაგრამ მთავრობები შეიცვლება და ეს არ უნდა იყოს მთავრობის ხასიათზე, რომ რომელსაც შეუძლია ერთ ადგილას იყოს, მეორე ადგილას იყოს და ყველგან იყოს, ეს შეიძლება ყოველთვის არ იყოს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენც რომ დავდინჯდებით, შეიძლება ჩვენც აღარ ვიყოთ ეგეთები, ამიტომ ამის ერთადერთი გამოსავალი არის ელექტრონული მთავრობა, ანუ ვთქვათ, გინდათ მინისტრთან ლაპარაკი სასწრაფოდ, გულის გადაშლა – დააჭერ ღილაკს და მინისტრი ამოვა 3D-გამოსახულებით. ეს არ არის ფანტაზია“.

ვის მოუსმენია ასეთი 3D-ბილობა? ფეხმარდები და მკვირცხლები... ხელცქვიტებიც. ეგეთი, ორჯერ ეგეთი და კიდევ ეგეთები... ისეთები და იმნაირებიც. როგორი 3D-ბილი უნდა იყო, გოროზიასთვის და ვარძელაშვილისთვის გულის გადაშლა რომ მოგინდეს! გული მიგრძნობს, ეს 3D-ბილობა მალე 3D-გენერატობაში გადაიზრდება. გული მიგრძნობს, რა... თვალი ხედავს, ყურს ესმის:

21 მაისი. კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია, ანუ „კიდევ ერთი ეპიზოდი დავით კეზერაშვილის ცხოვრებიდან: „საქართველოს ლატარიის კომპანია“ მომხმარებელს მორიგ სიახლეს სთავაზობს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანიიდან აცნობეს, დღეიდან გაყიდვაშია ახალი მომენტალური ლატარიის ბილეთი „ტირი“, რომლის ღირებულება 1 ლარია, ხოლო მაქსიმალური მოგება - 2500 ლარი. თამაშის წესი მარტივია. „გადაფხიკეთ საფარი, გაარტყით მიზანს...“

წაგებული ომის მინისტრი და მისი უკვდავი სლოგანი – „შეეჩვიე მოგებას“. წაგებული ომის მინისტრი იცინის და გვთავაზობს ლატარიის ბილეთს სახელწოდებით „ტირი“. თუმცა, ის მომეწონა – გაარტყიო. გავარტყათ მიზანს ოქტომბრის ბოლოს და დავიბრუნოთ საქართველო ნოემბრის დასაწყისში.

„ბურთი და მოედანი აგერ არის და თუ კარგად და სწორად დაარტყამენ, კარს კარგად დაუმიზნებენ, შეიძლება ერთი გოლიც კი შეაგდონ. თუმცა, თუ ასე გაგრძელდა, შორს აააცილებენ ამ კარს“, – გასულ კვირაში განაცხადა მედროვეთუხუცესმა გიგი წერეთელმა. ოეეე, გიგიიი!!! მიხეილ თავხელიძე და გიგა ნასარიძე აგერ არიან, აგერ არიან გია ნოდია და ზურაბ ჯაფარიძე. კარგად დაუმიზნე და გაარტყი! თქვენ კი გაგარტყათ „არმაგედონის“ ზანგმა!!!

4 ივნისი. სააკაშვილმა ყველის ქარხანა დაათვალიერა. „ჩვენი ყველი უნდა გადიოდეს ექსპორტზე. საფრანგეთს თუ გააქვს, ჰოლანდიას თუ გააქვს, ჩვენ რატომ არ უნდა გაგვქონდეს?“ – ტუჩები გამობურცა და თვალები ცრემლებით აევსო პრეზიდენტს, რომელიც საერთოდ არ ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას. არადა, მართლაც საწყენია, მაგრამ აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია. მალე დადგება დრო – შეიცვლება ხელისუფლება, ამჟმინდელები გაფრინდებიან. წავლენ ნაციონალები, წავლენ ეროვნულ–დემოკრატები, წავლენ გიორგი თარგამაძეები, წავლენ ლეიბორისტები... და ჩვენ ამაყად ვიტყვით, რომ საქართველო არის სირების ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი მსოფლიოში. წავლენ მედროვეთუხუცესის ქვეშევრდომები – წვრილ–წვრილი მედროვეები... და ჩვენ ამაყად ვიტყვით, რომ საქართველო არის კვერცხების ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი მსოფლიოში.

11 ივნისი. გასული კვირა ჰილარი კლინტონმა გაგვიმრავალფეროვნა და კარგადაც გვაცინა, როდესაც ასეთი შეკითხვა დასვა: „რატომ არის, რომ 2012 წელს, თქვენი ქვეყანა, თქვენი ხელისუფლება, თქვენი მთავრობა ასე მნიშვნელოვანია ყველგან...“. მთავრობასა და ხელისუფლებას გაუხარდა, მაგრამ იმას, რაც ზვიად-პროვოკატორის ჰილარი ბიცოლამ იგულისხმა, ძალიან ზუსტად მიხვდა მთელი ქართველი კაცობრიობა და, სხვათა შორის – ქალობრიობაც.

რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი აჰმადინეჯადი? რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი ასადი? რატომ არიან ასეთი მნიშვნელოვნები მუბარაქები, კიმ ჩენ ირები და მათი გოთვერანნი ძმანნი? უხაროდათ ქლიბებს – მაგარი ტიპები ვართო, მნიშვნელოვანებიო... კი, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ოპერა, თეატრი, კინო... ხელოვნება – ზოგადად, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია საპირფარეშო და ტუალეტის ქაღალდი. „ლა სკალა“ რომ „ლა სკალაა“ იქაც კი არის ტუალეტი, რადგან მნიშვნელოვანია. ჰოდა, პროვოკატორის ბიცოლა სწორედ ამ სახის მნიშვნელობაზე საუბრობდა, როცა საქართველოს მთავრობა და ხელისუფლება ახსენა.

18 ივნისი. „საქართველომ ნატო-ში გაწევრიანების გზაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა“ - გახარებული იყო გია ბარამიძე, რომელმაც არც გასულ კვირაში დააკონკრეტა, თუ სულ რამდენი ნაბიჯი უნდა გადავდგათ ნატოსკენ და ამ ნაბიჯებში რამდენი (გეგმით და გეგმავალდებულებით) უნდა იყოს „მნიშვნელოვანი“. ბარამიძეს არ უყვარს კონკრეტიკა. ბარამიძეს უყვარს აბსტრაქცია და პერფორმანსები ჰიჩკოკის სტილში. მაგ. „თბილი ცხედრები, ცივი არაყი და ცხელი კუბდარი“, ან „ზურამ ნარდი ითამაშა და გაზით გაიგუდა“ და ა.შ.

2 ივლისი. რაღა დროის კორტებია? იქ ხომ იუსტიციის სახლი შენდება, „ერთი ფანჯრის პრინციპი“ და რამე... „ერთი პარაშის პრინციპი“ - აი, რა ელის მაგათ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ინიციატივას გუგული მაღრაძე, ქეთი დოლიძე და მედიაექსპერტები არ აიღებენ. გეუბნებით - ეგრეა და ეგრე რომ არის, ამას ესეც ადასტურებს: „NDI-ის წინასაარჩევნო დელეგაცია მედიას არჩევნების ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის შესაბამისად გაშუქების რეკომენდაციას აძლევს. როგორც დელეგაციის ანგარიშშია ნათქვამი, მედიამ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამები და უზრუნველყოს საარჩევნო სუბიექტებისთვის დებატების ხელმისაწვდომობა“. დაუჯერეთ ნავაროს, მოიქეცით ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის შესაბამისად და ოქტომბრის შემდეგ ის სამში გრძელი შეგვრჩება ხელში გილაურთან და მერაბიშვილთან ერთად რომ ტოვებდა დროშებითა და მინისტრებით მორთულ ტერიტორიას. ნავაროს შესახებ ყველამ იცით, ე.ნ. ეთიკურ ჟურნალისტებზე კი სხვა დროს მოგიყვებით. მაგის დრო მალე მოვა.

9 ივლისი. ერთხელაც გავინავარდოთ ჩმი მეგობარი სააგენტოს უკიდეგანო საინფორმაციო ველზე: „პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე მომავალ მონო თუ მრავალპარტიულ მთავრობაზე მსჯელობას, ბებიის ბაბუად გადაქცევაზე მსჯელობას ადარებს... ბაქრაძემ ლევან ვეფხვაძეს მოუწოდა, ნუ მოახდენს თეორეტიზებას თემისას, თუ რა მოხდება ბებია რომ ბაბუად გადაიქცეს და რა შედეგი მოჰყვება ამას შვილებისა და შვილიშვილებისთვის“.

ბაბუაჩემს დავით ბაქრაძე რომ ჰქონოდა, ზეინკალი იქნებოდა. ბებიაჩემს დავით ბაქრაძე რომ ჰქონოდა, ბაბუაჩემი იქნებოდა. „ამ ხალხს რა ლიმონათი ეყოფა?!“ – იტყოდა ხოლმე ცხონებული ბაბუაჩემი (ლაღიძის ქარხანაში მუშაობდა), როდესაც ხედავდა, როგორ მოაბიჯებდნენ გლდანის რაიონის მშრომელები. „ამ ხალხს რა პანღური ეყოფა?!“ – ვფიქრობ მე, როდესაც ვხედავ კობა ხაბაზს, გოკა გაბაშვილს, ნუგზარ წიკლაურს და სხვებს, ანუ მათ, რომელთა ქონის შემთხვევაში ბებიაჩემი ბაბუაჩემად გადაიქცეოდა.

16 ივლისი. – რა უბედური ქვეყანა ყოფილა, ჰოლმს... რა უბედური ხალხი...

– ჯერ სად ხართ, უოტსონ, ჯერ სად ხართ... მალე ტყიბულს საკუთარი გერბი ექნება, ორი კვერცხის და ერთი ქლიბის გამოსახვას აპირებენ – ძმები კუბლაშვილები და დავით ბაქრაძე...

– გასაგებია, ჰოლმს, მაგრამ ამ ყველაფრიდან რა დასკვნის გამოტანა შეიძლება?

– დასკვნა ერთია – „ნაციონალური მოძრაობა“ ისტორიის სანაგვეზე, სააკაშვილი და მისი ბანდა – ციხეში.

– ეს დასკვნაა თუ ოცნება.

– ეს არის ევროპული დასკვნა და ქართული ოცნება. ახლა კი, მოდით „როლინგებს“ მოვუსმინოთ, მერე კი ფეხბურთით დავტკბეთ. ქართველებმა თვითონ მიხედონ საკუთარ თავს. მთავარი დასკვნაც ეს არის.

30 ივლისი. ამბობენ, დაგინების ინსტიტუტი აღარ არსებობსო, მაგრამ, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, საბჭოთა კავშირში ნამდვილად არსებობდა სექსი, საქართველოშიც ასევე, რამდენჯერაც არ უნდა ჩაისვაროს გურამ ჩახვაძემ, ნამდვილად არსებობს ელიტური კორუფცია და, რაც შეეხება დაგინების ინსტიტუტს, ამ ინსტიტუტში შესაბამის უნარ–ჩვევებს ოთხი მილიონი ადამიანი ეუფლება. მტყუანის ასე, მტყუანის ისე, მტყუანს ის, მტყუანს ეს... აგინებენ პარტიას, მთავრობას, პარლამენტს, სასამართლოს... თუმცა, ჩვენი სინამდვილე ერთი თავისებურებით გამოირჩევა – რამდენსაც და რამდენიც არ უნდა აგინონ, დაუგეგმავი ორსულობა მხოლოდ ერთ ხანშიშესულ ქალბატონს ემუქრება. მთავარია, ბაზალეთის ტბის ძირას არ იმშობიაროს.

20 აგვისტო. საწყალი ვანო, საწყალი ჭია... გიგი წერეთელი კი არასოდეს შემეცოდება, ეგ მედროვეთუხუცესი, ეგა!!! როგორც სათაურებიდან გავიგე, მანტიორების უფროსი ხეთაგური კასირშების უფროსად გადაუყვანიათ, მანტიორების უფროსად კი ვახტანგ ბალავაძე გაუმწესებიათ. ასევე სათაურებიდან შევიტყე, რომ გასული კვირიდან მოყოლებული „დიმიტრი გვინდაძე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში იქნება ჩართული“. იქვე ასეთი სათაურიც აღმოვაჩინე: „ვანო მერაბიშვილი – გვინდაძე არის ყველაზე მაღალპროფესიონალი, ვინც დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა“. ასეთი აღფრთოვანებით ერთი – სააკაშვილი საუბრობდა ვერა ქობალიას შესახებ და მეორე – ვანო მერაბიშვილს უციმციმებს თვალები, როდესაც დიმიტრი გვინდაძეს ახსენებს. ლიბერტალიანელები და, ჯანდაბა მაგათ თავს!

27 აგვისტო. „გარდა ამისა, პრეზიდენტმა კონტროლის პალატის თავმჯდომარეობიდან გადადგომისა და კახელების გვერდში დგომის გამო დღეს ლევან ბეჟუაშვილს მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა. „ძალიან მაგარი ჟესტი იყო კახეთის დასახმარებლად წამოსვლა. 10-დან 9 ადამიანი ამას არ გააკეთებდა, მაგრამ კახელები არ ვართ კარიერისტები. გიორგი კარგად მუშაობს, მაგრამ რაღაც სახის დახმარება მაინც სჭირდებოდა“. მე ვიცი, შენ რაც გჭირდება...

სააკაშვილის სიტყვების ნაწილის ციტირებას კიდევ ერთხელ მოვახდენ: „10-დან 9 ადამიანი ამას არ გააკეთებდა, მაგრამ კახელები არ ვართ კარიერისტები“. ჩოყლაყიზმის მწვერვალია. ჯერ ერთი, გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს ათიდან ათი ადამიანი დაეხმარება, იმიტომაც ჰქვია მას ადამიანი და მეორეც – კახელები კარიერისტები არ ვართო... მოკლედ, სადაც ჩადის იქაურია და იმ საქმეს ემსახურება, რომელი საქმეც იქ არის პრიორიტეტული. კახეთში ვაზს უვლის, თუშეთში – ცხვარს, რაჭაში ლობიოს მოყვანას ასწავლის, სამეგრელოში – სიმინდისას... ჰოოო და, გამიგია გონიო თურქებითა და ბორდელებით გაივსოო და ძირითადი საქმიანობა გონიოში ბოზობააო. ჰოოო და, ჩავა, ალბათ, ამ დღეებში ერთი მავანთმავანი გონიოში და, ბოზობას დაიწყებს თუ ბოზობის სწავლებას, ამას მომავალი გვიჩვენებს.

3 სექტემბერი. ახლა კი წარმოგიდგენთ სამ კომკავშირელს: სტუდენტური დასაქმების პროგრამის სპიკერი მარიამ საჯაია, პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის თანამშრომელი მერი კოკაია და სამირა ისმაილოვა. ისინი 21–22 წლისები არიან, სხვა დროს ვიტყოდი გოგონები– მეთქი, ცოტა გაბრაზებულზე – ლაწირაკები– მეთქი, მაგრამ ახლა, როდესაც მოძმე სააგენტომ მაცნობა, რომ ისინი ნაცების საარჩევნო სიაში არიან, ალბათ ჯობს რამე სხვა სიტყვა მოვიფიქრო. ტრაწიანი მაიმუნები... არ ღირს, მაიმუნებმა რა დააშავეს? იქნებ, თქვენ დამეხმაროთ. პრინციპში, სააგენტო უკვე დამეხმარა – ნაციონალური მოძრაობის სია 155–კაციანიაო. სამ ცალ 21 წლის მდედრს 155–მამრიან სიაში რომ შეიყვან... მერი და მარიამი კიდევ ჰო – თანამდებობები აქვთ და გამოცდილებაც ექნებათ. სამირა ისმაილოვა ვინ უნდა იყოს? ერთადერთი, რაც ახლა თავში მომდის, ის არის, რომ მთელი მთავრობა და პარლამენტი თავის ნაშებიანად, მარნეულში მოლასთან რომ დარბიან, ალბათ იმ მოლას გოგოა.

10 სექტემბერი. „მთელი დღე ჩემს თავს ვეკითხები, რამ გამოიყვანა ქუჩაში ამდენი ხალხი. სხვადასხვა ციფრებს მეუბნებიან, მეუბნებიან, რომ მილიონამდე ადამიანი იყო გამოსული, არასოდეს ჩვენს ისტორიაში, არც ეროვნული მოძრაობის და არც ვარდების რევოლუციის დროს, ამდენი ხალხი ერთად არ დამდგარა, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსთავში ნაციონალური მოძრაობის ყრილობაზე განაცხადა“ – როგორი მოსაყოლია?! ამიტომ, ციტატა მოვიტანე.

ჰო... სპორტის სასახლეში ნაცბოზბანდის თავყრილობა გაიმართა და ყველას, ვინც სააკაშვილს სხვადასხვა ციფრებს ეუბნებოდა და 900 ათასზე ნაკლები არავის უთქვამს, მინდა მოკლედ და კონკრეტულად ვუთხრა: „თქვენ კი მოგხვდათ არმაგედონის ზანგის“.

8 ოქტომბერი. შემოსულმა გარეშე პირებმა დატოვეთ საქართველო – ოკუპანტებს ვგულისხმობ, მაგრამ ისეთებიც ხომ არიან, ოკუპანტები რომ არ არიან, მაგრამ ბევრიც რომ არაფერი უკლიათ! შინაური მტრები და რამე, მაგრამ მაინც ვერ ვხვდები, რა შუაშია „შინაური“. მტერი მტერია, უბრალოდ, ამათ ჩვენი კანონები ეხებათ, თავის მიერვე მიღებული კანონები, თვითონვე რომ იგდებდნენ მასხარად.

ისინი დგანან, ესენი გარბიან. გარბიან დაოთხილები. პირიქით სჯობს, და ეს არის შესასრულებელიც და აღსასრულებელიც. ამას აღმასრულებელის გასაგონად ვამბობ, თუმცა, იმედია, შეხსენინება საჭირო არ არის. იმ აღმასრულებლის გასაგონად ვამბობ, ჯერ რომ არ მოსულა და იმას უნდა შეუსრულონ, ჯერ კიდევ რომ აღმასრულებელია.

დაოთხილები გარბიან. გარბიან და გამორბიან. რაღაც აქვთ ჩაფიქრებული. არ ვიცი – რა, მაგრამ ვგრძნობ. აღა მაჰმად ხანმაც, სანამ თბილისს დატოვებდა, სულ ერთიანად დაანგრია და გადაწვა საქართველოს დედაქალაქი და ესენი ვითომ რით არიან იმათზე უკეთესები?

15 ოქტომბერი. სათაურების შემდეგ, უპრიანი იქნება ერთი ნიუსის ერთი ნაგლეჯიც რომ შემოგთავაზოთ: „მოამბის“ წამყვანმა ნინო თოლორდავამ საზოგადოებრივი მაუწყებელი დატოვა. როგორც ნინო თოლორდავამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მან დააფიქსირა თავისი „სამართლიანი პროტესტი მაუწყებლის მიერ ბოლოდროინდელი მოვლენების გაშუქებასთან დაკავშირებით“.

საღოლ, სიმონ... სიმონ რა იყო?! საღოლ, ნინო და საღოლ ჯავრიშვილისა და ხეჩინაშვილის კლინიკებს, რომლებმაც ტელეცუნცულა ნინოს თვალი და ყური აუხილეს.

მოკლედ, სულ ვირთხები და ვირთხები და, რა ვიცი, ცოტა ხანში, იქნებ – სულ გმირები და გმირები. ვახო სანაიასა და დოდოშკა ხურცილავას რომ ვუსმენდი, გული მეწვებოდა, თვალები კი ცრემლით მევსებოდა. თურმე, რამდენი აუტანიათ, რამდენი გადაუტანიათ...

22 ოქტომბერი. „ჩვენთვის, როგორც პარტიისთვის, ეს უნდა იყოს გაწმენდის, განახლების, ახალი ეტაპის დაწყების ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი“ – ჯერ კიდევ შუა კვირაში ამ სიტყვებით მიმართა სააკაშვილმა თვალებდაქაჩულ გოკა გაბაშვილს, გაბერილ ნუგზარ წიკლაურს, დამუნჯებულ კობა ხაბაზს და თვითმკვლელობას ბეწვზე გადარჩენილ ნინა წკრიალაშვილს. ოეჰჰ... რით ვერ განიწმინდეთ, თქვე კეთილმოწყობილებო? აღარც ბესო ჯუღელი, აღარც კობა ბექაური, აღარც მაია ნადირაძე, აღარც ბიძინა ბრეგაძე, აღარც ზაზა ბეგაშვილი... მე თუ მკითხავ, ნაციონალურ მოძრაობას ის უშველის, რაც ბავშვობაში ყველას წაგვიკითხავს. „კუზიან კვიცს“ ვგულისხმობ – ბებერმა ნამეძავარმა გაახალგაზრდავება რომ გადაწყვიტა, ადუღებულ წყალში რომ ჩახტა და რომ დაიფუფქა. თუმცა, ეგ ნებაყოფლობითია. რაც შეეხება გამოძიებას და სასამართლოს, ეგ სხვა საქმეა და მერე, როდესაც შუშაბანდებიან დანესებულებაში აღმოჩნდებიან, დადგნენ და იყრანტალონ, გალიაში ბულბულები ვსხედვართო.

29 ოქტომბერი. გუშინ არტურ კონან დოილის „უკაცრიელი სახლი“ გადავმალე – ემანდ დევნილები არ შევარდნენ-მეთქი. მთელი ეს წლები თავისთვის იდო თაროზე, შევხედავდი და პროფესორი მორიარტი და პოლკოვნიკი სებასტიან მორანი მახსენდებოდა. გადავმალე, მაგრამ შიშს დიდი თვალები აქვს. მეშინია, რომ სახლს დაიკავებენ, მაგრამ დამკავებლებსაც ეშინიათ, ოღონდ სიბნელის – თელასის თანამშრომლები გაფიცვით იმუქრებიან.

დასასრული მე-12 გვერდზე

„სამინისტრო მზადაა და იტოვებს უფლებას, მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება!“

ნელი თორდია

როგორ მუშაობს განათლების სამინისტროში სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგებისა და დირექტორების საქმეების შესწავლის მიზნით შექმნილი სპეციალური კომისია, რა კრიტერიუმებით არჩევენ საქმეებს, ამ ეტაპზე, რამდენი მათგანია განხილული და რა ბერკეტები აქვს სამინისტროს ამ ადამიანების სკოლაში დასაბრუნებლად? „ვერსიას“ კომისიის ხელმძღვანელი და განათლების მინისტრის მოადგილე ალუდა გოგლიჩიძე ესაუბრება.

— დღეისთვის კომისიაში 1000-მდე განცხადებაა შემოსული. არასამთავრობო სექტორის მიუკერძოებელი და კვალიფიციური წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული შესაბამისი ჯგუფი, საკითხის შესწავლის შემდეგ, ამზადებს შუალედურ დასკვნასა და რეკომენდაციებს კომისიის სათათბირო ორგანოსთვის. ამ უკანასკნელში კი, წარმოდგენილია არა მხოლოდ კომისიის წევრები და სამუშაო ჯგუფში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელები, არამედ ყველა დაინტერესებული მხარე. საზოგადოებრივი განხილვისა და მრავალმხრივი მოსმენის შემდეგ, თუ იკვეთება პედაგოგის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების საკითხი, სამინისტრო წყვეტს, რა რეაგირება მოახდინოს კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

— დღეისთვის, რამდენი განცხადებაა განხილული?

— ჯერჯერობით, შუალედური დასკვნები და რეკომენდაციები არ მომზადებულა. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული კომისია საზოგადოებრივი ფორმატია და არა — საგამოძიებო ორგანო ან სასამართლო. შესაბამისად, საკითხის განხილვის სამართლებრივი რესურსი არ გაგვაჩნია. გარდა ამისა, უდანაშაულობის პრეზუმპციიდან გამომდინარე, რაზეც განმცხადებელი საუბრობს, დოკუმენტურად დასაბუთებული უნდა იყოს. ამ ეტაპზე, 120-მდე განცხადება პირველადი შესწავლის დონეზეა და პროცესი გრძელდება. განცხადებების მიღება 2013 წლის 14 იანვრამდე გაგრძელდება. ვგეგმავთ, 11 იანვარს მოვაწყოთ ღია კარის დღე და ყველა კითხვას ვუპასუხოთ. შუალედური დასკვნისა და რეკომენდაციის მომზადების შემდეგ კი, სათათბირო ორგანო საკითხს საჯაროდ განიხილავს. ეს პროცესი საკმაოდ რთული, სპეციფიკური და საპასუხისმგებლოა...

— საჯარო განხილვების შემდეგ რა მოხდება?

— განმცხადებლების ინტერესია, აღდგეს სამართლიანობა. სამინისტრო მზადაა და იტოვებს უფლებას, მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება. პირდაპირ სამართლებრივი აღდგენა ვერ მოხდება, რადგან ეს ჩვენი პრეროგატივა არაა, თუმცა ადამიანთა ღირსებისა და შელახული უფლებების აღდგენა სხვადასხვა ფორმით შეიძლება — გარკვეული ალტერნატივა გვაქვს, მაგრამ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. შესაძლოა, გამოიკვეთოს სხვადასხვა ტიპის გადაცდომები და დარღვევები. ჩიხში რომ არ მოვექცეთ, კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ.

— თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ მინისტრის მოწოდების მიუხედავად, ბევრი სკოლის დირექტორი გათავისუფლებული პედაგოგების დაბრუნებას არ აპირებს..

— ვიცით, რომ კონფლიქტები გრძელდება, მაგრამ პირდაპირი ჩარევა არ შეგვიძლია, რადგან არც ფორმატი გვაძლევს ამის უფლებას და არც რესურსი გაგვაჩნია. საზოგადოებამაც გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს და სამეურვეო საბჭომ, პედსაბჭომ, პედაგოგებმა და მშობლებმა, სამართლიანობის აღდგენაში თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ.

— ზოგიერთი დირექტორი თანამშრომლებს აფრთხილებს, აპრილში ხელისუფლებაში დავბრუნდებითო. ისინი ხელმოწერებს აგროვებენ, რომ სკოლა წინააღმდეგია ამა თუ იმ ადამიანის დაბრუნებისა...

— აპრილში დაბრუნებას რა ფორმით აპირებენ? თუ რევოლუციას აწყობენ, მაშინ სათანადო სტრუქტურები ჩაერევიან საქმეში, არჩევნები თუ იგეგმება, ეგეც გვითხრან, არაა პრობლემა. მესმის, რაზეც საუბრობთ, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ — უდანაშაულობის პრეზუმპცია სულ უნდა გვახსოვდეს. იმ ხელმოწერებს კი, რომლებსაც ზოგიერთი დირექტორი პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგის წინააღმდეგ აგროვებს, არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია. გემოვნებაზე აგებული მმართველობა და ტრადიციები — კოლექტივს ვიღაც უნდა და ვიღაც — არა, ეს მართვის ძველი მოდელის მანკიერი მხარეა, რომელიც დღესაც, ერთგვარი ინერციითაა წახალისებული. უკაცრავად, მაგრამ შეიძლება, სკოლა ვიღაცის გემოვნებაზე იყოს აწყობილი? თუ ადამიანს არ ჩაუდენია არამართლზომიერი ქმედება, რატომ უნდა გავათავისუფლოთ? დასაფიქრებელია, რამდენად შეიძლება, სახელმწიფომ ამ პრინციპით გააგრძელოს ფუნქციონირება. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ სამინისტროს რესურსები შეზღუდულია, ამიტომ მოვუწოდებ საზოგადოებას, თქვას სიმართლე, დაეხმაროს კომისიას, რომელიც დაუღალავად მუშაობს. ბრმად ვერავინ გამოიტანს დასკვნას, რადგან ჩვენ თამაშის წესები უნდა შევცვალოთ და არა — მოძალადეთა სახელები. პირველ ოქტომბერს საზოგადოებამ გააკეთა არჩევანი და ძალადობას უარი უთხრა, მაგრამ პირველ ოქტომბერს ხომ არ უნდა დავასრულოთ ყველაფერი?

— ბევრ სკოლას დღემდე მართავს კონკურსგაუვლელი და მოვალეობის შემსრულებელი დირექტორი. ახალი კონკურსის გამოცხადებას არ აპირებთ?

— რა თქმა უნდა. მითუმეტეს, 2013 წლის ივლისში, დანიშნულ დირექტორებს 6-წლიანი ვადა უმთავრდებათ. ცხადია, მხოლოდ დირექტორების თემას, კონტექსტიდან ამოგლეჯილად ვერ განვიხილავთ და ამიტომ, ზოგადად, განათლების პოლიტიკის გადახედვას ვაპირებთ. ამას კი, გააზრებულად და საზოგადოების მაღალი ჩართულობის პირობებში გავაკეთებთ.

— საუბრის ბოლოს, იქნებ სამინისტროს სამომავლო გეგმების შესახებაც გვიამბოთ?

— საახალწლოდ, პედაგოგებს გავახარებთ იმით, რომ მათი საბაზო ანაზღაურება იზრდება. ძალიან მნიშვნელოვანია თანხების განაწილებისას სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრება. ვიცით, რომ 18 საათის ზემოთ პედაგოგის ანაზღაურების პრინციპი არ იყო მაინცდამაინც სამართლიანი. ამიერიდან, 18 საათის ზემოთ ანაზღაურება იგივე პრინციპით მოხდება, როგორც 18 საათამდე და პედაგოგების შრომა სამართლიანად დაფასდება. ამ მიმართულებით მეორე მნიშვნელოვანი სიახლეა, რომ გამოცდილება და სტაჟი შეიძენს მეტ მნიშვნელობას და ამას აქვს მკაფიო ახსნა — პედაგოგის შრომა და გამოცდილება უნდა დაფასდეს. ასევე გვინდა პედაგოგებს ვუთხრათ, რომ ჩვენი პოლიტიკა ერთწლიან ხელშეკრულებებს არ ითვალისწინებს და ამას კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით. პედაგოგს უნდა ჰქონდეს სტაბილურობის განცდა, რომ მისი კარიერა გრძელვადიანია. ამ სასიამოვნო სიახლეების განხორციელება კი 2013 წლიდან დაიწყება.

მე-11 გვერდიდან

ის ერთი და სხვა სამასსამოცდახუთი

ეშინიათ შიმშილის – გაფიცვას ფოთის პორტის თანამშრომლებიც აპირებენ და რომც გადაიფიქრონ, პროდუქტი აქამდე მაინც ვერ ჩამოაღწევს – გაფიცვა რკინიგზელებსაც გადაუწყვეტიათ და ავტობანის მშენებლებსაც. ერთადერთი, ვისი გაფიცვაც არავის აღელვებს, „პირველი კავკასიურია“. მისი არსებობის შესახებ



მხოლოდ ბიუჯეტიდან შევიტყეთ, ბიუჯეტი კი აბა რამდენმა იცის?

ვზივარ და შიშით ველი, როდის დაიკავებენ, როდის გადაკეტავენ, როდის გადმოკეტავენ, ანუ როდის გაიფიცებიან. ვზივარ და ვნატრობ: რა მოხდება, რომ ერთხელ არასამთავრობო ორგანიზაციებიც გაიფიცონ, უარი თქვან გრანტების მიღებაზე, ყველაფრის კომენტირებაზე, ყველაფერში ცხვირის ჩაყოფაზე, რადგან ცხვირები აქვთ მოუხოცავი, კომენტარები – უაზრო, ხოლო მადა – დაუოკებელი. მადა ფაქა...

5 ნოემბერი. „იყო სიბნელე და უკუნი. ამოვიდა მზე და გამოანათა. გაიხარა მშრომელმა ხალხმა“ – თქვეს გოგი ლიპარტელიანებმა და კახა ოქრიაშვილებმა, დაიკაპიწეს სახელოები და შეუდგნენ ქართველი ერის ოცნებების ასრულებას.

90–იან წლებში იყო ბანკი „დრო“ და ბევრს ემახსოვრება, რომ მაშინდელი ტელევიზიებით აქტიურად ტრიალებდა ამ ბანკის სარეკლამო „დროს ვერაფერი შეაჩერებს“.

ამ სლოგანში, რა თქმა უნდა, „ბანკი დრო“ იგულისხმებოდა, ამ ბანკს ვერაფერი შეაჩერებსო. და ახლა, როცა ამოვსების პირას მყოფ ჩეჩმას ვირთხები ტოვებენ, ასე მგონია, რომ დრო გაჩერდა და პოეტები რომ ამბობენ, „შეჩერდი, წამო, რა მშვენიერ ხარ“–ო, მინდა მთელი ხმით ვიბღავლო – როდემდე უნდა იყო შეჩერებული, შეჩემის შეჩერებულო!

12 ნოემბერი. და მეორე დღეს იყო ეს: „თეა თუთბერიძე და 20-მდე ახალგაზრდა, რომლებიც ძირითადად ზუგდიდიდან არიან ჩამოსულები, სასამართლოსთან ტრანსპარანტებით მივიდნენ. ტრანსფარანტებზე ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგი წარწერებია: „პატრიოტი ხარ, დაგიჭერენ“, „ბრალი ედებათ პატრიოტიზმში“, „დღეს პატრიოტიზმი დასჯადია“.

კი ღირს ამ ორი ნიუსის შესახებ უფრო დაწვრილებითი და ჩაღრმავებითი წიაღსვლები, რგოლი: საათის ისარი ტრიალებს. ისარს ხან ნაჯახს ჩაკრავენ, ხან მშვილდიდან ესვრიან, ხელყუმბარებით შეუვარდებიან, ბომბს აუფეთქებენ, მჟავას მიასხამენ, აგინებენ... საათის ისარი კი, მაინც ტრიალებს, ტრიალებს და ჩნდება ტიტრი – რადგან, როგორც ე.წ. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები იტყოდნენ, პრობლემა, ერთდროულად, ეპატაჟურიც არის და სენსიტიურიც და სენსიტიურობის ამბავში იყო ის, რომ როდესაც ბაჩო ახალაიას საკუთარმა ადვოკატმა უთხრა, „ქართული ოცნების“ წევრი ვარო (ქალიშვილი არ ვარო), თურმე, როგორც ადვოკატი ირწმუნება, ახალაიას არანაირი რეაქცია არ ქონია.

საინტერესო ის არის, რა რეაქცია ჰქონდა ბაჩოს, როდესაც გაიგო, რომ გარეთ თეა თუთბერიძე აქციას მართავდა? ადვოკატზე რომ არ ჰქონდა რეაქცია, ეს უკვე ვიცით და თუთბერიძეზე რა ჰქონდა – სანქცია, ტრანზაქცია თუ კიდევ რომელიმე სხვა „ქცია“? სიტუაციის მთელი პოეტურ–პიკანტური სენსიტიურობაც იმაში მდგომარეობს, რომ ბაჩომ გაიფიქრა: „ლამის სახლში შემოიჭრას თუთ...“.

3 დეკემბერი. ახლა, რომ ვუფიქრდები, ძალიან მრცხვენია. უნდა ვაღიარო, რომ უამრავჯერ მითქვამს და დამიწერია „თანამშრომლობა“, „თანაარსებობა“ და სხვ. თურმე, სად ვბანაობდი!.. კოჰაბიტაცია და იმის ჯანი! თან, რა ტკბილად ჟღერს (განსაკუთრებით, ნინო ზურიაშვილის ბაგეებით) და რა უნივერსალურია! აი, მომისმინეთ: ჩვენ, ყველანი, ჩვენი მშობლების კოჰაბიტაციის შედეგად გავჩნდით; ჰიპოთენუზა ორი კათეტის (თუ კათეტერის?) კოჰაბიტაციის შედეგია და ა.შ.

10 დეკემბერი. მოდით, გუბაზ სანიკიძეს ჩვენც მოვუსმინოთ: „დღეს პარლამენტში ოპოზიცია არ არსებობს. თქვენ ოპოზიციაში ყოფნის მორალური უფლება უნდა მოიპოვოთ. აღიარეთ დანაშაული და მოიპოვეთ უფლება, რომ ოპოზიციაში იყოთ. საქართველოში სამართალმა პური ჭამა, სახელმწიფო წინ მიდის და ამას ვერავინ შეაჩერებს“. ამბობენ, პური ასუქებსო. სამართალმა პური რომ ჭამა ეს კარგია, მაგრამ ზედმეტი პური არის ზედმეტი წონა, ხოლო ზედმეტი წონა იწვევს ნაადრევ სიკვდილს. პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების სიას რომ გადავხედე, მივხვდი, რომ სამართალს საჭიროზე მეტი პური აქვს ნაჭამი. ამაზე საპარლამენტო უმრავლესობის სიაც მეტყველებს და... არ მინდა, ბატონო, გასუქებული და აქოშინებული სამართალი, 90–60–90 სამართალი მინდა.

17 დეკემბერი. თვითმფრინავის თემა ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მაშინ გააქტიურდა, როდესაც გაირკვა, რომ ერთი კიტრი ორ თვითმფრინავს გადაჰქონდა, ახლა კი, როგორც ირკვევა, კიტრის მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი–მილანი–პარიზი–ლონდონი–ნიცა–იამაიკა–ბარბადოსი–აკაპულკო... სააკაშვილის მოგზაურობას რაჭა–ლეჩხ... უკაცრავად, ნიცა–პარიზში, ფარდა ახადა და ნიღაბი ჩამოხსნა თავდაცვის სამინისტრომ. ჯერ, ისე თქვა – სხვათა შორის, მაგრამ როდესაც სააკაშვილის ირმამ (ნადირაშვილმა) გააპროტესტა, ტყუილიაო, ვაკო ავალიანმა სია აიღო და, პარიზით რომ დაიწყო და ლონდონით რომ გააგრძელა, აივანზე გავედი სიგარეტის მოსაწევად და რომ შემოვედი, სააკაშვილის წყალობით ავალიანი ჯერ კიდევ ბერმუდის კუნძულებზე იყო და კანარის კუნძულებზე აპირებდა გამგზავრებას.

24 დეკემბერი. „რამდენიც არ უნდა დაიჭიროთ, „ნაციონალურ მოძრაობას“ ვერ გაანადგურებთ“ – ეს სიტყვები გოკა გაბაშვილს ეკუთვნის. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც გოკა გაბაშვილი მართალს ამბობს. ვეთანხმები – რამდენიც არ უნდა დავიჭიროთ, ნაციონალურ მოძრაობას მაინც ვერ გავანადგურებთ. დაგითვლიათ, რამდენი კოღო, ბუზი, ვირთხა და ტარაკანა ნადგურდება ყოველწლიურად? მილიონობით! მაგრამ მაინც არიან. ბავშვი არ ვარ, მათი საბოლოო განადგურების იმედი რომ მქონდეს, ეს შორეულ 1986 წელს იყო, რომ მეგონა, გაივლიდა რამდენიმე წელი და კომკავშირლები აღარ იარსებებდნენ. კომკავშირი აღარ არის, მაგრამ „ექსპო ჯორჯიაში“ შეკრებილები მხოლოდ გარეგნულად არიან კრაკაძილები, თორემ მაგათში კომკავშირს რა მოკლავს? ჰოდა, ალბათ ამიტომაც თქვა მიხეილ ს-მ ეს სიტყვები: „იმ ხალხმა, ვინც ძალიან ჩქარობს, კარგად იცის ერთი რამ, რომ 2014 წელს მათ შანსი არ ექნებათ. უფრო მეტსაც გეტყვით, 2013 წლის ბოლოსაც არ აქვთ მათ შანსი“.

როდესაც ეს წავიკითხე, გამეცინა და დავიგინე, მაგრამ ერთია, როდესაც მე მეცინება და მეორე ის, თუ რას ამბობს დავით უსუფაშვილი: „თუ ეს ხალხი ჩვენ არ დავიცავით დღეს, ამ დღეში აღმოვჩნდებით ჩვენ ყველანი შემდგომში“. როგორ მოგწონთ? არა, მართლა, როგორ მოგწონთ პარლამენტის თავმჯდომარის ეს სიტყვები? მეგონა, იტყოდა, ისე თუ მოვიქცევით, როგორც ეს ხალხი იქცეოდა, ამ დღეში აღმოვჩნდებით ჩვენ, ყველანიო.

რა დღეში? რა დღეში და, იმ დღეში, რა დღეშიც აღმოჩნდნენ ქუთაისში ჩაცუნცულებული სააკაშვილისთვის პატივისცემის დასადასტურებლად მისული აკაკი მინაშვილი და სხვები. აღარ გავიხსენებ, სრულიადაც არ იყო სასიამოვნო ის, რაც ვნახეთ, თუმცა ის, რომ სრულიადაც არ იყო სასიამოვნო, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს არ იყო ლოგიკური.

საქართველომ რუსეთში ციტრუსის ექსპორტი დაიწყო

რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველომ რუსეთში ციტრუსის ექსპორტი განაახლა. ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრის, დავით კირვალიძის განმარტებით, საქართველომ რუსეთში, ბელორუსის გავლით, ციტრუსის ექსპორტი უკვე დაიწყო. მისი ინფორმაციით, ციტრუსით დატვირთული პირველი კონტეინერი რუსეთის ტერიტორიაზე უკვე შევიდა და თვის ბოლომდე კიდევ 2 კონტეინერი გაიგზავნება.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნით ადრე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთი არის მსო-ს წევრი, ქვეყანა ასრულებს თავის მოვალეობას და ქართულ პროდუქციას რუსეთის ბაზარზე უშვებს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი გახდა

აღნიშნული გადაწყვეტილება 26 დეკემბერს, ტელეკომპანიის სამეურვეო საბჭომ მიიღო. გიორგი ბარათაშვილი გიორგი ჭანტურიას მოადგილე იყო და ჭანტურიას შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობას ასრულებდა.

ცნობისთვის, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის პირველი ტურის შედეგად, შეირჩა 5 კანდიდატი: ნიკა მახარაშვილი, თიკა რუხაძე, გიორგი ბარათაშვილი, ნათია აბრამია და მეგი თავდუმაძე. სულ 143 განაცხადი იყო შეტანილი.

„პირველი“

გურამ ოდიშარიამ მოადგილედ მანანა ბერიკაშვილი წარადგინა

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ მოადგილედ მანანა ბერიკაშვილი წარადგინა.

ამის შესახებ „პირველს“ თავად მანანა ბერიკაშვილმა განუცხადა. „როგორც ვიცი, 26 დეკემბერს, მინისტრმა წარმადგინა, თუმცა როდის დამტკიცდება ჩემი კანდიდატურა, ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს. განსაკუთრებული არაფერი ხდება, სამინისტროში ამ დრომდე მრჩევლად ვმუშაობდი“.

მინისტრის მოადგილის პოსტზე ხელოვნების სფეროს მიმართულებით იმუშავებს.

შეგახსენებთ, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეების პოსტზე იური მეჩითოვი და ხათუნა ხუნდაძე იყვნენ წარდგენილნი, თუმცა მათი დამტკიცება არ მოხდა. მინისტრ ოდიშარიას, ამჟამად ორი მოადგილე ჰყავს — ალექსანდრე მარგიშვილი და მარინე მიზანდარი.

„პირველი“

უალკოჰოლო სასმელი არ გაძვირდება!

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

რატომ გადადო ელექტრონული მარკირება ფინანსთა მინისტრმა

უალკოჰოლო, მინერალური და მტკნარი წყლის სასმელი არ გაძვირდება. მიზეზი, რის გამოც, მედიასაშუალებებში ეს თემა აგორდა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №129-ე ბრძანებაა, რომელიც 2012 წლის 24 აპრილს გამოქვეყნდა. ბრძანების თანახმად, მატერიალური, ან არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირებას ექვემდებარება უალკოჰოლო სასმელი, მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლები. ამასთან, შერჩეული პირის მიერ, არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება უალკოჰოლო სასმელისთვის, 1 000 ცალ ერთეულზე, 5,5 ევროს ეკვივალენტით ლარებში, ხოლო მინერალური და მტკნარი წყლისთვის, 1 000 ცალ ერთეულზე – 4,63 ევროს ეკვივალენტით ლარებში განისაზღვრება. გავრცელებული ინფორმაციით, უალკოჰოლო სასმელის სავალდებულო ელექტრონული მარკირება ძალაში 2013 წლის 1 იანვრიდან უნდა შესულიყო, მაგრამ ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის გადაწყვეტილებით, ელექტრონული მარკირება 2013 წლის მარტამდე არ ამოქმედდება.

სხვადასხვა მედიასაშუალებაში ეკონომიკის ექსპერტები ღიად აცხადებდნენ, რომ მას შემდეგ, რაც ფინანსთა ყოფილი მინისტრის ბრძანება №129 ძალაში შევიდოდა, გამაგრილებელი და მინერალური სასმელი 5 თეთრით გაძვირდებოდა, ხოლო უალკოჰოლო სასმელზე მოთხოვნილება 14%-ით შემცირდებოდა. სოციალური ქსელის, „ფეისბუქის“ საშუალებით, პეტიციაც კი გავრცელდა — არ გამიძვირო წყალი! პეტიცია საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ნოდარ ხადურს ეძღვნებოდა და სურვილის შემთხვევაში, მასზე ხელის მოწერა სოციალური ქსელის ნებისმიერ მომხმარებელს შეეძლო:

„ჩვენ, პეტიციაზე ხელისმომწერი საქართველოს მოქალაქეები, მივიჩნევთ, რომ ელექტრონული აქციზის შემოღება დამატებით ხარჯებს გამოიწვევს. კომპანიები იძულებულები იქნებიან, გაზარდონ საფასური ისეთ მნიშვნელოვან და პირველადი მოხმარების საქონელზე, როგორიცაა მინერალური და მტკნარი წყლები, ასევე სხვა, უალკოჰოლო სასმელი. ეს ყველაფერი კიდევ უფრო დაამძიმებს არსებულ სოციალურ ფონს და საბოლოოდ, დამატებით ტვირთად დააწვება საქართველოს მოქალაქეებს“.

ელექტრონულ მარკირებას, საქართველოს სახელმწიფოსთან დადებული ექსკლუზიური ხელშეკრულების საფუძველზე, შვეიცარული კომპანია SICPA ახორციელებს, რომელსაც ამავე ხელშეკრულების მიხედვით, უალკოჰოლო სასმელის მწარმოებელი, მომსახურების საფასურს უხდის. მსგავსი მომსახურებისთვის განკუთვნილი თანხა კომპანიებისთვის, წელიწადში 1 000 000 ლარს აჭარბებს, რადგან ელექტრონული მარკირების აპარატი საკმაოდ ძვირადღირებულია.

რატომ გააფორმა სახელმწიფომ შვეიცარულ კომპანიასთან ექსკლუზიური ხელშეკრულება და კონკრეტულად, ვისი ინტერესი იკვეთება ელექტრონული მარკირების საქმეში? „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ვიდრე ფინანსთა მინისტრის ბრძანება მომზადდებოდა, სამინისტროში აქტიურად დაიწყო ელექტრონული მარკირების შემოღების განხილვის პროცესი. კონკურსიც კი გამოცხადდა, სადაც კერძო, უცხოური კომპანიები მიიწვიეს, რომლებსაც ამ ტიპის მარკირების სისტემები გააჩნდათ. კონკურსის მთავარი პირობის თანახმად, აქციზის ნომინალური ღირებულება საკმაოდ იაფი, ხოლო ტექნოლოგიები და შტრიხ-კოდი, დაცული უნდა ყოფილიყო.

ოფიციალური ინფორმაციით, 2011 წლის 10 ნოემბერს, ფინანსთა სამინისტრომ ტენდერი გამოაცხადა, სადაც რამდენიმე კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. 2012 წლის 3 თებერვალს, ტენდერში გამარჯვებულად შვეიცარული კომპანია — „სიქპა სექურითი სოლუშენს“ გამოცხადდა, რომელიც 2008 წლის 4 აპრილს დაფუძნდა. სადამფუძნებლო დოკუმენტების მიხედვით, „სიქპას“ ნდობით აღჭურვილი პირი საქართველოში, „ბი-ჯი-აი ედვაიზერ სერვის ჯორჯიას“ დამფუძნებლები, ლაშა გოგიბერიძე და ზაზა ბიბილაშვილი არიან. კომპანიის პარტნიორებს შორის კი თამარ თევდორაძე, ეკატერინე ალექსიძე და ყველასთვის კარგად ცნობილი, სკანდალური ადვოკატი, გიორგი ყავლაშვილია მითითებული.

რატომ დადგა დღის წესრიგში ელექტრონული მარკირების თემა ერთი წლის წინ, ან რა იყო რეალური მიზეზი, რომ ფინანსთა სამინისტრომ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო? „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მაშინდელმა უფროსმა, ჯაბა ებანოიძემ ეს გადაწყვეტილება დეტალურად ახსნა. გთავაზობთ ამონარიდს ამ ინტერვიუდან, რომელიც „ვერსიაში“ 2011 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა:

„აქციზთან დაკავშირებით, იმპორტიორ კომპანიებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს სერიოზული შეღავათები მივეცით. მაგალითად, ადრე ასე იყო, როდესაც მეწარმე აქციზს იძენდა ჩვენგან, თითოეულ გასატან მარკაზე წინასწარ იხდიდა აქციზის გადასახადს. წარმოიდგინეთ, ერთბაშად, წლის დასაწყისში, იხდიდით მილიონობით ლარს, მიგქონდათ მთელი წლისთვის საჭირო აქციზი, მაგრამ 4-5 თვის განმავლობაში, შეიძლება, არც კი დაგჭირვებოდათ. ახლა ჩვენ დავაწესეთ შეღავათი, ანუ მეწარმეს აქციზური მარკები მიაქვს მხოლოდ ნომინალურ ფასად და აქციზის გადასახადს მაშინ იხდის, როდესაც მარკას გამოიყენებს. თითოეული აქციზის ნომინალური ღირებულება 0,04 თეთრია. ვგეგმავთ ელექტრონული აქციზის შემოღებასაც, ანუ მეთოდი, როდესაც ქაღალდის აქციზი იბეჭდებოდა, დიდი რაოდენობით ვიძენდით და მეწარმეებში ვარიგებდით, ცოტა ძველმოდურია, ტექნოლოგიების დახვეწის შედეგად, ელექტრონული აქციზი შემოიღეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ალკოჰოლისა და სიგარეტის პროდუქციაზე, რომელიც აქ იწარმოება, კონვეიერზევე შეიძლება ნომრისა და სპეციალური შტრიხ-კოდის დაბეჭდვა, რომელშიც ჩაშიფრულია აქციზის ნომერი. არსებობს კომპანიები, რომლებსაც საკმაოდ კარგი მომსახურება აქვთ ამ მხრივ, ამ სისტემას თვითონვე ამონტაჟებენ კონვეიერებზე, ყოველ დარტყმულ ნომერს კი ელექტრონულად, ბაზაში აღრიცხავენ და ამ ონლაინ-სისტემით გვაწვდიან ინფორმაციას, თუ რომელმა საწარმომ, რომელი აქციზური პროდუქცია, რომელ დღეს და რამდენი გამოუშვა, მათგან რომელია განკუთვნილი შიდა ბაზრისთვის, რომელი — ექსპორტისთვის და რომელს ეკუთვნის აქციზის გადასახადი“.

ინტერვიუში ჯაბა ებანოიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ელექტრონული მარკირების სისტემას მხოლოდ აქციზური საქონელი — უალკოჰოლო სასმელი და თამბაქოს მწარმოებელი კომპანიები დაექვემდებარებოდა. როგორ გაჩნდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში უალკოჰოლო სასმელი, ასევე მტკნარი და მინერალური წყლები? თავდაპირველად, გადაწყვეტილი იყო, რომ ელექტრონული აქციზი, ანუ საქონლის სავალდებულო მარკირება ეტაპობრივად, არააქციზურ საქონელსაც უნდა შეხებოდა. საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებაც კი მომზადდა. რის საფუძველზე, მთავრობას უფლება ჰქონდა, განესაზღვრა პროდუქტის სახეობა, რომელსაც სავალდებულო ნიშანდება სჭირდებოდა. გთავაზობთ კიდევ ერთ ამონარიდს ჯაბა ებანოიძის ინტერვიუდან:

„სავალდებულო ელექტრონული მარკირება, ჩვენთვისაც კარგი შედეგის მომტანი იქნება და მეწარმისთვისაც, რადგან ორივე ერთად დავუპირისპირდებით ფალსიფიკაციას. როდესაც შეხვალთ რესტორანში, სადაც მოგიტანენ ლიმონათს, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი ფალსიფიცირებული, ნაწილი კი უსაბუთოა, ამ სისტემის დანერგვის შემდეგ, აიღებთ ბოთლს და თუ ნახავთ, რომ ჩვენი საიდენტიფიკაციო შტრიხ-კოდი აქვს, თქვენთვის ეს ნდობის საფუძველი იქნება. თქვენ ზუსტად გეცოდინებათ, რომ მიირთმევთ ლიმონათს, რომელზეც გადასახადებს იხდიან, რადგან სხვაგვარად, ეს ნიშანი იმ ბოთლზე ვერ მოხვდებოდა“.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ოფიციალურად აცხადებს, რომ ელექტრონული მარკირება 2013 წლის მარტამდე არ ამოქმედდება. მეტიც, ხადურმა ზოგიერთი ექსპერტის პროგნოზს — უალკოჰოლო სასმელის 5 თეთრით გაძვირებასთან დაკავშირებით, არასერიოზული განცხადება უწოდა:

„საქართველოს ფინანსთა ყოფილი მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №129 ელექტრონული მარკირების შემოღებას ითვალისწინებს, რომელიც ალკოჰოლური სასმელისა და სიგარეტის მწარმოებელი კომპანიებისთვის უკვე მოქმედებს. ამავე ბრძანებით, ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, ელექტრონული მარკირება უალკოჰოლო სასმელის კომპანიებისთვისაც შემოიღოს, მაგრამ ეს პროდუქციის გაძვირებას არ გამოიწვევს. ელექტრონული მარკირება აქციზის გადასახადს კი არ ნიშნავს, არამედ — პირობითად რომ ავიღოთ, მწარმოებელი 1 000 ბოთლი გამაგრილებელი სასმელის ელექტრონულ მარკირებაში 5,5 ევროს გადაიხდის, ანუ ერთი ბოთლი 1,2-1,3 თეთრი დაუჯდება. თუკი ერთი ბოთლის მარკირებისთვის 1,2 თეთრია საჭირო, ეს ერთ ბოთლ გამაგრილებელ სასმელს 5 თეთრით როგორ გააძვირებს? ელექტრონული მარკირებისთვის საჭირო აპარატურა ყველა კომპანიაშია დამონტაჟებული. უფრო დეტალურად რომ აგიხსნათ, უკვე გამოშვებულ პროდუქციას, კონვეიერზე ედება შტრიხ-კოდი, რაც ელექტრონულ მარკირებას ნიშნავს. საგადასახადოს თანამშრომელს კი ქსელში, ნებისმიერ მაღაზიაში შეეძლება, დაანათოს თავისი აპარატურა ამა თუ იმ გამაგრილებელ სასმელს, რათა გაიგოს, რომელი ქარხნის მიერაა წარმოებული ეს პროდუქცია. ელექტრონული მარკირება საჭიროა იმისთვის, რომ ქსელში აღურიცხავი პროდუქცია არ მოხვდეს“.

ნოდარ ხადურის განმარტებით, ელექტრონული მარკირების შემოღებასთან დაკავშირებით, სამინისტროში აქტიური სამუშაო პროცესი მიმდინარეობს და დეტალებს აზუსტებენ. ესაა მიზეზი, რის გამოც ელექტრონული მარკირება 2013 წლის მარტამდე გადაიდო. უფრო ზუსტად, ხადურის უწყებაში მსჯელობენ, რომ ქსელში არ მოხვდეს აღურიცხავი პროდუქცია, ელექტრონულმა მარკირებამ არ გააძვიროს უალკოჰოლო და მინერალური სასმელი და რაც მთავარია, ეს მომსახურება თვითონ მწარმოებელსაც არ დაუჯდეს ძვირი.

ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

მალე ახალი წელი შემოაბიჯებს. დარწმუნებული ვარ, გსურთ, განსაკუთრებული სადღესასწაულო განწყობა შეუქმნათ თქვენ პატარებს. ეცდებით, 14 იანვრამდე მთაწმინდის პარკში თოვლის ბაბუა აჩვენოთ, ან გლდანის პარკში წაიყვანოთ ყინულის მოედანზე სასრიალოდ, ან იქნებ, შვილებს უქმე დღეებში დრო მაქსიმალურად დაუთმოთ და დაასწროთ ყველა საახალწლო ღონისძიებას? თუ ასეა, უკვე შეგიძლიათ, პატარებს დღესასწაული მოუწყოთ.

სეზონის პომპეზური გახსნა ცირკში, განახლებული მუშტაიდი და საახალწლოდ მორთული ზოოპარკი

სად მოვუწყოთ დაუვიწყარი „საახალწლო ზღაპარი“ პატარებს

28 დეკემბერს, თბილისის ცირკი სეზონს პომპეზურად გახსნის. სიურპრიზიც გელით — თქვენთვის იმღერებს პოპულარული მომღერალი, რომლის ვინაობასაც ცირკის დირექცია, ჯერჯერობით, ასაიდუმლოებს. საცირკო წარმოდგენებს კი რუსეთის, უკრაინის, ჩინეთისა და შვედეთის ცირკის მსახიობებისგან შემდგარი, 34-კაციანი დასი გამართავს.

ცირკში პატარა სტუმრების მისაღებად მზადება უკვე დაიწყეს. სცენასა და დარბაზს მუშები ფუტკრებივით შესევიან და სეზონის გახსნისთვის ბოლო დეტალებს ამზადებენ. „ვერსიამ“ გაარკვია, რომ საცირკო წარმოდგენებში ცირკის ქართველი მსახიობები არ მონაწილეობენ, რადგან დასი არ გვყავს. სამხატვრო ხელმძღვანელის, **ხათუნა გიორგობიანის** განმარტებით: **„საცირკო პროგრამა 2-საათიანია. წარმოდგენები 28 დეკემბრიდან დაიწყება და სავარაუდოდ, 21 იანვრამდე გაგრძელდება. პროგრამაც საკმაოდ დატვირთულია: გვყავს ვეფხვები, აქლემები, მაიმუნი... შვედეთიდან ჩამოსულია ცნობილი და წარმატებული ჯამბაზი. ორშაბათის გარდა, წარმოდგენები ყოველდღე გაიმართება, 28, 29,30 დეკემბერს და 3 იანვარს დღეში ერთხელ, 16 საათზე, 4 იანვრიდან კი — დღეში ორჯერ, 12 და 16 საათზე. მიუხედავად იმისა, რომ დასის ჩამოყვანა ძვირი ჯდება, ეს ბილეთის ფასზე არ აისახება“.**

საცირკო წარმოდგენაზე დასასწრები ბილეთი 10, 15 და 20 ლარი ღირს. ფასი ადგილის მიხედვით იცვლება — პირველი რიგებში თუ გსურთ მოთავსდეთ, 20 ლარი უნდა გაიმეტოთ, ბოლო რიგებში მოსაკალათებლად კი, მხოლოდ 10 ლარის გადახდა მოგიწევთ.

სადღესასწაულო განწყობაა ზოოპარკშიც. აქაურობა ათასფრადაა მორთული და სამი ნაძვის ხეც დგას. მიუხედავად ამისა, აქ ხალხი ნაკლებადაა, ალბათ, ყინვის გამო. გამყიდველები სტუმრებზე მეტნი არიან, თუმცა არაა გამორიცხული, ვითარება ახალი წლის დღეებში შეიცვალოს. საგანგებოდ მორთულ ჯიხურებში ტკბილეული, ფერად-ფერადი სათამაშოები, პიროტექნიკა, ბუშტები და სხვადასხვა სასუსნავი იყიდება.

სიცივის გამო, ცხოველების ნაწილი, შიდა ვოლიერებში შეყუჟულა, მხოლოდ რამდენიმე მათგანი დაგვხვდა გარეგალიაში. მაიმუნი შვილს იხუტებდა და მის გათბობას ცდილობდა, დათვის ბელი კი, ჩვეულ პოზაში, ზამთრის ძილს მისცემოდა. უცნაური სანახავი იყო, ნიანგისთვის განკუთვნილ ვოლიერში, აუზში მოკალათებული და ყელმოღერებული თეთრი გედი. ყველაზე კარგად კი, თავს, თუთიყუშები და ეგზოტიკური ჩიტები გრძნობენ. ზოოპარკის ადმინისტრაცია ელექტროქურებით ცდილობს მათთვის სასურველი ტემპერატურის შენარჩუნებას.

„ვერსიამ“ დაადგინა, რომ ზოოპარკის ადმინისტრაცია წელს ტრადიციას არღვევს და გრანდიოზული საახალწლო ღონისძიებების გამართვას არ გეგმავს. პარკის კონსულტანტის **ზვიად კელენჯერიძე** განმარტავს: **„ფინანსური პრობლემების გამო, წელს განსაკუთრებულს ვერაფერს ვაკეთებთ, თუმცა არ გამოვრიცხავ, მცირე ღონისძიება ჩავატაროთ“.**

სამაგიეროდ, საახალწლო ღონისძიებისთვის ემზადება მუშტაიდის განახლებული პარკის ადმინისტრაცია. დიდი, წითელი სათამაშოებით მორთულ-მოკაზმული საახალწლო ნაძვის ხე უკვე დაუდგამთ. 10 იანვარს, კონცერტზე, პარკს საქართველოს მთავარი თოვლის ბაბუა ეწვევა და ბავშვებს საჩუქრებს დაურიგებს. ამის შესახებ, „ვერსიას“ „მუშტაიდის“ გენერალურმა მენეჯერმა, **ირაკლი ბითაძემ** აუწყა: **„მუშტაიდის ბაღის სრული რეაბილიტაცია დასრულდა. ყველაფერი გამოიცვალა და შეკეთდა. დამონტაჟდა ახალი განათება. ხეებს დეკორატიული განათება ამშვენებს. დავდგით სხვადასხვა სახის ოთხი სკამი, ახალი ურნები. გაიზარდა გამწვანებული ზოლი. 2 500-მდე ახალი ხე-მცენარე დავრგეთ. გაკეთდა 7 ახალი გაზონი. აქტიური ზონა დაფარულია ბეჭდური ბეტონით. გვაქვს ასევე ახალი აუზი და დინამიური, ფერადი შადრევანი. ამოქმედდა საზაფხულო და საბავშვო კაფეები. ფუნქციონირებს სიცილის ახალი ოთახი. დამონტაჟდა 25 ახალი კარუსელი, რომელიც ყველა ასაკის ადამიანზეა გათვალისწინებული. „ეშმაკის ბორბალი“ სრულად რეაბილიტირებულია და შემკულია დინამიური განათებით. რაც მთავარია, მსოფლიოში პირველი, ბავშვთა რკინიგზის რეაბილიტაცია მოხდა და მუშტაიდის პარკის ცნობილი პირველი საბავშვო მატარებელი უკვე მუშაობს. ასევე გაკეთდა 3 ტირი: კომპიუტერული, ლაზერულ-თეატრალიზებული და ახალი კლასიკური ტირი. გვაქვს 3 კინოთეატრიც. რეაბილიტაცია ჩაუტარდა და განახლდა საკონცერტო სცენა“.**

გაირკვა ისიც, რომ პარკში, ფიროსმანისდროინდელი ცნობილი რესტორანი, სადაც მხატვარმა მარგარიტას ვარდები მიართვა, ფუნქციას შეიცვლის და იქ ბავშვთა გასართობი ცენტრი გაკეთდება. ამის მიზეზად, ადმინისტრაცია იმას ასახელებს, რომ პარკმა ახლა ფუნქცია შეიცვალა და ის, ძირითადად, ბავშვებზეა მორგებული. ბაღში მდგომ ყველა ძეგლს რეაბილიტაცია ჩაუტარდა და მათ რიცხვს, ორი ახალი — დევი და ფარშევანგი შეემატა.

თბილისის თეატრების საახალწლო რეპერტუარი

ნათია ვასაძე

ახალი წელი ყველასთვის განსაკუთრებული და გამორჩეული დღესასწაულია. თითოეული ჩვენგანი ცდილობს, მას შესაბამისად შეხვდეს და მაქსიმალურად იმხიარულოს. საახალწლო განწყობა უკვე იგრძნობა სადღესასწაულოდ მორთული თბილისის ქუჩებში. სამაგიეროდ, როგორც „ვერსიამ“ გაარკვია, წელს თბილისის მერია, წინა წლებთან შედარებით, მოკრძალებულ გასართობ ღონისძიებებს შემოგვთავაზებს. ამ ფონზე, უფრო საინტერესო ხდება თბილისის თეატრების საახალწლო რეპერტუარი. „ვერსია“ რამდენიმე თეატრის აფიშას სთავაზობს მათ, ვისაც, 2013 წლის დადგომისთანავე, სულიერი საზრდოს მიღება და თეატრის სცენის მტვრის ჩაყლაპვა განუზრახავს.

შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დიდ სცენაზე, შეძლებთ, რეჟისორ გიორგი თოდაძის მიერ, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის ნაწარმოების მიხედვით დადგმული, „პატარა უფლისწულის“ პრემიერით დატკბეთ. სპექტაკლები 28, 29, 30 დეკემბერს — 18:00 საათზე, ხოლო 3, 4 და 5 იანვარს — 15:00 საათზე გაიმართება. ბილეთების ფასი 6-12 ლარი გახლავთ.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრშიც პრემიერაა — 29 დეკემბერს, 19 საათზე, დიდი სცენა ჰანს კრისტიან ანდერსენის „თოვლის დედოფალს“ უმასპინძლებს. სპექტაკლის რეჟისორი ციცინო კობიაშვილი გახლავთ. წარმოდგენები იანვრის ბოლომდე გაგრძელდება. ბილეთის ფასი 8-14 ლარია. ამავე თეატრის მცირე სცენაზე კი, 2 იანვრიდან ყოველდღე, თითების თეატრი და თოჯინების საოპერო თეატრი, რეჟისორ ბესო კუპრეიშვილის საოპერო თოჯინურ სპექტაკლს — ჯოაკინო როსინის „სევილიელ დალაქს“ წარმოგიდგენთ. ეს პირველი საოპერო თოჯინური სპექტაკლია საქართველოში. მას, თავისი ფორმატითა და შესრულებით, ჩვენ ქვეყანაში ანალოგი არ მოეძებნება. სპექტაკლი გაფორმებულია ოპერის ორიგინალი ჩანაწერებით და ადაპტირებულია ბავშვებისთვის 4 წლიდან. წარმოდგენები ყოველდღე, 20:00 საათზე დაიწყება. უნიკალური საოპერო თოჯინური სპექტაკლის ნახვას კი, მხოლოდ 6 ლარად შეძლებთ.

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრში, 28, 29, 30 დეკემბერს, საშობაო განწყობა შეგიძლიათ, შეიქმნათ დათო დოიაშვილის სპექტაკლით — „იყო და არა იყო რა... ანუ საშობაო ზღაპარი“. წარმოდგენები, რომლებზე დასასწრებადაც, 10-ლარიანი ბილეთის შეძენა მოგიწევთ, სამივე დღეს, 19:00 საათზე დაიწყება. „საშობაო ზღაპარს“ კი, სოფო ხალვაში, თიკა ფაცაცია, არჩილ სოლოღაშვილი, ტატო ჩახუნაშვილი და თორნიკე გოგრიჭიანი გიამბობენ.



ახალი წლის დღეებში, საკმაოდ მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს **თავისუფალ თეატრს.** 28 დეკემბერს აქ ნახავთ დავით დოიაშვილის „ჯინსების თაობას“, 29 დეკემბერს — ასევე ვარსიმაშვილის „ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები“. 30 დეკემბერს კი, თავისუფალი თეატრი რეჟისორ მაია დობორჯგინიძესა და მის წარმოდგენას, „თაფლობის თვეს“ უმასპინძლებს. სპექტაკლების დასაწყისი 19:00 საათი გახლავთ. ბილეთის ფასი კი 5-დან 12 ლარამდე მერყეობს.

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრი მაყურებელს შესთავაზებს ორ სპექტაკლს: 29 დეკემბერს, თეატრის დიდ დარბაზში წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „მაკნატუნა“, ხოლო 30 დეკემბერს — „თოვლის დედოფალი“. სპექტაკლები 12:00 საათზე დაიწყება.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის, კინომსახიობთა თეატრში, 28 დეკემბერს, რეჟისორ გიორგი მარგველაშვილის სპექტაკლი „ჯერ

დაიხოცნენ მერე იქორწინეს“ გაიმართება. 29 დეკემბერს, თეატრი უმასპინძლებს რეჟისორ ნინი ჩაკვეტაძის სპექტაკლს — „სუფთა სახლი“. 30 დეკემბერს, ამავე თეატრის სცენაზე, ზურაბ გეწაძის „7 პ. პ.“ გათამაშდება. წარმოდგენის დასაწყისი, სამივე დღეს 18:00 საათია. ბილეთის ფასი კი — 7-10 ლარი.

თუმანიშვილის თეატრი საახალწლოდ „მულტი პულტის სამყაროსაც“ უმასპინძლებს და ბავშვებს მხიარულ და დაუვიწყარ, საახალწლო სპექტაკლებს უჩვენებს. შეგიძლიათ, თქვენ პატარებს სიურპრიზი გაუკეთოთ და 29, 30 დეკემბერს სპექტაკლზე, „ცეცხლო, ალი აანთე, შრეკი დროში გააქრე!“ (დასაწყისი 13:00, 15:00 საათზე) დაასწროთ, ან 3, 4, 5 და 6 იანვარს უჩვენოთ „საახალწლო ორომტრიალი საზღაპრეთში“ (დასაწყისი 12:00, 14:00 საათზე). აღნიშნულ წარმოდგენებზე დასასწრები ბილეთის ფასი 10-15 ლარია. 15-ლარიან ბილეთში კი, საჩუქარიც შედის.

28, 29 დეკემბერს და 3, 4 იანვარს, **გრიბოედოვის თეატრი** წარმოგიდგენთ სპექტაკლს „12 თვე“. 30 დეკემბერს და 7 იანვარს კი, ამ თეატრის სცენა, რეჟისორ ვახტანგ ნიკოლავას „საშობაო ზღაპარს“ უმასპინძლებს. ბილეთების ფასი 5 ლარია.

საახალწლო ღონისძიებები იგეგმება **ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზშიც.** „ვანოს შოუ“ და „კომედი შოუ“ 27, 28, 30 დეკემბერს წარმოგიდგენთ საახალწლო კონცერტებს. დასაწყისი 17:00 საათზე. ბილეთების ფასი 10, 15, 20 ლარი.

29 დეკემბერს ანსამბლი „გვირილა“, 5-6 იანვარს კი ანსამბლი „ბასტიბუბუ“ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში უკვე პატარებზე იზრუნებენ და მათ საახალწლო განწყობას შეუქმნიან.

„ბიძინა კლაუსის“ მოლოდინში

ჩამოურიგებს თუ არა ივანიშვიდი თბილისელებს საახალწლოდ გოჭებსა და ინდაურებს

საოცარი ხალხი ვართ ქართველები. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გვჯერა ზღაპრების და ოცნებასაც სუნთქვაზე გვიან ვწყვეტთ. ძვალრბილში გამჯდარი სიზარმაცის წყალობით კი, ხშირად წარმოვიდგენთ ხოლმე, როგორ მოვა ვიღაც კეთილი კაცი, ჩვენ საქმესაც გააკეთებს, ოჯახსაც გვირჩენს და ტახტზე, მხართეძოზე წამოგორებულებს მოგვემსახურება კიდეც. ეს კეთილი კაცი, უკვე კარგა ხანია, საზოგადოების დიდი ნაწილის წარმოდგენაში, ბიძინაა, ივანიშვილი. შემოდგა თუ არა მილიარდერმა პოლიტიკაში ფეხი, ატყდა ალიაქოთი: მაგან, კლასელებს, სკოლის დამთავრების 10 წლისთავზე, რესტორანში საგანგებოდ გაშლილ სუფრაზე, მანქანების გასაღებები ჩამოურიგა და ჩვენ როგორ არ მოგვხედავსო. ჰოდა, რამდენი ელოდა ივანიშვილისგან მანქანას საჩუქრად, ვინ მოთვლის. მერე, ცოტა „რეალისტური“ ოცნება დავიწყეთ. აგერ, მაგალითად, ჩემმა მეზობლებმა ერთ დღეს გამომიცხადეს, ბანკში აღებული ვალის პროცენტი უნდა შეგვეტანა, მოვაგროვეთ ეს თანხა და კარგად უნდა „ვიშარაფოთ“, ბიძინა მაინც ჩამოგვაწერს ვალებსო. ჩვენმა ფანტაზიამ საახალწლოდაც გაშალა ფრთები და სადღესასწაულო ოცნება ვისწავლეთ, რომელმაც თბილისური ჭორის სახე მიიღო და დედაქალაქს მოედო — ბიძინა ივანიშვილი თბილისელებს სიურპრიზს გვიმზადებს და საახალწლოდ, ყველა ოჯახში მიიტანს ძღვენს, ერთი გოჭის და ერთი ინდაურის სახით. არ დაიჯეროთ ეგ ამბავი-მეთქი, ერთ ჩემ ნაცნობს რომ ვუთხარი, გაბრაზება არ შეიმჩნია და ხუმრობანარევი, მაგრამ ნაწყენი ტონით მითხრა, ვისაც გვჯერა, ბატონო, გაგვატარე, შენ იყიდე გოჭი და ინდაური და მე რომ მუქთად მექნება, შორიდან მიყურეო. გაგატარებთ, ბატონო, ვისაც გჯერათ, მაგრამ ვშიშობ, საახალწლოდ საცივის გარეშე არ დარჩეთ.

მარტივი მათემატიკა მოვიშველიოთ. თავკომბალად ქცეულ თბილისში, დაახლოებით, 400 ათასი ოჯახი მაინც ხომაა? — არის. ანუ, ამავე რაოდენობის გოჭი და ინდაური ხომ უნდა იშოვოს ივანიშვილმა საახალწლოდ? — უნდა იშოვოს! კარგი, დავუშვათ, აქაური მარაგი თუ არ ეყოფა, შარშანდელივით, შემოიტანენ ჩინურ გოჭებს, მაგრამ რა დაუჯდება ამ საჩუქრის გაკეთება „ბიძინა კლაუუს“, იცით? ერთი მომცრო გოჭის ფასი 100 ლარი რომ ვიანგარიშოთ და მოზრდილი ინდაური — 50 ლარად შევაფასოთ, თითო ოჯახის გასახარებლად პრემიერს 150 ლარი სჭირდება. 400 ათასი ოჯახის საჩუქრის შესაძენად კი — 150x400 000. ანუ, ბიძინა ივანიშვილმა, თავისი ჯიბიდან, 60 მილიონი უნდა ამოიღოს, რომ გოჭები და ინდაურები ჩამოგვირიგოს. უი, ის აღარ გამახსენდა, იმისიც რომ გვჯერა, რომ ჯიბეს მართლა გამოიფხეკს მილიარდერი და სიმწრით ნაშოვნ მილიონებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ჩადებს. გამოდის, ახლა უნდა ავირჩიოთ, დღევანდელ გოჭებსა და ინდაურებზე ოცნება გვირჩევნია თუ ხვალინდელ ეკონომიკურ აღმავლობაზე ფიქრი.

თბილისში, „ბიძინა კლაუსზე“ გავრცელებულმა ჭორმა, ზოგ ადამიანში იუმორის გრძნობაც აღძრა. ასე დააყენა ამ ამბავმა ხუმრობის ხასიათზე ერთი ჩემი მეგობარი, რომელმაც მითხრა, უი, რა კარგია, ამ ჭორმა, 1-2 დღე თუ იმუშავა გოჭი და ინდაური გაიაფდებაო. რა უცნაური რამაა ეს ლოგიკა. ქოთნისთვის ყურს რომელი მხრიდანაც გაწყობს, იქიდან მიგაბმევინებს.

შედარებით „პესიმისტური“ აღმოჩნდა, ჩემი მეორე ენაკვიმატი მეგობარი — ვაიმე, მართლა ეგრე რომ მოხდეს, გოჭი და ინდაური წითელ წიგნში გახდება შესატანიო, შეიცხადა. ეგ კი, ნამდვილად ცუდი ამბავი იქნება იმიტომ, რომ გადავრჩით, ბატონო, ამ 2012 წელს და აწი, კიდევ გვაქვს, ღმერთის წყალობით, ახალი წლები წინ.

თქვენი არ ვიცი, პირადად მე, ივანიშვილის ძღვენს არ დაველოდები და არ დავიჯერებ, რომ პრემიერი ახალი წლის ღამეს „ბიძინა კლაუსად“ მოგვევლინება. ისე, პრინციპში, მილიარდერმა, საახალწლო საჩუქარი უკვე გაგვიკეთა — ეგ რომ არა, არც ეს უწყინარი საახალწლო ჭორი აგორდებოდა და მისი წყალობით, ვერც ჩვენ გავიხალისებდით ცხოვრების რამდენიმე წუთს ასე გემრიელად.

ჟურული იუმორი ჯანწყობის ასამაღლებლად

სააკაშვილი დამუქრებია გურულებს: გავიმარჯვებ მალე არჩევნებში და სულ ცალი კალოშით გატარებთო!

გურულების პასუხი: რავა, ორი გვეცვა აქამდე, თუ?

გურული: ძამა, გუშინ ქორწილში ვიყავი და საინებს იმფერი ტემპით ცვლიდნენ, გოჭი და ტყემალი ვერ დოუმთხვიე ერთმანეთს.

გურული ძმაკაცს ეუბნება: ძამა, ბაღანაის ქორწილი მაქვს 500-კაციანი და 3 გოჭი მეყოფა?

— ცოცხლად თუ ჩამოარბენინებ, ერთიც გეყოფა.

გაქანებულმა გურულმა ქალმა გაიგო, ახალმა მთავრობამ პენსია გაზარდაო, გავარდა საპენსიო ფონდში და თქვა: პენსია რომ გეიზარდა, იგი მომეციითო. ამათმა უთხრეს: ეგ კანონი ჯერ არ არის ძალაშიო. ქალი გაწიწმატდა: აბა როდის იქნება ძალაში, მე რომ ვიწვები ზალაშიო?

როგორ შევხვდეთ გველის წელს?

დამდეგი 2013 წელი, აღმოსავლური კალენდრით, წყლის შავი გველის წელიწადია. კალენდარულად ის მხოლოდ 10 თებერვალს დადგება, მაგრამ ამ მომენტისთვის მზადება ახლავე უნდა დავიწყოთ. ასტროლოგების რეკომენდაციებს არასოდეს მიმართავს ამდენი ადამიანი, როგორც ახალი წლის წინ. ყველაზე ურწმუნოებიც კი ინტერესდებიან — რა მოვამზადოთ სუფრისთვის, რა ჩავიცვათ, როგორ გავაფორმოთ სახლი და სხვ. მოდით, სწორედ ამაზე ვისაუბროთ.

გველი კონსერვატიული არსებაა, ამიტომ ახალი წლის კლასიკურად შეხვედრა, სწორედ რომ, საუკეთესო ვარიანტი იქნება. თუ შეეცდებით მომავალ, 2013 წელს არაორდინარულად შეხვდეთ, ამან შესაძლოა, სავალალო შედეგები გამოიწვიოს.

რაც შეეხება სუფრას — ცნობილია, რომ გველს აღმოსავლეთში „პატარა დრაკონს“ ეძახიან: მასაც არანაკლებ უყვარს სიმდიდრე და ფუფუნება ყველაფერში, ამიტომ საახალწლო სუფრა დახვეწილი და მდიდრული უნდა იყოს, მხოლოდ მარტივი კერძებით ნუ შემოიფარგლებით. კარგი იქნება, თუ სუფრას დაამშვენებთ სხვადასხვა სახის ხორცისგან მომზადებული კერძებით, აუცილებლად მიიტანეთ მაგიდაზე თევზი, ფარშირებული კვერცხი. ეგზოტიკის მოყვარულებს შეუძლიათ ბაყაყისა და ლოკოკინას დაგემოვნების უფლებაც მისცენ თავს — გველს მათი საწინააღმდეგო არაფერი ექნება. სასურველია, სუფრა ლამაზი, კლასიკური, ძვირფასი ჭურჭლით გააწყოთ. კარგი იქნება, თუ სუფრაზე არომატულ სანთლებს დაანთებთ. მნიშვნელოვანია, სადღესასწაულო ღამეს მოგწონდეთ საკუთარი თავი. ყველაფერი იღონეთ, რომ მაქსიმალურად კარგად გამოიყურებოდეთ. ნუ შეხვდებით ახალ წელს საშინაო ტანსაცმელში, თუნდაც ირგვლივ მხოლოდ ოჯახის წევრები და ახლობლები იყვნენ. მუქ ლურჯს, მწვანეს, ზღვის ტალღისა და რასაკვირველია, შავ ფერს უნდა მიანიჭოთ უპირატესობა. სრულიად უადგილო იქნება ეგრეთ ნოდებული, გველის ტყავი. კაბას რაც შეეხება, ის ნებისმიერი სიგრძის, ტანზე მომდგარი, ბრჭყვიალა უნდა იყოს. მამაკაცები კი კლასიკურ კოსტიუმში უნდა გამოეწყონ.

სადღესასწაულო ატმოსფეროს შესაქმნელად, ტრადიციული ელემენტები გამოიყენეთ — ნაძვის ხე ან მისი ტოტები, სანთლები, ფიგურები გველის გამოსახულებით. სპეციფიკურ ელემენტებსაც მიუჩინეთ სადმე ადგილი, მაგალითად, ნიჟარებს, ზღვის ვარსკვლავებს, მარჯანს — ეს ყველაფერი გველს მშობლიურ სტიქიაზე, წყალზე მიანიშნებს.

გართობას რაც შეეხება, გველი ჭკვიანი და კონსერვატიული ცივსისხლიანია, ამიტომ ახალი წლის ღამეს თავი აარიდეთ ხმაურიან წვეულებებს.

ორცხობილა „თოვლის ბაბუ“

საცივის, გოზინაყისა და საახალწლო სუფრის სხვა ტრადიციული კერძის დამზადების წესი, ალბათ, არავისთვისაა საიდუმლო. გინდათ, წელს მათ რიცხვს, რაიმე განსაკუთრებულიც შემატოთ?

გსურთ, ოჯახის წევრები, განსაკუთრებით კი პატარები, ახალი წლის ღამეს გააოცოთ და საახალწლო სუფრაზე, არც მეტი, არც ნაკლები, თოვლის ბაბუს ფორმის ორცხობილა დაახვედროთ? თუ ასეა, რეცეპტი, რომელიც სოციალურ ქსელში გავრცელდა, თქვენთვისაა ზედგამოჭრილი. ორცხობილა „თოვლის ბაბუ“ საკმაოდ მარტივად მზადდება და არც რაიმე განსაკუთრებული ინგრედიენტი სჭირდება.

საჭირო მასალა:

4,5 ჭიქა ფქვილი, 1/2 ჭიქა შაქარი, 2 სუფრის კოვზი მშრალი საფუარი, 1 კოვზი მარილი, 1/2 ჭიქა რძე, 1/4 ჭიქა წყალი, 100 გრამი შერბილებული კარაქი, 2 კვერცხი. რამდენიმე წვეთი ჭარხლის წვენი. 2 ცალი ქიშმიში.

მომზადების წესი:

ჩვეულებრივად მოზილეთ საფუარიანი ცომი. ამოსვლის შემდეგ, მიეცით შესაბამისი ფორმა ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები. ქუდის პომპონი და ცხვირი, ცომის ბურთულებია. ქუდსა და ცხვირზე გადაუსვით კვერცხის ათქვეფილი გული, რომელშიც გაურევთ ჭარხლის წვენის რამდენიმე წვეთს. თვალების ადგილას ქიშმიშები გამოიყენეთ და შედგით გაზქურაში გამოსაცხობად.

სალათი „გველი“

გველის წელს, საახალწლო სუფრაზე შეგიძლიათ „სალათი გველი“ დააბრძანოთ. ამ კერძის მომზადებაც საკმაოდ მარტივია.

საჭირო მასალა:

5 ცალი კარტოფილი; 4 ცალი კვერცხი; მაიონეზი, მარილი, წიწაკა გემოვნებით; სალათის რამდენიმე ფურცელი. კიტრის მწნილი გასაფორმებლად.

მომზადების წესი:

მოხარშული კარტოფილი და კვერცხი დაჭერით, დაამატეთ მარილი, წიწაკა და მაიონეზი გემოვნებით. ეს მასა, დადეთ სალათის ფურცლებიან თეფშზე ისე, რომ გველის ფორმა მიიღოს. კიტრის მარინადი დაჭერით თხლად და გველი ისე გააფორმეთ, როგორც სურათზეა. თვალების ადგილას გამოიყენეთ ზეთისხილი, ენის ნაცვლად კი — სტაფილო.

ჰოროსკოპი 2013 წელი

რას გვიქადის წყლის შავი გველის წელი?

2013 წელს, აღმოსავლური კალენდრით, მმართველი წელის შავი გველი გახდება. წლის დასასრულის არ უყვარს სიჩქარე, სამაგიეროდ სიადუმლოსა და ეველასფერ ამოუცნობს ანიჭებს უპირატესობას.

იმის გამო, რომ გველის წელი ეველა ადამიანს სიურპრიზს უმზადებს, ეველა ახალი საქმის დაგეგმვას გონებით, გაზრებულად მიუდ-ექით. წლის დასწეისში ეველა გადაჭრის ამ პრობლემებს, რაც წინა წლიდან შემორჩა. დროის სიმკაცრისა და სიფრთხილის მიუხედავად, მომავალი წელი ეოველ ჩვენგან პროდუქტიულობას ჰპირდება, რადგან მისი შესაძლებლობები, თუ ჭკუით იქნება გამოყენებული, ადა-მიანს წარმატებებს მოუტანს. იმის გამო, რომ გველი დრაკონის „ნათესავი და თანამოაზრეა", ახალი, 2013-იც შეგვიძლია გასული წლის მემკვიდრედ ჩავთვალოთ. ასე რომ, წინა წელს დაწყებული საქმე შესანიშნავად განვითარდება, მთავარია, გაზრებული ნაბიჯები გადადგათ.

თუ საერთოდ, საზოგადოებაზე ვიელაპარაკებთ, აქტიური სოციალური რევოლუციური აფეთქებების ტენდენცია მიწენარდება. შუა წელს, შესაძლოა, სერიოზულ პოლიტიკურ ცვლილებებს ველოდეთ. მზის დაბნელება, რომელიც 10 მაისს მოხდება, წლის დასაწეისში არსებული იღუზიების გაფანტვას შეუწყობს ხელს. მზეზე მძლავრი აფეთქებები კი, რომელიც მთელი წლის განმა-ვლობაში იქნება, ადამიანების იმპულსურ საქციელს წაქეზებს. დიდი ხნის განმავლობაში ბევრს მოეჩვენება, რომ ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში შავი ზოლი ჯერ კიდევ მსოფლიო კრიზისის დროიდან გრძელდება. წლის მეორე ნახევარი კი უფრო პოზიტიური იქნება. ეველა უწესო, მატეუარა, მოდალატე ადამიანი იმას მიიღებს, რასაც დაიმსახურებს.

გაისად ეკონომიკურ სფეროში საკმაოდ ძლიერ რეკვები იქნება. ბუნებრივი კატაკლიზმები და სოციალური კრიზისი საკმაოდ ემძიმე ვითარების შექმნის, რაც კიდევ უფრო გაღრმავების უფსერულს „მდიდრებსა" და „ღარიბებს" შორის. მოსალოდნელია ფინანსური კრიზისი, მსოფლიოს წამყანი ვალუტის კურსის ვარდნა. წლის მეორე ნახევარში, ამ სფეროშიც შესაძლებელია ვითარების სტაბილიზება. წლის პრიორ-იტეტი უნდა გახდეს საქმიანი და ფინანსური თანამშრომლობა, რადგან ამ პერიოდის პრობლემების დამოუკიდებლად გადწეეტა არავის ძალუმს.

შავი გველის წელიწადი ადამიანებს ბევრ მღელვარებასა და სანერვიულოს მოუტანს. ეს პირად ცხოვრებაშიც აისახება. ნუ დაელოდებით რომანტიკას, ენებასა და სასიამოვნო რომანს — გველს არ უყვარს გადაჭარბებული გრძნობები არც სიევარულში და არც სიძულვილში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სიევარულს ფიასკო ელის. ეველა მსუბუქი რომანი და ზედაპირული ურთიერ-თობა თავისთავად დასრულდება და სკანდალური განქორწინებაც უხვად იქნება, მაგრამ ეს წელიავე დაულებს სათავეს ნამდვილ, ჭეშმარიტ ურთიერთობებს, რაც ეველა პრობლემასა და დროს გაუძლებს.

ვერძი — 2013 წელს, ვერძები ფიქრებით, კვლავ გასული წლის მოვლენებთან იქნებიან დაკავშირებულნი. ცხოვრებაში ცვლილებები საკუთარ თავზე მუშაობით იწეება — როგორც კი გარშემომეოფებთან ურთიერთობას დაალაგებთ, თქვენს მიმართ დამოკიდებულებაც მეისვე შეიცვლება. წელი დაკავშირებულია პირადი ხასიათის მნიშვნელოვან აღმოჩენებთან, იქნება ეს სურვილები, ნიჭი თუ პობი. ზამთრის თვეები ახალ შესაძლებლობებს უკავშირდება. ბევრი ვერძი უჩვეულო ნაცნობობასაც გაიბამს. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი ან სანდო მეგობარი იპოვოთ, რომელიც თქვენში ძლიერ გრძნობებს აღძრავს. სასარგებლოა ხალხში ხშირად ეოფნა, წვეულებებზე დასწრება. გაზაფხული ემოციურად რთული იქნება და ეველა უბედურებაში დამნაშავის ძებნას გარშემომეოფებში დაიწეებთ. შედეგად, კვლავ ძველი კონფლიქტი შეიძლება გაღრმავდეს. წლის მეორე ნახევარში პოზიტიური ტენდენციების გავლენა ძალიან მინიმალური იქნება. აქ ეველაფერი თქვენზეა დამოკიდებული — ენერგიულები და მიზანმიმართულები რთული სიტუაციიდანაც ნახავენ სარგებელს.

კურო — 2013 წელს თავს სწორედ ამ დამიანად იგრძნობთ, რომელსაც დასმარებისა და რჩევისთვის მიმართავენ, თუმცა ეცადეთ, გაურკვევლობას თავი აარიდოთ, ფრთხილი იყავით სიტყვებსა და საქციელში. პირველი თვეები კარგად ჩაივლის, რადგან ძლიერია ეველა სფეროში პოზიტიური ტენდენციების გავლენა. პროფესიულ და პირად ცხოვრება-შიც ეველაფერი დალაგებულ-დაგარცხნილია და მღელვარების მიზეზიც არ გაქვთ. გაზაფხულზე ახლობლების ძლიერი მხარდაჭერა გექნებათ, რაც ბევრი პრობლემის მოგვარებას შეგიმსუბუქებთ. ზაფხული თქვენთვის პატარა გამარჯვების პერიოდია, მთავარია, არ მოეშვათ და სიტუაციაზე კონტროლი არ დაკარგოთ. წლის მეორე ნახევარი უფრო რთული იქნება, რადგან ბოლომდე ერთგვარ ემოციურ საქანელაზე მოგიწევთ ქანაობა — ხან წარმატებები გექნებათ, ხანაც — იმედგაცრუება. ნუ ეცდებით, ეველა პრობლემა მარტომ მოაგვაროთ, ახლობლები მხარში აუცილებლად დგიდგებიან, თუ, რა თქმა უნდა, მათ ამის საშუალებას მისცემთ.

ტყუპები — ეს წელი ტყუპებისთვის წონასწორობის ძიების პერიოდია. ბალანსისა და ჰარმონიისკენ ისწრაფვიან, საბოლოოდ კი, მშვენიერებას ცხოვრების თანაბარ რიტმში აღმოაჩენენ. გარშემომეოფებთან დამოკიდებულება ცვა-ლებადია — დიდი ხნის განმავლობაში თქვენგან ტკბეთრ, მოულოდნელ გადწეეტილებებს მოელოდნენ, ახლა კი მშვიდი, ფრთხილი და გაწონასწორებული ხართ. წლის დასწეისი უსიამოვნო პერიოდია, რადგან ეველა წამოწეება წარუმატებელი აღმოჩნდება. აშკარად არ გეოფნით კარგი იდეები და გამჭრიახობა. შედარებით სასიკეთო პერიოდი აპრილიდან იწეება, რის გამოც, უფრო ოპტიმისტურად განეწეობით. დიდია ალბათობა ახალი რომანტიკული ურთიერთობებისა. წლის ბოლო თვეები შედარებით რთული იქნება, უსიამოვნო მომენტები ველით, მაგრამ მაინც მოახერხებთ სიტუაციის კაკონტროლებას.

კირჩხიბი — კვლის წელი ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის სასიკეთოა. ვარსკვლავები დასვენებასა და ძალების აღდგენას გპირდებიან. მოახერხებთ წესრიგის დამყარებას საკუთარ სულში და ცხოვრებასაც თქვენთვის სასურველ კალაპოტში ჩაყენებთ. მომავალი წელი მშვიდი ნამდვილად ვერ იქნება, საბოლოოდ კი, ეველაფერი თქვენს ემოციურ განწეობაზე იქნება დამოკიდებული. პირველ თვეებს იმის გარკვევას დაუთმობთ, რა ხდება თქვენსა და გარშემომეოფებს შორის, გამეჯხეთ პროფესიული და პირადი ურთიერთობები, საკუთარ თავთან კი პატიოსანი იყავით — ეს ადვილი არა, მაგრამ აუცილებელია. მაისის ბოლოს პოზიტიური ტენდენციების გავლენა საგრძნობი გახდება, კარგი პერიოდი იქნება საქმიანი, მეგობრული, რომანტიკული ურთიერთობებისთვის. სამწუხაროდ, შემოდგომაზე უარეოფითი ტენდენციები კვლავ შეგახსენებთ თავს. ფრთხილად იარეთ წინ, სადი აზრით იხელმძღვანელეთ და წლის ბოლოს გამარჯვებასაც იზეიმებთ.

ლომი — ვარსკვლავები გაფრთხილებენ: რთული პერიოდი გიახლოვდებათ, რომელიც თქვენგან საპასუხისმგებლო გადწეეტილებებსა და გაზრებულ ნაბიჯებს მოითხოვს. არა მხოლოდ წინდახედულობა, საოცრი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აღმოჩნდება მომავალი წელი დადებითი. მოდუნება დაიავიწეეთ, ეოველი დღე ისე გაატარეთ, თითქოს სულ ეურადღების ცენტრში ხართ. გაუფრთხილდით რეპუტაციას, რადგან წელს სწორედ ის იქნება თქვენი საუკეთესო დამხმარე, სტაბილურობის გარანტი და წარმატების გასაღები. 2013 წელი ლომებს გრანდიოზულ წარმატებებს ჰპირდება შემოქმედებით საქმიანობაში. წლის დასაწეისში ხშირია უთანხმოება ახლობლებთან, კოლეგებსა და მეგობრებთანაც. მაისიდან სექტემბრამდე პერიოდი საკმაოდ ნაეოფიერი იქნება, თუმცა, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები წარმოიქმნას ოჯახში. არ არის გამორიცხული, კარდინალური ცვლილებები, რასაც ადვილად ვერ შეეგუებით. ბოლო თვეები კი ამ საქმეებთან იქნება დაკავშირებული, რაც ახლობლებმა არ იცინან. იყავით ეურადღებით: თუ გაიგეს, ეს სართულს შეგიქმნით.



2013 წლის ყველაზე სასურველი ქალი დაასახელეს

მამაკაცებისთვის განკუთვნილმა პოპულარულმა გამოცემა AskMen-მა 2013 წლის ყველაზე სასურველი ქალების რეიტინგი გამოაქვეყნა. ლიდერობა არც ცნობილ ქალბატონს, კიმ კარდა-შიანს ერგო და არც — რიანას. ყველაზე მომხიბვლელ და სასურველ მანდილოსნად გამოკითხ-ულმა მამაკაცებმა ფილმ „მმიერი თამაშების" ვარსკვლავი ჯენიფერ ლოურენსი დაასახელეს. გამოცემა მსგავს რეიტინგს ყოველწლიურად აქვეყნებს. AskMen-ის რედაქცია აღნიშნავს, ამ ახალგაზრდა მსახიობის გამარჯვება გასაკვირი სულაც არ არის. ლოურენსი უფრო ბუნებრივია, ვიდრე ცნობილი მსახიობების უმრავლესობა, თუმცა თავად არაერთხელ უთქვამს — ჰოლივუდში აღიარებული სილამაზის სტანდარტებში არ ვჯდები, ძალიან მსუქანი ვარო.

რეიტინგის მეორე ადგილი ეშტონ კატჩერის ახალ საყვარელს, მილა კუნისს ერგო, მესამეზე მოდელი ქეით აპტონი გავიდა. რიანა კი, რომელიც ბოლო დროს, აქტიურად ანთავსებს თავის პიკანტურ ფოტოებს სოციალურ ქსელში, მეოთხე ადგილს დასჯერდა. მეხუთე საფეხური მსახ-იობმა ემა სტოუნმა დაიკავა. კიმ კარდაშიანი სიაში მხოლოდ 98-ეა. სხვათა შორის, რეიტინგში სუსტი სქესის 99 წარმომადგენელი შევიდა.





ადვილი

4	8	5	7	9	3	6	2	1
3	1	2	8	4	6	9	7	5
9	7	6	5	2	1	4	3	8
1	6	3	4	5	2	8	9	7
8	5	7	3	1	9	2	6	4
2	9	4	6	7	8	1	5	3
7	4	1	2	6	5	3	8	9
6	3	9	1	8	7	5	4	2
5	2	8	9	3	4	7	1	6

რთული

2	5	4	7	6	1	3	9	8
7	3	9	2	8	5	6	4	1
8	6	1	9	4	3	7	5	2
6	4	5	3	2	9	1	8	7
1	8	3	5	7	6	4	2	9
9	2	7	8	1	4	5	3	6
5	1	2	6	3	8	9	7	4
4	9	8	1	5	7	2	6	3
3	7	6	4	9	2	8	1	5

ცოცხალრცხი

1	5	6	9	4	8	7	3	2
7	4	9	6	3	2	1	8	5
3	2	8	1	7	5	6	9	4
9	6	5	8	2	1	4	7	3
4	1	2	7	6	3	9	5	8
8	7	3	5	9	4	2	6	1
6	3	4	2	8	9	5	1	7
5	8	7	4	1	6	3	2	9
2	9	1	3	5	7	8	4	6

ეჭვსავრცხი

7	9	6	5	4	1	2	8	3
4	5	8	3	7	2	1	9	6
1	3	2	6	9	8	5	4	7
6	2	1	9	3	5	4	7	8
3	8	7	2	6	4	9	5	1
9	4	5	8	1	7	6	3	2
2	7	9	4	8	6	3	1	5
8	6	3	1	5	9	7	2	4
5	1	4	7	2	3	8	6	9

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

სტრესი სიგარეტზე მავნებელია

მას, ვისაც ქრონიკული დაღლილობა სტანჯავს, საფრთხის შეგრძნება და სტრესი აწუხებს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები 27%-ით ხშირად უვითარდება, — აცხადებენ მეცნიერები კოლუმბიის უნივერსიტეტიდან. მკვლევარებმა ექსპერიმენტში მონაწილე ადამიანები ქვეჯგუფებად დაყვეს სტრესის დონის მიხედვით და 14 წლის განმავლობაში, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდებოდნენ. მიღებული შედეგების გაანალიზებით დადგინდა, რომ ადამიანის ორგანიზმზე სტრესის ნეგატიური გავლენა შეიძლება დღეში 5 მოწეულ სიგარეტს შევადაროთ. სტრესის მდგომარეობაში ყოფნა სისხლში ქოლესტერინის კონცენტრაციას საგრძნობლად ზრდიდა, ზემოთ იწევდა არტერიული წნევის მაჩვენებელიც. ერთობლიობაში, ეს ცვლილებები სერიოზული კარდიოლოგიური დაავადებების განვითარებით იმუქრება. ქოლესტერინი სისხლძარღვების შევიწროებას იწვევს, წნევის მატებამ კი გულის პრობლემები და ინსულტი შეიძლება გამოიწვიოს. სპეციალისტებმა ისიც დაასკვნეს, რომ ამ საკითხში ადამიანის სქესს მნიშვნელობა არ აქვს, უფრო მეტად ასაკია გასათვალისწინებელი.

ჰოროსკოპი 2013 წელი

ქალწული — გაისად თქვენ იმ გრანდიოზულ პროექტებს დაუბრუნდებით, რომლის განხორციელებაც ვერ მოასწარით. თუ ადრე რაღაც არ გამოგდიოდათ, ახლა ეს აუცილებლად მიიღწევა, თუ მიზანმიმართული და მომთმენი იქნებით. ყველა მხრივ სასიკეთო პერიოდი იანვარშივე დაიწყება და ზაფხულამდე გასტანს. ამ დროს გაჩნდება წინსვლის პერსპექტივა კარიერაში. ერთ-ერთი თქვენი ჰობი, შესაძლოა, დამატებით შემოსავლად იქცეს. წლის პირველი ნახევარი კარგი დროა ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად. რაც უფრო სერიოზულად მიუდგებით თქვენს სურვილებს, მით დიდი მათი რეალობადქცევის ალბათობა. შემდეგ თვეებში, სამწუხაროდ, ნეგატიური ტენდენციები სჭარბობს, ეს კი ნიშნავს, რომ შედეგების მიღწევა გაცილებით რთული იქნება. წლის ბოლოს, შესაძლოა, უკმაყოფილო იყოთ საკუთარი თავითაც და გარშემომყოფებითაც, რაც კონფლიქტების ალბათობას გაზრდის.

სასწორი — იმის მისახვედრად, რას გიმზადებენ ვარსკვლავები მომავალ წელს, უკან მოხედვაა საჭირო. რაღაც გრანდიოზულის მოლოდინი გქონდათ? — მაშინ იცოდეთ: ახლა შეგიძლიათ თქვენი ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყოთ, რაც დიდ გამარჯვებებს მოგიტანთ. სასწორებისთვის ეს წელი სასიკეთოა, მხოლოდ კეთილგანწყობილი უნდა იყოთ და მოთმინებით აღიჭურვოთ. წლის დასაწყისი ნაყოფიერი, მაგრამ დამღლელი იქნება. დასვენების საშუალება არ გექნებათ. არ არის გამორიცხული მნიშვნელოვანი დანახარჯი. ეკონომიურობის მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდება. შემდეგ თვეებში თქვენი ემოციური მდგომარეობა უფრო დასტაბილურდება და მოხვდებით, რომ ყველა პრობლემა მოგვარებადია. წადით წვეულებებზე, გაიცანით საინტერესო ადამიანები. გაერთეთ, რადგან წლის ბოლო თვეები მძიმე სამუშაოს უკავშირდება, რასაც ადრე შეძენილი გამოცდილება ადვილად გადაგატანინებთ.

ღრიანკალი — ნიშნის ამ წარმომადგენლებისთვის წლის დასაწყისი ემოციებით იქნება დატვირთული. თუ ადრე თავად ცდილობდით თავგადასავლის პოვნას, ახალი წლიდან ყველაფერი პირიქით მოხდება — თავგადასავლები გიპოვიან. შესაძლოა კარიერული წინსვლა დიდად არ განაღვლებთ, მაგრამ ისეთ შეთავაზებას მიიღებთ, რომ უარს ვერ იტყვით.. ნუ გაუშვებთ შანსს, რაღაც ახალი ისწავლოთ, ეს ცოდნა ყოველთვის გამოგადგებათ. მარტი დაძაბული იქნება, თუმცა სიფრთხილეს თუ გამოიჩენთ, უსიამოვნებების თავიდან აცილებას შეძლებთ. აპრილიდან ივლისამდე ყველაზე კარგი პერიოდია, მაგრამ შემდეგ კვლავ დაძაბული თვეები გელით. იქნება სერიოზული წარუმატებლობა, შეცდომები, შესაძლოა სერიოზული კონფლიქტი ოჯახში და ყველაფერ ამას, იმ ურთიერთობების გაწყვეტა მოყვება, რაც დიდი ხნის განმავლობაში თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

მშვილდოსანი — მომავალ წელს თქვენი ემოციურობა, იმპულსურობა არსად გაქრება, მაგრამ ემოციების მოთოკვას შეძლებთ. წლის პირველი ნახევარი სასიკეთო პერიოდი იქნება, რომლის დროსაც, მშვიდად განახორციელებთ ძველ გეგმებს. საქმიანობის კარდინალური ცვლილებაც სასიკეთოდ წაგადგებათ, გაფართოვდება თქვენი ინტერესის სფერო. წლის მეორე ნახევარი არ უკავშირდება მნიშვნელოვან სირთულეს, მაგრამ წვრილმანი უსიამოვნებანი მაინც გექნებათ. შედეგად, ბევრს ნერვიულობთ და ღელავთ, ვერ ახერხებთ საქმეზე ყურადღების კონცენტრაციას. ამას, ფინანსური პრობლემებიც დაემატება, ამიტომ უკეთესი იქნება, ხარჯი მკაცრად გააკონტროლოთ.

თხის რქა — ამ ნიშნის წარმომადგენლები გულუხვად დაჯილდოვდებიან ადრე დათესილი სიკეთისთვის. უფრო მეტიც, გაჩნდება შესაძლებლობა გარკვეული დანაკარგების კომპენსირებისა. წლის მოვლენები თავდაჯერებულობას შეგმატებთ, დარწმუნდებით, რომ სწორ გზაზე დგახართ. ყველაზე ამბიციური თხის რქები კი მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწევენ. მათთვის წელი მეტად საინტერესოდ დაიწყება. იანვარი სულიერი ზრდის შესაძლებლობას მოგცემთ. კარგი თვეა მოგზაურობისთვის. შემდეგი თვეებიც სასიკეთო, მაგრამ სხვა ხასიათის იქნება. გაზაფხულზე პროფესიულ საქმიანობაში მნიშვნელოვანი წარმატებები გელით. ამ დროს თავით გადაეშვებით საქმეში, ოჯახსა და პირად ცხოვრებას კი მცირე ხნით გვერდზე გადადებთ. ახლობლები ამას გაგებით მოეკიდებიან, მაგრამ მათი მოთმინებით ბოროტად ნუ ისარგებლებთ. ზაფხული მშვიდად ჩაივლის, შემოდგომა კი წინააღმდეგობებით აღსავსე იქნება. ერთი მხრივ, უამრავი იდეა გაგიჩნდებათ როგორც საქმიანი, ისე პირადი ხასიათის, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში შეგექმნებათ ბარიერი. წლის ბოლო თვე ემოციურად რთული იქნება, რის გამოც ბევრი ხელსაც ჩაიქნევს და ცხოვრების არჩეული გზის სისწორეშიც დაეჭვდება, მაგრამ საბედნიეროდ, ეს დიდხანს არ გასტანს.

მერწყული — როგორც ვარსკვლავები გვარწმუნებენ, ამ წელს სწორედ მერწყულებს გაუმართლებს. წარმატებებს ადვილად, თითქმის თამაშით და გართობით მიაღწევთ. ზოგჯერ სიტუაცია კონტროლს არ ექვემდებარება, მაგრამ ვითარება მაინც იქით მიდის, საითაც თქვენ გჭირდებათ, მთავარია, მცირე მოთმინება გამოიჩინოთ და ყველაფერი მოგვარდება. რასაკვირველია, ვარსკვლავები არ გპირდებიან, რომ მთელი წელი „უღრუბლო“ იქნება, თუმცა წარმატება მაინც ბევრი იქნება! წლის დასაწყისს მხოლოდ ოცნებებსა და ფანტაზიებს უთმობთ, შემდეგ კი აუცილებლად უნდა შეუდგეთ მოქმედებას, გამოიყენეთ პოზიტიური პერიოდი და შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტი პრობლემა მოაგვაროთ. წლის ბოლოს ნერვიულობა მოგიწევთ: რთული პერიოდი იქნება, რაც თქვენგან სიმტკიცეს, ძალების მობილიზებასა და გარისკვას მოითხოვს. საბედნიეროდ, მერწყულები ძლიერი ხასიათით გამოირჩევიან, რისი წყალობითაც ბევრ უსიამოვნებას იცილებენ თავიდან.

თევზები — ახალი, 2013 წელი თევზების იმ წარმომადგენლებს გაახარებს, ვისაც მიაჩნია, რომ გასული წელი მათთვის წარუმატებელი იყო. ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლება, უამრავი ახალი შესაძლებლობა მოგეცემათ. გვიანი წელი თქვენთვის სტაბილური და სასიამოვნო იქნება. დასახულ მიზნებს ადვილად მიაღწევთ. წლის დასაწყისი საუკეთესო პერიოდია გეგმების დასაწყობად. ზაფხულამდე ბევრი რამის შეცვლას მოასწრებთ როგორც პროფესიულ, ასევე პირად ცხოვრებაში. ამ პერიოდში მომხდარი მოვლენები უმნიშვნელოვანესია. თქვენი ამოცანაა, მათ მიმდინარეობას ხელი არ შეუშალოთ. საუკეთესო პერიოდია ბიზნესში ინვესტიციების განხორციელებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საქმეებით დატვირთული იქნებით, არც პირადი ცხოვრება გადაიწევს უკანა პლანზე, რადგან დრო ყველაფრისთვის გეყოფათ. წლის ბოლოს გარკვეული პრობლემები წარმოიქმნება, თუმცა ყველა გამოცდას გაუძლებთ და ღირსეულად გამოხვალთ ამ მდგომარეობიდან. ნოემბერი და დეკემბერი კარგი თვეებია ოჯახის შესაქმნელად.

კვირაში ერთხელ კამათი სასარგებლოა

მეუღლეებს შორის ურთიერთობების კვლევისას ამერიკელი სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ოჯახის შესანარჩუნებლად კამათი აუცილებელია, მაგრამ არა ყოველდღიურად, არამედ მხოლოდ კვირაში ერთხელ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ურთიერთობების გამყარებას კი არა რღვევას გამოიწვევს. ანალოგიური კვლევა ჩატარდა ერთ-ერთ ინდურ პორტალზეც. რესპოდენტთა 44% დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ კამათი უკეთ საუბრის საშუალებას აძლევთ და სტრესსაც უხსნით, დადებითად მოქმედებს გარშემომყოფებზეც, ოჯახში კი დაძაბულობა მოხსნილია და იდილია სუფევს. იტალიაში, სადაც ოჯახური გარჩევები ლამის ეროვნული ტრადიციაა, 1000 ოჯახურ წყვილზე სულ 180 განქორწინება მოდის. ფსიქოლოგების განცხადებით, დაგროვილი უთანხმოება უნდა მოგვარდეს და ამის საუკეთესო საშუალება კამათია. ემოციების შეკავება განსაკუთრებით არასასურველია მამაკაცებისთვის. ისინი, ვინც კამათის დროს ჩუმად ყოფნას ამჯობინებენ და საკუთარი აზრის გამოთქმას ერიდებიან, ყველაზე ხშირად ავადდებიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით.

დაიჯესტი

მსოფლიოს უველაზე ძვირადღირებული ნაძვის ხეები

ოქროსგან ჩამოსხმული, ბრილიანტებითა და ძვირადღირებული კონიაკის პატარა ბოთლებით მორთული ნაძვის ხეების ფასი ჩვენს წარმოსახვას სცდება. მაგალითად, ლონდონის სასტუმრო Claridge's-ს ტრადიცია აქვს: ისინი ყოველწლიურად სახელოვან დიზაინერს მიმართავენ ექსკლუზიური საშობაო ნაძვის ხის დასამზადებლად. სადღესასწაულო ატმოსფეროს შესაქმნელად აქ ჯონ გალიანომ, ალბერ ელბაზმა, კელი ელისმა იზრუნეს. უცნობია, რა თანხა უჯდება სასტუმროს მოდის ამ გრანდებთან თანამშრომლობა. უდავოა, რომ საუბარია ათიათასობით გირვანქა სტერლინგზე, თუმცა ცნობილია, რომ ნაძვის ხეებზე გაცილებით შთამბეჭდავი თანხებიც იხარჯება. მათ ჩამონათვალს გამოცემა „ფორბსი“ გთავაზობთ, ღირებულება კი თავად სანტაკლაუსსაც განაცვიფრებდა.

ყველაზე ძვირიანი აუცილებელი საახალწლო ატრიბუტი აბუ-დაბიში, სასტუმრო Emirates Palace-ში დადგეს 2010 წელს. ხის ღირებულება რამდენიმე ათასი დოლარი იყო, ხოლო სათამაშოები და სხვა მოსართავები, მილიონობით დოლარი დაჯდა, რადგან მარგალიტი, ოქრო, ბრილიანტი, საფირონი და ზურმუხტი გამოიყენეს უხვად. ასე რომ, აბუ-დაბის ნაძვის ხის საერთო ღირებულებამ 11 მილიონი დოლარი შეადგინა. იაპონელი იუველირი გინზა ტანაკა არაერთი წელია, აოცებს საზოგადოებას თემატური საშობაო ნაძვის ხეებით. წელს მან საკუთარ თავსაც კი აჯობა — დეკემბერში მის საფირმო მაღაზიაში ოქროს ნაძვის ხე გაჩნდა, რომელზეც 40 კილოგრამი ძვირფასი მეტალი დაიხარჯა. საერთო ღირებულებამ კი 4,2 მილიონი დოლარი შეადგინა.

ნაძვის ხის ღირებულებამ ასტრონომიულ თანხებს რომ მიაღწიოს, სულაც არ არის საჭირო, ზომებიც ასტრონომიული იყოს. 2007 წელს იაპონიის სავაჭრო ქსელში Takashimaya გასაყიდად მცირე ზომის ხე შევიდა, რომელსაც მხოლოდ მილიონერები თუ შეიძენდნენ. მისი დიზაინი ყვავილების ფრანგული ბუტიკის მონაწილეობით შეიქმნა. ნაძვის ხე რამდენიმე ასეული მინიატურული გამხმარი ვარდისგან შედგებოდა. მის ყოველ ფურცელზე კი, წყლის ნამის ნაცვლად, ავსტრალიიდან და სამხრეთ აფრიკიდან ჩამოტანილი ბრილიანტები იწონებდნენ თავს. ამ საშობაო სუვენირს მყიდველი არ გამოუჩნდა, მისი ღირებულება კი 1,88 მილიონი დოლარი იყო.

საახალწლო ნაძვის ხეზე სათამაშოების ჩამოკიდება უკვე გასული საუკუნეა. გაცილებით უკეთ გამოიყურება მასზე ბრილიანტები. ალბათ, ამ მოსაზრებით იხელმძღვანელა სინგაპურულმა საიუველირო სახლმა, როცა ნაძვის ხის დეკორირებისთვის 21 798 ბრილიანტი გამოიყენა, საერთო წონით 913 კარატი. ის 3 762 ბროლის მძივითაც მორთეს, ხის სიმაღლე თითქმის ექვს მეტრს აღწევდა, წონა კი სამი ტონა იყო. ფასიც საკმაოდ შთამბეჭდავი ჰქონდა — 1,005 მილიონი დოლარი. ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ საახალწლო ატრიბუტად ნიუ-იორკის ცენტრში, როკფელერ-პლაზაზე დადგმული ნაძვის ხე მიიჩნევა. მას პირველობას ვაშინგტონის კაპიტოლიუმის წინ აღმართული ნაძვი შეიძლება შეეცილოს — მისი ტრანსპორტირება, დადგმა და გაფორმება ქვეყნის ბიუჯეტს სოლიდური თანხა უჯდება, წელს მისმა ღირებულებამ მილიონ დოლარს მიაღწია.

კომპანია „სვაროვსკი“ ყოველ წელს საავტორო ნაძვის ხეს დგამს. 2010 წელს, ჰონგკონგში აღმართეს 30-მეტრიანი კონუსი, რომელზეც სვაროვსკის ოქროს და ვერცხლისფერი 20 მილიონი კრისტალი იწონებდა თავს. მისმა ღირებულებამ კი, დაახლოებით, 500 ათასი დოლარი შეადგინა. აღმოსავლელი კოლეგებისგან განსხვავებით, ამერიკელმა იუველირმა სტივ კვიკმა გადაწყვიტა, ისეთი ნაძვის ხე შეექმნა, რომელიც არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ პრაქტიკულ სარგებელსაც მოიტანდა. 18-კარატიანი ოქროსგან დამზადებული ხე, თოვლის ნაცვლად, ბრილიანტებით „გადაპენტეს“, კენწეროში კი პლატინის ვარსკვლავი წამოჭიმეს ალმასით, რომლის წონაც 4,52 კარატი იყო. ხე, საბოლოოდ, ინტერნეტ-აუქციონზე გაიყიდა, შემოსული თანხა კი კიბოსთან ბრძოლის ამერიკულ ფონდში გადაირიცხა.

2010 წელს, იტალიაში, მილანის ტაძრის მოედანზე (პიაცა დელ დუომო) ახალი ღირსშესანიშნაობა გაჩნდა — საშობაო ნაძვის ხე, რომელიც ქალაქს საიუველირო კომპანია „ტიფანიმ“ აჩუქა. მისი ღირებულება 50 ათას ევროს შეადგენდა. ლონდონის ფეშენებელური სასტუმროს Sofitel ხელმძღვანელობა ერთი წუთითაც არ ივიწყებს, რომ დღესასწაულის დღეებში ალკოჰოლსაც ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საჩუქრების გადაცემას. 2010 წელს, სასტუმროს ჰოლში უჩვეულო საშობაო ნაძვის ხე დადგეს, რომელიც მეტალის კონსტრუქციისგან იყო დამზადებული და მას, სათამაშოების ნაცვლად, ბროლის მცირე ზომის ბოთლებში ჩამოსხმული კონიაკი Louis XIII ამშვენებდა. ბოთლები კომპანია Baccarat-ს ოსტატების მიერ იყო დამზადებული და ამ უცნაური, ალკოჰოლური ნაძვის ხის ღირებულებამ 35 ათასი გირვანქა სტერლინგი შეადგინა.

საახალწლოდ სტუმრებს ტუალეტის ქაღალდით გააოცებენ

ახალი წლის დღესასწაულის წინ, დიდი ბრიტანეთის მაღაზიებში ყველაზე მეტად, თურმე, ალკოჰოლი და შოკოლადი კი არა, როგორც მოვაჭრეები ამტკიცებენ, ტუალეტის ელიტური ქაღალდი სარგებლობს დიდი პოპულარობით. აქაური სუპერმარკეტების მონაცემებით, დეკემბრის დასაწყისიდან ყველაზე მეტად ხარისხიან და ძვირფას ქაღალდს ყიდულობენ და ცდილობენ, ამით მრავალრიცხოვანი მეგობრები და ნათესავები გააოცონ, რომლებიც დღესასწაულებზე მათ ესტუმრებიან. ტუალეტის ქაღალდთან ერთად, მაღაზიებში კარგი ჩაისა და ყავის გაყიდვებმა იმატა — როგორც ჩანს, ბრიტანელები იაფფასიან პაკეტის ჩაის საახალწლოდ შორს გადამალავენ და სუფრაზე საუკეთესოს მიიტანენ, რაც დიასახლისის კარგ გემოვნებას წარმოაჩენს.

ცოცხალწყლიანი ნაძვის ხე წყალქვეშ მორთეს

ბოსნია-ჰერცოგოვინაში სადღესასწაულო ნაძვის ხე წყალქვეშ მორთეს. ღონისძიებაში, რომელიც ქვეყნის სამხრეთით, პარკში გაიმართა, მონაწილეობა მყვინთავებმა და მაშველებმა მიიღეს. პროექტის მიზანი, ეკოლოგიის პრობლემებზე საზოგადოების ყურადღების გამახვილება გახლდათ. ეს ტბა 8 ათას ჰექტარზე გაშენებულ პარკში მდებარეობს. აქციის ორგანიზატორების თქმით, ამ ღონისძიებით მათ სურდათ, ბუნების დაცვის კამპანიაში საზოგადოებს ჩართვა. საახალწლო ნაძვის ხის მოსართავად წყალქვეშ ჩასულმა მყვინთავებმა და მაშველებმა, სიმბოლურად, სანტა-კლაუსის სამოსი ჩაიცვეს.

განსაცვიფრებელი წყალქვეშა ნაძვის ხეა მალდივის კუნძულებზე. მარჯნისგან ნაძვის ხის დამზადებაზე ბაას ატოლის ნაკრძალის ბიოლოგებმა იმუშავეს. წყალქვეშა ნაძვის ხე მოტეხილი, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი მარჯნებისგანაა აწყობილი, რომელსაც რიფის წარმოქმნის უნარი არ დაუკარგავს. ამ უჩვეულო ღამაზმანის სანახავად, აუცილებელი არაა აკვალანგის გაკეთება და წყალში ჩაყვინთვა. საკმარისია ფეშენებელურ წყალქვეშა რესტორან-ოტელს ესტუმროთ, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა რეგიონში. აქ, მისი ვიტრინების მიღმა, მშვენივრად ჩანს წყალქვეშა სამყარო.

ბუნებრივ ნაძვის ხეს მაღაზია უკან იბარებს

იტალიის სავაჭრო ქსელი **IKEA** და **OBI** მომავალი წლის 4-დან 11 იანვრის ჩათვლით, აქციას აწყობენ, რომლის დროსაც მათთან შეძენილი ბუნებრივი ნაძვის ხეების დაბრუნებასა და სანაცვლოდ, 10 ევროს ტალონის მიღებას შეძლებთ. ყოველ დაბრუნებულ ნაძვის ხეზე **IKEA** ორ ევროს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდს გადაურიცხავს. როგორც ცნობილია, სხვა ევროპელებისგან განსხვავებით, იტალიელები ყველაზე სწრაფად ცდილობენ საშობაოდ მიღებული უსარგებლო ნივთებისგან გათავისუფლებას და მათ ინტერნეტ-აუქციონებზე ყიდიან. ამიტომ 7 იანვარს, არდადეგების დასრულების შემდეგ აუქციონზე საჩუქრების მასობრივი ფასდაკლების პიკია მოსალოდნელი. მაგალითად, შარშან ამ ქვეყნის მაცხოვრებლებმა საჩუქრად უსარგებლო ნივთები მიიღეს, რომლის საერთო ფასმა 754 მილიონი ევრო შეადგინა.

ბრიტანელი ბავშვები სანტას მამას სთხოვენ

როგორც კომპანია **Research Now and K&A Brand Research**-ის გამოკითხვებმა აჩვენა, სანტა კლაუსის მიმართ 3-დან 12 წლამდე ბავშვების ნატვრა, საახალწლო საჩუქრად „მამის მიღებაა“. ამ სურვილს მეათე ადგილი უკავია. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ 2011 წელს დიდ ბრიტანეთში განქორწინების რიცხვი 2%-ით შემცირდა, თუმცა 40-44 წლის წყვილების დაშორებამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. პატარებს მშობლები ენატრებათ და ალბათ, ამიტომ ითხოვენ მამას საჩუქრად. ბავშვების უჩვეულო სურვილებს შორის არის საშობაოდ დროის მანქანის და მსახიობ ევა ლონგორიას მიღებაც. რაც შეეხება მოზარდებს 12-დან 17 წლამდე, საახალწლოდ ისინი კომპიუტერის, ლეპტოპის, ანდროიდის უახლეს მოდელებს ნატრობენ.

ცოტა რამ საახალწლო სუფრის შესახებ

მსოფლიოში ყველას საკუთარი საახალწლო ტრადიცია აქვს, რომელსაც მკაცრად იცავს ასწლეულების განმავლობაში. რაც შეეხება სუფრას, ყოველ კერძს, ამა თუ იმ ქვეყანაში ერთგვარი სიმბოლურობა ახასიათებს და ეს თაობიდან თაობას გადაეცემა. მაგალითად, საფრანგეთში, ახალი წელი სუფრაზე შემწვარი ინდაურის გარეშე წარმოუდგენელია. ისეთ ქვეყნებში კი, როგორც არის უნგრეთი, ავსტრია, იუგოსლავია, საახალწლო სუფრაზე ვერასოდეს ნახავთ ფრინველის ხორცს — აქ მიაჩნიათ, რომ ფრინველის ხორცის ჭამა საახალწლოდ არ შეიძლება, რადგან მასთან ერთად მათი ბედნიერებაც „გაფრინდება“.

ბულგარეთისა და რუმინეთის ტრადიციები სადღესასწაულო ღვეზელის გამოცხობას ითვალისწინებს, რომელშიც შიგთავსად „სიურპრიზებს“ დებენ: ნამდვილად გაუმართლებს იმას, ვისაც ამ „სიურპრიზის“ მეტი რაოდენობა შეხვდება. ახალ წელს პოლონეთში რიცხვი 12 მაგიურ მნიშვნელობას იძენს. პოლონელების სუფრაზე სწორედ 12 სახეობის კერძს დაითვლით. მხოლოდ მათ შორის ვერ აღმოაჩენთ ხორცს, სხვა დანარჩენი კი ყველაფერია, რაც გესიამოვნებათ.

თევზს რაც შეეხება. ახალი წლის სუფრაზე მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ბევრ ევროპულ ქვეყანაში კეთილდღეობისა და ბედნიერების მომტანად მიიჩნევენ. გერმანიაში სადღესასწაულო სუფრაზე აუცილებლად ნახავთ ნიგვზით გაფორმებულ კერძებს, ღვეზელს. ბევრ სამხრეთულ ქვეყანაში სიუხვის სიმბოლოდ ვაზი მიიჩნევა. იტალიაში ყურძენთან ერთად, სუფრაზე ოსპი — დღეგრძელობის სიმბოლო და კაკალიც მიაქვთ. ხოლო თუ საახალწლოდ ნისლიან ალბიონზე მოხვდებით, გახსოვდეთ, რომ აქ, საუკუნეების განმავლობაში, ტრადიციული საახალწლო კერძი ბოსტნეულით გამოტენილი ინდაურია.

სუდოკუ

ადვილი

	8		9	6	2			3
6		4	3				9	
							1	
	2		1					
8		7		4		3		9
					8		7	
	4							
	9				7	8		2
2			8	1	6		3	

სტანდარტი

	2				8	7	3	
		9			6		8	
8			5		2			
2						6		4
	5						7	
4		7						1
			2		3			7
	3		9			5		
	8	1	7				6	

რთული

4	3		6					2
	5	7				9		
	8		2					
			4	6				5
		8				6		
7				8	9			
					6		2	
		9				1	3	
6					2		9	4

ექსპერტი

5					2	6		
				6	5		3	1
	1				3		7	5
					1		2	
8			3		7			6
	3		4					
3	6		7				8	
2	8		5	3				
		4	2					7

LB ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ყველგან და ყველასთვის

საახალწლო აქცია ლიბერთი ბანკისგან!

12.12.12

12 დეკემბრიდან
30 დღის მანძილზე
მხოლოდ ჩვენთან,
12 თვიანი ვადიანი ანაბარი
12% დოლარში

* 55 00 +995 32 255 55 00 www.libertybank.ge info@libertybank.ge skype libertybank.ge

იპოვით თჯვენი www.versia.ge
ვერსია
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი,
სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com

® ნიშნით აღნიშნული სტატიები
იბეჭდება რეკლამის უფლებით